სარჯიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 22 მარტი 2000 №52 (1074) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედერაცია და დინამო: რა ხდება?

მიხეილ აშვეთიას და გიორგი ანჩაბაძეს „ალანიაში“ არ შეშვებენ

შესაძლოა ისე მოხდეს, ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გამოზამთრებულ მიხეილ აშვეთიას უკანვე, თბილისის „დინამოში“ მოუწიოს დაბრუნებამ. საქმე ისაა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ამ ფეხბურთელს განთავისუფლების ფურცელს არ აძლევს, რუსეთში კი ჩემპიონატი ზეგ იწყება და სატრანსფერო ვადა დღეს იწურება.

როგორც შევიტყვეთ, აშვეთიას ტრანსფერის წინააღმდეგია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, შესაბამის საბუთს ის არ აწერს ხელს. აშვეთიას „დინამოსთან“ კონტრაქტში რაღაც უზუსტობაოო, კი ამბობენ, მაგრამ კერძოდ რა, დანამდვილებით ვერავინ თქვა. საქმეში ბოლომდე ვერც ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ გაგვარკვია, აშვეთია მერაბ ჟორდანიას „დინამოს“ პრეზიდენტობისას გახდა კლუბის ფეხბურთელი, ახლა კი საქართველოს ჩემპიონებს მერაბ რატიანი პრეზიდენტობსო, განგვიცხადა ჩოლარიამ.

განთავისუფლების ფურცელი ფედერაციისგან ჯერჯერობით ვერც გიორგი ანჩაბაძემ მიიღო. ივი გუშინ მოსკოვში უნდა დახვედროდა კვიპროსული შეკრებიდან დაბრუნებულ „ალანიას“. მსგავსი პრობლემა შეექმნა ვლადიმერ გუცაევის შეგულებულ მესამე ქართველსაც — გიორგი კიკნაძეს თურმე თურქული „სამსუნსფორი“ უგვიანებს ახალ კლუბში გადასვლისთვის აუცილებელ საბუთს. თურქებმა განთავისუფლების ფურცელი ჯერ საქართველოში უნდა გამოგზავნონ, რუსებმა კი ქართველებისგან მიიღონ.

კობა ინასარიძე

დღეს ევროპა რვამდე დაითვლის

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ვალენსია — მანჩესტერი 0:0. გოლს თითქოს აღარაფერი აკლდა, მაგრამ მანჩესტერელთა მეკარე მარკ ბოსნიჩმა კლაუდიო ლობესი მაინც არ გაახარა

მეორე ეტაპი. VI ტური

A ჯგუფი		B ჯგუფი	
ჰერტა	0	ფიორენტინა	3
პორტუ	1	ბორდო	3
სპარტა	1	ვალენსია	0
ბარსელონა	2	მანჩესტერი	0

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტობაგანაღდებულ „ბარსელონას“, „მანჩესტერს“, „ბაიერნსა“ და „ჩელსის“ გუშინ კიდევ ორნი — პორტუგალიური „პორტუ“ და ესპანური „ვალენსია“ შეემატნენ. დღეს ამათ კიდევ ორი შეუერთდება და 4-5 აპრილს მეოთხედფინალიც დაიწყება.

იხილეთ მეორე გვერდი

მიოლერ-ნილსენს ქართველების არ ეშინია

ეგენი რუსეებზე სუსტები არიან, ჩვენ კი იმათ 4:1 მოვუგეთ, განაცხადა გუშინ ებრაელთა დანიელმა მწვრთნელმა

29 მარტს ებრაელთა და ქართველთა ამხანაგური მატჩი ხმელთაშუა ზღვისპირა ქალაქ აშქელონში გაიმართება. თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟის მოწყობას ერთ-ერთი იქაური არხი აპირებს.

მიოლერ-ნილსენის დასახელებულნი ესენი არიან:

მეკარეები: რაფი კოენი (ჰაპოელი, ფეთაჰ თიკვა), იტზიკ კორნფეინი (ბეითარი);

მცველები: ალონ ხარაზი, არიკ ბენადო, ადორამ კეისი, ალონ ჰალფონი (ყველა მაკაბი, ჰაიფა), ამირ შელაჰი, ოფერ ტალქარი (ორივე ჰაპოელი, ჰაიფა), დედი ბენ-დაიანი (მაკაბი, თელ ავივი);

ნახევარმცველები: ავი ნიმნი (მაკაბი, თელ ავივი), იდან ტალი (მერიდა, ესპანეთი), ვალიდ ბადირი (უიმბლდონი, ინგლისი), ეიალ ბერკოვიჩი (სელტიკი, შოტლანდია), ეიალ ალმოშნინო (აშდოდი), იოსი აბუკისი (ბეითარი), ჰაიმ რევივო (სელტა, ესპანეთი);

თავდამსხმელები: ნირ სივილია (ბეითარი), უდი კფირი (ჰაპოელი, თელ ავივი).

გუშინ ისრაელის ფეხბურთის ფედერაციამ დაასახელა ის ქალაქი, სადაც საქართველოს ეროვნულ გუნდს უმასპინძლებენ, ნაკრების დანიელმა მწვრთნელმა რიხარდ მიოლერ-ნილსენმა კი გამოაცხადა 18-კაციანი შემადგენლობა, რომლითაც ქართველებს დაუხვდება.

რიხარდ მიოლერ-ნილსენმა, თავის დროზე დანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი რომ გახადა, ქართველებთან სათამაშოდ არ მიიწვია ხუთი გამოცდილი ფეხბურთელი — კაპიტანი ტალ ბანინი, იტალიურ „ბრეშაში“ რომ თამაშობს, გოგა გახოკიძის თანაგუნდელი იოსი ბენაიონი, შოტლანდიის „დანდი იუნაიტედში“ მოთამაშე იან ტელესნიკოვი, თელ ავივის „ჰაპოელის“ ნახევარმცველი შიმონ გერშონი და ჰაიფას ჰაპოელელი ამირ ტურგემანი. მწვრთნელმა განაცხადა, რომ ახლა ექსპერიმენტების დრო აქვს, ქართველების წინააღმდეგ რამდენიმე ახალბედის გამოცდა სურს და ათვალწუნებული არავინ ჰყავს — „ამ ბიჭების ნაკრებში გამოუძახებლობას ისე ნუ გაიგებთ, თითქოს მოწვევას არც მომავალში ვაპირებდე“ — თქვა მიოლერ-ნილსენმა, რომელმაც ოთხ ახალგაზრდა ფეხბურთელს უხმო: თელ-ავივის „მაკაბის“ მცველი დედი ბენ-დაიანი, იერუსალიმის „ბეითარის“ ნახევარმცველი და თავდამსხმელი იოსი აბუკისი და ნირ სივილია, აშდოდელი ეიალ ალმოშნინო საქართველოს ნაკრებთან ალბათ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პლეიოფში დანიასთან ებრაელების სამარცხვინო წაგებისა და ოთხი მათგანის როსკიპებთან დროსტარების გამო ატეხილი სკანდალის შემდეგ მწვრთნელმა ეროვნულ გუნდში კვლავ მიიწვია ვიგოს „სელტას“ ნახევარმცველი ჰაიმ რევივო, შოტლანდიური „სელტიკის“ მიერ 10 მილიონ დოლარად ნაყიდ ეიალ ბერკოვიჩს კი, მიუხედავად იმისა, რომ იგი კლუბში სათადარიგოებს შორისაა და ჩვეულ სათამაშო ფორმამდე ბევრი უკლია, მიოლერ-ნილსენი მაინც ენდობა. ბერკოვიჩი ჩვენთვის დიდი ძალა არისო, ამბობს.

„ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი დაიწყება, უნდა ვეცადოთ, თვეში ერთხელ მაინც ჩავატაროთ ამხანაგური მატჩები. 29 მარტს მეტოქედ კვიპროსი გვყავდა შეგულებული, მაგრამ მოულოდნელად მათ თამაშზე უარი შემოგვითვალეს, ეს კი ჩვენთვის უკეთესი გამოდგა, ახლა კვიპროსელებზე გაცილებით ძლიერ გუნდს ვხვდებით. საქართველოს კარგი ნაკრები ჰყავს, მათი ფეხბურთელები ევროპის ცნობილ კლუბებში თამაშობენ. შოთა არველაძე „აიაქსის“ ფორვარდია, ქეცბაიას „ნიუკასლში“ გააქვს გოლები, ქინქლაძეც პრემიერლიგაში თამაშობს, ჩინებული გამთამაშებელია, საშაში. ზაზა ჯანაშიას თაობაზე კი, მგონი, ყველას გსმენიათ, მას ისრაელშიც უთამაშია. ყველაფრის მიუხედავად, ერთობ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. რუსეთი თუ 4:1 დავამარცხეთ, ალბათ ქართველებსაც მოვუგებთ, მათი ნაკრები რუსების დარი ნამდვილად არ არის“ — უთხრა გუშინ ებრაელ ჟურნალისტებს რიხარდ მიოლერ-ნილსენმა. დანიელ მწვრთნელს არ სცოდნია, 29-ში შოთა არველაძე ნაღდად და, ალბათ, ვერც ზაზა ჯანაშია რომ ვერ ითამაშებენ. ისე კი, ებრაელები ქართველთაგან ყველაზე მეტად თურმე ჯანაშიას უფრთხიან, ახსოვთ, შარშან, გაზაფხულზე ჰაიფას „მაკაბი“ რა დღეშიც ჩაგდო.

კობა ინასარიძე

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი
VI ტური. 21 მარტი

CHAMPIONS LEAGUE

A ჯგუფი

სპარტა 1:2 ბარსელონა

1:0 სვობოდა (18), 1:1, 1:2 გაბრი (52, 89)

სპარტა: ბლაჟეკი, გაბრიელი, ნოვოტნი, ბოლფი, ფუკალი, იაროშიკი, სიონკო, სვობოდა (პაპალი 59), როსიცკი, ლოკვენცი, ობაიდინი (ფლახბარტი 71)

მწვრთნელი: ივან პაშეკი

ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, ფ. დე ბური, დეუ ბოგარდი, გვარდიოლა (ხავი 60), კოკუ (ლიტმანენი 75), სიმაო, გაბრი, რივალდო (რ. დე ბური 46), დანი

მწვრთნელი: ლუის ვან გაალი

გაფრთხილება: რაიციგერი, ფ. დე ბური, სიონკო, გაბრი

მსაჯი: რ. პედერსენი (ნორვეგია)

20 224 მაყურებელი

ჰერტა 0:1 პორტუ

0:1 კლეიტონი (69)

ჰერტა: კირალი, ჰ. ჰერცოგი, ვან ბურიკი (კოსტანდინიდისი 46), სვრისონი, სანე, კოვაჩი, დისლერი (დარდაი 46), მიხალკე, როი, დაეი, ალექს ალვეში (არაჩიჩი 56)

მწვრთნელი: იურგენ რიობერი

პორტუ: ბაია, სეკრეტარიუ, ალოიზიო, ესკერდინია, დეკო (პეიშე 89), ფორტე კოშტა, ჩაინიო, ნუნო კაპუჩო (ანდრადე 76), დრულოვიჩი (კლეიტონი 68), ფარდელი, პაულინიუ სანტოსი

მწვრთნელი: ფერნანდო სანტოსი

მსაჯი: ჰ. კოლინა (იტალია)

30 506 მაყურებელი

ბარსელონა	6	5	1	0	17:5	16
პორტუ	6	3	1	2	8:8	10
სპარტა	6	1	2	3	5:12	5
ჰერტა	6	0	2	4	3:8	2

B ჯგუფი

ვალენსია 0:0 მანჩესტერი

ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, ჯუკიჩი, პელეგრინი, კარბონი, ჟილი გონსალესი, ანგულო, ფაირნოსი, ხერარდი, ხუან სანჩესი (ილიე 70), კლაუდიო ლოპესი

მწვრთნელი: ექტორ კუპერი

მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, სტამ, ბერგი, ირვინი, სკოულზი, კინ, ბეთი, ფორლანი, შერინგემი, სოლსკიერი (კრუიფი 67)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: სოლსკიერი

მსაჯი: რ. მიხელი (სლოვაკეთი)

48 000 მაყურებელი

ფიორენტინა 3:3 გორდო

0:1 ვილტორდი (5), 1:1 კიეზა (46ჯ), 2:1 ბატისტუტა (61), 3:1 რუი კოშტა (64), 3:2 ძანოტი (87), 3:3 ბატლე (90)

ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ბერინი, ფირიკანო, ტორიჩელი, ბრეშანი (ამორუზო 38), დი ლივია, კოისი (ოკონი 73), რუი კოშტა, კიეზა, ბატისტუტა (ბალბო 80)

მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი

ბორდო: რამე, ზიანი (სანუ 59), რუვიერი (კოლეტი 73), ბონისელი, ალიკარტე, ბატლე, დიობატე, პავონი, მიკუ (ძანოტი 80), ლასლანდი, ვილტორდი

მწვრთნელი: ელი ბოპი

გაძევება: ალიკარტე (46)

გაფრთხილება: რეპკა, ბონისელი, ბერინი

მსაჯი: დ. შოხი (ზვიცარია)

25 000 მაყურებელი

მანჩესტერი	6	4	1	1	10:4	13
ვალენსია	6	3	1	2	9:5	10
ფიორენტინა	6	2	2	2	7:8	8
ბორდო	6	0	2	4	5:14	2

REUTERS ბერლინიდან

ჰერტა — პორტუ 0:1. პორტუელ ჩაინიოს სამი ბერლინელი, ჰენდრიკ ჰერცოგი (მარცხნივ), დიკ ვან ბურიკი და ბრაიან როი (№15) მიეჭრა, მაგრამ პორტუგალიელმა დარტყმა მაინც მოახერხა

ინგლისი

I დივიზიონი

38-ე ტური. ბარნსლი — ფულემი 1:0; პადერსფილდი — ნოტინგემი 2:1; პორტ ვეილი — უოლსოლი 1:2; პორტსმუთი — ვესტ ბრომვიჩი 2:0; სტოკპორტი — მანჩესტერ სიტი 2:2; ვულვერჰემპტონი — ქრიუ 2:0; ბოლტონი — შეფილდი 2:0

II დივიზიონი

38-ე ტური. სკანთორპი — ბრენტფორდი 0:0; რექსემი — მილუოლი 1:1; ბლეკპული — ბარნლი 1:1; ბორნმუთი — ჯილინგემი 0:1; ბერი — ოქსფორდი 1:2; ჩესტერფილდი — კარდიფი 1:1; კოლჩესტერი — ოლდემი 0:1; ლუტონი — კემბრიჯი 2:2; ნოტსი — პრესტონი 1:0; უიკომბი — უიგანი 0:2

III დივიზიონი

38-ე ტური. ბარნეტი — პლიმუთი 1:0; ჩელტენემი — ნორთჰემპტონი 2:1; ჩესტერი — ჰარტლპული 1:1; ექსეტერი — ჰალიფაქსი 1:0; ჰალი — საუთენდი 0:0; ლეიტონი — როტერჰემი 0:1; პირეტბრო — კარლაისლი 0:2; სუონსი — შრიუსბერი 1:1; ტორკი — დარლინგტონი 1:0; იორკი — ლინკოლნი 2:0; ბრაიტონი — მაკსფილდი 5:2

შოტლანდია

გადადებული მატჩი

ჰიბერნიანი 1:2 დანდი

ავსტრია

გადადებული მატჩი

ტიროლი 2:0 ბრეგენცი

რუსეთი

თასის მერვედფინალი

როტორი 0:1 სატურნი

სოკოლი 0:1 დ.დ. (0:0) სპარტაკი

სასწორზე დევს სპპაში

CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი. VI ტური

C ჯგუფი

დინამო — ბაიერნი

ღღეს კიევში ძველი „ნაცნობები“ — „დინამო“ და „ბაიერნი“ შეხვდებიან ერთმანეთს. გეხსომებათ, მარშან ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ ეტაპზე უკრაინის ჩემპიონები სწორედ მიუნხენელებს დაუპირისპირდნენ. დრამატულ ორთაბრძოლაში გერმანელებმა ფინალში გააღწიეს, ხოლო კიეველები ერთი წლით გამოეთიშნენ ევროთასებს.

და აი, გავიდა ერთი წელიც, კიევში ოლიმპიურ სტადიონზე ერთმანეთის პირისპირ კვლავ წარსდგებიან „დინამო“ და „ბაიერნი“. მართალია მიუნხენელთათვის მატჩი ბევრს არაფერს წყვეტს, მათ მეოთხედფინალის საგზური უკვე კარგა ხანია, გაინაღდეს, მაგრამ ლიგაში ყოველი მოგება ფულია, თანაც გერმანელთა პრინციპულობის ამბავი საქვეყნოდაა ცნობილი.

მიუხედავად ამისა, მოსალოდნელია, რომ ოტმარ ჰიცფელდმა წამყვან ფეხბურთელთა უმრავლესობა დასვენოს. კიევის „დინამოს“ მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, უკრაინელი ქომაგი ოლივერ კანს, ბიქსენტე ლიზარაზუს, შტეფან ეფენბერგს, ჯოვანი ელბერს, მარკუს ბაბელს, იენს იერემისსა და კარსტენ იანკერს ვერ იხილავს მინდორზე. ჰიცფელდმა მიუნხენში დატოვა ტრავმირებული პაულო სერჟიოც.

შემადგენლობის პროგნოზში შედარებით მეტ სიფრთხილეს იჩენს საინფორმაციო სააგენტო „როიტერი“, რომელიც იუწყება, რომ გერმანელებს ოლივერ კანი, შტეფან ეფენბერგი და ჯოვანი ელბერი არ ეყოლებათ. კაპიტნის სამკლაურს ალექსანდრ ციკლერი მოირგებს, ხოლო პოლონელი ფორვარდი სლავომირ ვოუჩიეჩოვსკი პირველ საევროთასო შეხვედრას ჩაატარებს.

გასაკვირი არ არის, რომ „ბაიერნმა“ მთელი ყურადღება ბუნდესლიგაზე გაამახვილა. „ლევერკუზენმა“ თამაში მოიგო, წამოგვეწია, წინ დიდი ბრძოლაა“ — ამბობს მიუნხენელთა დამრიგებელი ჰიცფელდი.

ქართველ ქომაგთა სასიხარულოდ, ვალერი ლობანოვსკი ალბათ სასტარტოში გაამწესებს კახი კალაძეს და გიორგი დემეტრაძეს. კიეველებს დანაკლისიც ექნებათ, ტრავმის გამო, შესაძლოა მოედანზე ვერ გამოვიდნენ ვლადისლავ ვაშჩუკი და იური დმიტრულინი.

კიევის ცსკას წინააღმდეგ შაბათს ჩატარებულ შეხვედრაში დაისვენა „დინამოს“ კაპიტანმა ალექსანდრ გოლოვკომ, რომელიც ჩვეულ ფორმაშია და გუნდს მინდორზე „ბაიერნთან“ მოსაგებად გაიყვანს.

გაფრთხილებულნი

დინამო: კოსოვსკი (2), შაციხი (2), გერასიმენკო, გოლოვკო, გუსინი, იაშკინი, კარდაში, ხაცკევიჩი, კორმილცევი, რებროვი, ვაშჩუკი

ბაიერნი: ბაბელი (2), ტარნატი (2), ეფენბერგი, ელბერი, კუფური, იანკერი, შტრუნცი

დისკვალიფიცირებულნი

დინამო: არავინ

ბაიერნი: შოლი (1 მატჩი)

რუსენბორგი — რეალი

სამეფო კლუბი რომ ჩვეული ფორმიდან შორსაა, ამაზე ბევრი დაიწერა. „ბაიერნთან“ რომ შერცხვა, ორი მატჩის ჯამში 3:8 წააგო და ჯგუფიდან გასვლა ეჭვქვეშ დააყენა, არც ეს გახლავთ დიდი სიახლე. „რეალს“ ტრონჰეიმში დღეს მხოლოდ მოგება სჭირდება, რათა მეოთხედფინალში „დინამო“ — „ბაიერნის“ შედეგის გაუთვალისწინებელად მოხვდეს. სხვა შემთხვევაში არავინ იცის, რა გადაუტრიალდება თავში მიუნხენელთა თავკაც ოტმარ ჰიცფელდს და კიევის ოლიმპიურ სტადიონზე მერამდენე შემადგენლობას გაიყვანს.

„ტრონჰეიმში მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა ვიფიქროთ — ამბობს მადრიდელთა ერთ-ერთი მთავარი დამრტყმელი ძალა, ფერნანდო მორიენტესი — არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიყოთ კიევური შედეგის იმედად, თუმცა გამოგიტყდებით, ნორვეგიაში მოგება იოლი არ გახლავთ, აქ ძალიან ცივა, რასაც „რუსენბორგი“ შეჩვეულია, ჩვენ კი ნამდვილად არაა“.

„რუსენბორგი“, რომელმაც მეორე ჯგუფურ ეტაპზე ჯერ თამაში ვერ მოიგო და ბოლო ოთხი ტურია, მარცხდება, „რეალთან“ მაინც შეეცდება პრესტიჟის აღდგენას.

გუნდის ერთ-ერთი ლიდერის მინი იაკობსენისთვის მატჩი ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში ტკბილად მოსაგონარი იქნება, ამ შეხვედრის შემდეგ იგი დიდ ფეხბურთს გამეთხოვება.

„რეალისთვის“ ტრონჰეიმში 1997 წელს ჩატარებული შეხვედრა ერთობ ავადმოსაგონარია. მადრიდელები 0:2 დამარცხდნენ, მაშინ ძლიერი ყინვა იყო. მართალია, ახლა ნორვეგიაში აუტანლად არ ცივა, ჰაერის ტემპერატურა ნულთან მერყეობს, მაგრამ ესპანურ ჰავას მიჩვეულ „რეალს“ ალბათ მაინც გაუჭირდება.

გაფრთხილებულნი

რუსენბორგი: მინი-იაკობსენი (2), ო. ბერგი, კარეუ, იამტფალი, სკამელსრუდი, სორენსენი

რეალი: იერო (2), ფულიო სეზარი (2), გუტი, ივან ელგერა, ივან კამპო, კარანკა, კარემბუ, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი

დისკვალიფიცირებულნი

რუსენბორგი: ბრაგსტადი (2 მატჩი)

რეალი: არავინ

ბაიერნი	5	4	1	0	13:6	13
რეალი	5	2	1	2	10:12	7
დინამო	5	2	1	2	8:8	7
რუსენბორგი	5	0	1	4	5:10	1

D ჯგუფი

ჩელსი — ლაციო

„ლაციოს“ თავკაცმა სვენ გორან ერიკსონმა „ჩელსისთან“ ჯგუფის ბოლო ტურის მატჩს „სასიცოცხლოდ გადამწყვეტი“ უწოდა. რომაელებს ლონდონში მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ, რათა მარსელში „ოლიმპიკისა“ და „ფეიენოორდის“ შედეგს არ დაელოდონ და მეოთხედფინალის საგზური მოიპოვონ.

იტალიური მასმედია უკვე კარგა ხანია, საუბრობს, რომ თუ „ლაციო“ მეოთხედფინალს მიღმა დარჩა, ერიკსონს ეს ალბათ სკამის ფასად დაუჯდება, მით უმეტეს, რომ გუნდმა სკუდეტოს მოპოვებაც გაირთულა მას შემდეგ, რაც სერია A-ს ბოლო ტურში „ვერონასთან“ დამარცხდა და ლიდერ „იუვენტუსს“ უკვე მთელი 9 ქულით ჩამორჩა.

მიუხედავად იმისა, რომ „ჩელსიმ“ მეოთხედფინალის საგზური უკვე გაინაღდა, „სტემფორდ ბრიჯზე“ „ლაციოს“ ალბათ არაფერს დაუთმობს, რაც მატჩის დამატებით ინტრიგას და ინტერესს სძენს. არადა, რომაელებმა სეზონი უძლიერესად დაიწყეს, სერია A-ს და ჩემპიონთა ლიგის მოგების ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად ითვლებოდნენ და ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ მეოთხედფინალის მიღმა დარჩენა და ჯგუფში ჩარჩენა დაემუქრებოდათ.

„დღევანდელი მატჩი ბევრ საკითხს წყვეტს, ძალების მობილიზება და კონცენტრაცია გვჭირდება. მჯერა, „ლაციოს“ კრიზისის დაძლევა ძალუძს“ — თქვა ერიკსონმა.

რომაელებს ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გამოაკლდათ, კაპიტანმა ალესანდრო ნესტამ ტრავმა მიიღო და რამდენიმე პრინციპიული მატჩის გამოტოვება მოუწევს. მის ადგილს ალბათ პორტუგალიელი ფერნანდო კოუტუ დაიკავებს.

არ არის გამორიცხული, ერიკსონმა სასტარტოში სიმონე ინძაგი გაამწესოს და თავდასხმის ხაზში მას ჩილელი მარსელო სალასი შეუწყვილოს.

ლონდონში იმედოვნებენ, რომ „ჩელსის“ იტალიელი თავკაცი ჯანლუკა ვიალი სასტარტო შემადგენლობას ძირითადი ფეხბურთელებით დაკომპლექტებს და გუნდს მინდორზე მხოლოდ მოსაგებად გაიყვანს. ოლიმპიადის შესარჩევ ციკლში საასპარეზოდ ნიგერიის ნაკრებში გამოძახებული სელესტინ ბაბაიარო ინგლისში დაბრუნდა და ალბათ თავიდანვე გამოჩნდება მინდორზე.

გაფრთხილებულნი

ჩელსი: ფერერი (2), ლებეფი (2), ბაბაიარო, დესაი, დეშამპი, უაიზი, ძოლა

ლაციო: ნესტა (2), სერჟიო კონსეისაო, ფერნანდო კოუტუ, ფავალი, ლომბარდო, მარკეჯანი, მიხაილოვიჩი, ნედვედი, ნეგრო, სენსინი, სიმეონე, დ. სტანკოვიჩი

დისკვალიფიცირებულნი

ჩელსი: არავინ

ლაციო: არავინ

მარსელი — ფეიენოორდი

ჯგუფში ვითარება საკმაოდ დაძაბულია. ორივე მატჩის შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მოსალოდნელია, რომ ინტრიგა საფინალო სასტვენამდე შენარჩუნდება.

„ფეიენოორდს“ ამისათვის ძლიერი ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი აქვს — სტუმრად მარსელის „ოლიმპიკი“ უნდა დაამარცხოს, ხოლო „ლაციომ“ ლონდონში სამი ქულა ვერ მოიპოვოს და როტერდამელები მეოთხედფინალში მოხვდებიან. არსებობს მეორე ალტერნატივაც — „ფეიენოორდს“ მარსელში ფრეც ეყოფა, თუ რომაელები „ჩელსისთან“ წააგებენ. მაშინ „ლაციო“ და „ფეიენოორდი“ ერთნაირ ქულებს დააგროვებენ, ხოლო ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგით მომდევნო ეტაპის საგზურს „ფეიენოორდი“ გაინაღდებს.

„თუ „ოლიმპიკთან“ შეხვედრა ფრედ დასრულდება, თვალყური ლონდონისკენ უნდა გვეჭიროს, რათა იქ „ჩელსიმ“ „ლაციო“ დაამარცხოს. ეს კი ნამდვილად არ გვაძლევს ხელს. მარსელში 3 ქულის მოპოვებას შევეცდებით და იმის იმედს დავიტოვებთ, რომ რომაელები ლონდონში ვერ გაიმარჯვებენ“ — ამბობს „ფეიენოორდის“ თავკაცი ლეო ბეენჰაკერი.

როტერდამელებს ტრავმირებული პატრიკ პაუვე ვერ დაეხმარება, სამაგიეროდ, არაფერი უჭირს ფორვარდ ბონავენტურე კალუს, რომელიც ხულიო კრუზთან და იონ დალ ტომასონთან ერთად „ფეიენოორდის“ შემტევ სამეულს შეადგენს.

„მარსელმა“ მომდევნო ეტაპზე გასვლის შესაძლებლობა დაკარგა, მაგრამ გუნდის თავკაცი ბერნარ კაზონი აცხადებს, რომ „ფეიენოორდის“ დამარცხებას შეეცდება, თუმცა შესაძლოა რამდენიმე ფეხბურთელი დასვენოს: „როდესაც ფეხბურთელი მოედანზე გადის, მან მხოლოდ მოგებაზე უნდა იფიქროს, ჩემი ბიჭებისგანაც ამას მოვითხოვ“.

მცველმა სებასტიან პერესმა და პატრიკ ბლონდომ ტრავმები მოიშუშეს, თუმც შესაძლებელია სასტარტო შემადგენლობაში არც გამოჩნდნენ. არ არის გამორიცხული, თავიდან სირილ პუეე და რობერ პირესიც სათადარიგოთა შორის ვიხილოთ.

გაფრთხილებულნი

მარსელი: ბერიზო (2), ლუჟესენი (2), მორისი (2), ბაკა�კო, ბრანდო, დალმა, პირესი, პორატო, ფიშერი, პუეე

ფეიენოორდი: დე ვისერი (2), კალუ (2), პაუვე (2), ვან გასტელი (2), ბოსველტი, ხულიო კრუზი, დე ჰაანი, დუდეკი, კონტერმანი, კორნეევი, ვან გობელი, ვან ვონდერენი, ვან ფოსენი

დისკვალიფიცირებულნი

მარსელი: არავინ

ფეიენოორდი: არავინ

ჩელსი	5	3	1	1	7:3	10
ლაციო	5	2	2	1	8:3	8
ფეიენოორდი	5	2	1	2	7:7	7
მარსელი	5	1	0	4	2:11	3

მწვანე შლაგბაუმი

ბადრი კვითელაძის ფოტო

ვიტელი გიორგი ქორიძე (ბურთით) და ლოკომოტიველი გიორგი ჩიხრაძე წლეულს უკანასკნელად შეეყრებიან ერთურთს მინდორზე

ძნელი სათქმელია, ვინ გახდება თასის გათამაშების გამარჯვებული. არა, ვერცხლის ნაკეთობას პატრონი აუცილებლად გამოუჩნდება, მაგრამ თუ ამოიტვიფრება თასზე ისეთი კლუბის სახელი, რომელსაც ეს პატივი ჯერ არ რგებია?!

ამ და ბევრ სხვა კითხვაზეც ნაწილობრივ პასუხს თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები გასცემს, რომლებიც დღეს ჩატარდება.

ნახევარფინალში ვერ გავა გორის „დილა“. „დინამო“, რაოდენ დასუსტებულიც უნდა იყოს, იმ დონის მაინცაა, გორელებთან ოთხბურთიანი უპირატესობა შეინარჩუნოს. მართალია, ჩემპიონებს დისკვალიფიცირებული (ზედმეტი ყვითელი ბარათი) რევაზ ქემოკლიძე ვერ დაეხმარება, მაგრამ ამით „დილას“ რა ხეირი. სათასო ბატალიებში შიდაქართლელები დღეს დასრულებენ თავიანთ მისიას. ნახევარფინალში თამაში ჯერჯერობით მათი სარეკორდო მაჩვენებელია.

„დინამო“ კი მშვიდად ელოდება მომავალ მეტოქეს, თუმც ჩემპიონებისთვის სასურველი და ხელწამოსაკრავი, სამწუხაროდ (თუ საბედნიეროდ), არც არავინ დარჩენილა.

ფოთის „კოლხეთი“ ეცდება, გაიბრძოლოს, მაგრამ „ბათუმისთვის“ სამი უპასუხო ბურთის გატანა და მერე ნახევარფინალზე ფიქრი, დღეანდელი გადასახედიდან, განწირულ ოცნებას ჰგავს. კოლხთა გასაჭირს ისიც ემატება, რომ მცველი გიორგი დავითნიძე ვერ ითამაშებს. ჩემპიონატის მესამე ტურში მან ნერვები ვერ მოთოკა, ჯერ მსაჯს გაეკიდა, მერე კი ფეხბურთის ფედერაციას არ მოაკლო ლოცვა-კურთხევა.

დანაკლისი „ბათუმსაც“ აქვს. ზურაბ არჩვაძემ „დინამოსთან“ კიდევ ერთი გაფრთხილება მიიღო და, რა თქმა უნდა, დღეს ტრიბუნებზე შეირჩევს ადგილს.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული სკუდეტოს მაძიებელი ჯანი კარნეველეც ნახევარფინალშია.

წყალტუბოდან ქუთაისში დღეს არამარტო ლამაზმანები ამგზავრდებიან. ივვე გზას „სამგურალიც“ დაადგება და ვნახოთ, როგორ დაუხვდება მარტის ქუთაისი. სტუმრებს ეძლევათ შანსი, საფეხბურთო საქართველო კიდევ ერთხელ აალაპარაკონ. ამისთვის „ტორპედოსთან“ ან მოგება, ანაც გოლიანი ფრე უნდა გააგორონ, მაგრამ მოვლენების ამგვარად წარმართვის შესაძლებლობას თვით წყალტუბოელებიც ძნელად ირწმუნებენ.

დღეს „ტორპედო“ შეუდარებლად ძლიერია „სამგურალზე“, ამიტომ ნახევარფინალში, წესისა და რიგის მიხედვით, ქუთაისური კლუბი უნდა ვიხილოთ.

მეოთხედფინალის ყველაზე დამაინტრიგებელი და დაძაბული მატჩი თბილისში, „ეროვნულზე“ ჩატარდება. „ლოკომოტივი“ — „ვიტ ჯორჯია“, ვინ ვის?

სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ აქამდე ვეტერინარებს არაერთხელ გაუმწარებიათ რკინიგზელები, არაერთი იმედი დაუმსხვრევიათ გურამ რუხაძის ბიჭებს აკაკი ჩხაიძის სამწყსოსთვის.

პირველ მატჩში ნულოვანი ფრე დაფიქსირდა, რა მოხდება დღეს? დღეს „ლოკომოტივის“ ბოლო შანსია. თუ ახლა ვერ ივარგეს რკინიგზელებმა, მერე გაისამდე მოუწევთ მოცდა. ხელმძღვანელობა კი არ იცდის, ევროსარბიელზე მოხვედრას მოითხოვს. „ვიტ ჯორჯია“ კი მეტოქეს არ ეპუება. მწვანეებს „ეროვნულზე“ რკინიგზელებთან დაპირისპირება სათავისოდ კარგად აქვთ დაცდილი. „ლოკომოტივისთვის“ „ვიტ ჯორჯია“ მწვანე კი არა, წითელი ფერისაა. ვეტერინარებს შეუძლიათ, მეტოქეს ჰკადრონ, სდექ! გზა გადაკეტილია.

„ვიტ ჯორჯიას“ ყველა მოთამაშე ჯანზე ჰყავს, რევაზ ძოძუაშვილს კი დღეისთვის ერთი დიდი პრობლემა ექნება გადასაჭრელი — ვერ ათამაშებს ვალერი აბრამიძეს. „სამგურალთან“ მიღებული ყვითელი ბარათი რიგით მესამე ყოფილა. აბრამიძის სრულფასოვნად შეცვლა კი „ლოკომოტივის“ თავკაცს გაუჭირდება.

მაშ ასე, დღეს თამამად შეგიძლიათ, სტადიონზე წახვიდეთ. იშვიათად, მაგრამ საქართველოშიც ნახავთ დაძაბულ, საინტერესო მატჩებს.

მამუკა კვანტალიანი

საქართველოს თასი
მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები

გორი. „ცენტრალური“. 22 მარტი. 15 საათი

დილა — დინამო

პირველი მატჩი 0:4

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

თბილისი. „ეროვნული“. 22 მარტი. 15 საათი

ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

პირველი მატჩი 0:0

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე; ს. კახიანი (ყველა თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

ფოთი. „ფაზისი“. 22 მარტი. 15 საათი

კოლხეთი — ბათუმი

პირველი მატჩი 0:3

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

ქუთაისი. „ტროპედო“. 22 მარტი. 15 საათი

ტორპედო — სამგურალი

პირველი მატჩი 0:0

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. ჯვარიძე, ზ. ურუშაძე (ყველა თბილისი); დ. სანაია (სოხუმი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

დავით ხმელიძემ რვა მეკარის კონკურენციას გაუძლო

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარე დათო ხმელიძე კარიერას კვლავ რუსეთის უმაღლეს დივიზიონში გააგრძელებს. შეგახსენებთ, რომ წლების მანძილზე დათო სოჭის „ჟემჩუჟინას“ ეკუთვნოდა, რომელიც შარშან პირველ დივიზიონში ჩაქვეითდა. მართალია, ხმელიძეს ერთხელაც არ მოურგია ძირითადის მაისურა, მაგრამ იგი სისტემატურად თამაშობდა „ჟემჩუჟინა 2“-ში რუსეთის მეორე დივიზიონის სამხრეთის ზონაში.

ახალ სეზონს კი, რომელიც 25 მარტს იწყება, ხმელიძე როსტოვის „როსტსელმაშში“ დაიწყებს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარემ ახლახან მოაწერა ამ კლუბთან კონტრაქტს ხელი.

როსტოვის გუნდში ჩასარიცხად ხმელიძემ რვა მეკარის კონკურენციას გაუძლო. როსტოველთა მთავარმა მწვრთნელმა სერგეი ანდრეევმა წინასასეზონო მზადებისას დაიწუნა კრივოი როგის „კრივბასის“ მეკარე კანინუსი, ბელგრადის „რადის“ რანკოვიჩი, სომხეთის ეროვნული გუნდის წევრი არარატელი აბრამიანი, ელისტის ურალანელი ალექსეევი, სანკტ პეტერბურგის ლოკომოტიველი ვლადიმიროვი, ვლადიკავკაზის „ირისტონის“ გატიევი და მოსკოვის ცსკა-ს იგორ კუტეპოვი.

წუნია ანდრეევმა საბოლოოდ გუნდში ძირითადი მეკარე ვლადიმირ საჭენკოსთან ერთად დათო ხმელიძე და ყოფილი კიევის დინამოელი ილია ბლიზნიუკი დატოვა.

ხმელიძეს ძირითად გუნდთან არც ერთი შეკრება არ გაუვლია. ასეთი როსტოველებს სამი ჰქონდათ: არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, გერმანიასა და ჰოლანდიაში.

ბადრი კვითელაძის ფოტო

დავით ხმელიძე

დათოს როსტოველებმა ადლერში მიაგნეს, სადაც „როსტსელმაშის“ ფარმკლუბი ემზადებოდა. როსტოველთა მეორე მწვრთნელმა ტკაჩენკომ ქართველი უყოყმანოდ აიყვანა: „დათო აუცილებლად გაიხსნება, მას არაჩვეულებრივი მონაცემები აქვს“ — თქვა მან.

21 წლის ხმელიძე, რომელზეც თავის დროზე რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცობა ნადირობდა, მეკარედ სწორედ ადლერის ოლიმპიური რეზერვების სკოლაში ჩამოყალიბდა. შემდეგ კი რუსეთის სახელით თამაშზე კატეგორიული უარი თქვა და მხოლოდ საქართველოს მაისურით გამოსვლის სურვილი გამოთქვა.

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში დათომ ერთი მატჩი გამართა, თბილისში „შევარდენზე“ საბერძნეთის ნაკრებთან. ხმელიძე 191 სანტიმეტრია და 79 კილოგრამს იწონის. ანდრეევმა მას დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

რაც შეეხება „როსტსელმაშს“, შარშან ამ გუნდმა მე-7 ადგილი დაიკავა და ინტერტოტოზე თამაშის უფლება მოიპოვა. გუშინ კი როსტოვში საგანგებო პრესკონფერენციაზე ანდრეევმა განაცხადა, რომ ამ თასზე სათადარიგო შემადგენლობით იასპარეზებს. ასე რომ, ხმელიძეს კარგი შანსი აქვს, ევროპული გამოცდილება მიიღოს.

ბოლო საკონტროლო მატში „როსტსელმაშმა“ ვალერი გაზაევის მოსკოვის „დინამო“ დაამარცხა ჰოლანდიაში. გუნდში ხმელიძის გარდა 7 ახალწვეულია: ტალინის „ფლორას“ ლიტველი ლეგიონერები — გრაჟიუნასი და ფომენკო, რომლებიც მოსკოვის „სპარტაკმა“ დაიწუნა. უზბეკეთის ნაკრების წევრები — ლუჟაკი, შირშოვი და აკოფიანცი. ეს უკანასკნელი უზბეკეთის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს ატარებს. ასევე ბელორუსიის და ყაზახეთის ნაკრების წევრები — ბარნოვი და სმაკოვი. სასტარტო მატჩში „როსტსელმაშს“ უმაღლეს დივიზიონში დაბრუნებული ვორონეჟის „ფაკელი“ ელის.

ხმელიძე მეორე ქართველი მეკარეა, რომელიც როსტოველთა მაისურას მოირგებს. თავის დროზე ამ გუნდში მაღალ დონეზე თამაშობდა საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარე აკაკი დევაძე, თუმც შემდეგ ანდრეევთან დიდი კონფლიქტი მოუვიდა და სწორედ როსტოვიდან დაიწყო დევაძის, როგორც კარგი მეკარის დაღმასვლა. იმედს გამოვთქვამთ, რომ ხმელიძის კარიერა საპირისპიროდ განვითარდება.

სიმონ მენაბდე

5 აპრილი: ბათუმი — ტორპედო

საქართველოს მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის მეორე ტურის ცენტრალური მატჩი „ბათუმსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შორის, მოგეხსენებათ, უამინდობის გამო გადაიდო. 11 მარტს ბათუმში მოსულმა დიდმა წვიმამ „დინამოს“ სტადიონის მინდორი ისეთ დღეში ჩააგდო, შეხვედრის ინსპექტორმა ანატოლი მილჩენკომ მატჩის ჩატარება შეუძლებლად ჩათვალა. თუმცა ხმები გავრცელდა, თამაშის გადადებით გარკვეული პირები იყვნენ დაინტერესებულნიო.

აპრილში კალენდარში ფანჯარა გვაქვს და შეხვედრასაც მაშინ ჩავატარებთო, თქვეს მაშინ ფეხბურთის ფედერაციაში. გუშინ კი თარიღიც დადგინდა — „ბათუმი“ — „ტორპედო“ 5 აპრილს, ოთხშაბათს, გაიმართება.

გუშინვე ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, რომ გადადების საფრთხე ემუქრება მეხუთე ტურის შეხვედრას „თბილისსა“ და „ლოკომოტივს“ შორის. ორივე გუნდი, როგორც იცით, საშინაო შეხვედრებს დიდუბეში, „ეროვნულ“ სტადიონზე ატარებს. ამ დღეს კი ქვეყნის უმთავრეს სარბიელზე რაგბიში ეროვნებათა თასის თამაშია დანიშნული — ქართველმა რაგბისტებმა რუმინეთის ნაკრებს უნდა უმასპინძლონ. ამიტომ „თბილისი“ — „ლოკომოტივის“ საფეხბურთო მატჩი შესაძლოა 2-ის ნაცვლად 3 აპრილს გაიმართოს. თუმცა არც ისაა გამორიცხული, ფეხბურთელებმა სხვა სტადიონი (თუნდაც „შევარდენი“) მონახონ. ის კი ნაღდია, რომ მატჩი დიღმის საწვრთნელ ბაზაზე არ შედგება. „თბილისმა“ ორი დღის წინ საშინაო შეხვედრა „ხობთან“ სწორედ იქ გამართა, თუმცა ეს არც თუ სასიამოვნო პრეცედენტი აღარ განმეორდებაო, გვითხრეს ფედერაციაში. სად ჩატარდება „თბილისი“ — „ლოკომოტივი“, ეს საბოლოოდ მომავალ კვირაში გადაწყდება.

ვანო ოძროპირიძე

საქართველოს ჩემპიონატი
მეორე ეტაპი
3 ტური

ფეხბურთი არჩევანის გარეშე

ტრაგიკომედია ორ მოქმედებად

ტორპედოელი ზურაბ იონანიძის ამ თავურს, ბადრი ახვლედიანის გოლი მოჰყვა

ბადრი დარსალიას ფოტო

მეორე ეტაპის მესამე ტურიც მიილია. „დინამომ“ ისევ ვერ მოიგო და ვერ გაიტანა. ტრაგედიაა, არა? იქნებ ის უფრო დიდი უბედურებაა, რომ ამ ფაქტს ტრაგედიად აღვიქვამთ? გიფიქრიათ ამაზე?

კაცი ფიქრისთვის გაუჩენია ღმერთს და რა მოუცლელნი ჩვენა ვართ, ყოველი წამი ცენტად ან თეთრად გვიღირდეს. საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობას საფიქრალი და უქმი დრო თავზე საყრელი აქვს და ეროვნული ფეხბურთის ყოველდღიური მოვლენები მისთვის ისეთივე „უცხოა“, როგორც ძაბვის ვარდნა ან პენსიის დაგვიანებით მიღება.

რახან ეგრეა, ალბათ „დინამოს“ ვერგატანილ და ვერმოუგებელ სერიაზეც გიფიქრიათ და ორ ტრაგედიას შორის არჩევანს იოლად გააკეთებთ. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, მოგახსენებთ — მარადი ჩემპიონის სუსტი სვლა კი არაა უბედურება, ამ ფაქტის გამო ზოგიერთები აგონიაში რომ ჩავარდნილან, ისაა მიულებელი. ვეცდები, დაგისაბუთოდ.

„დინამოს“ მიერ პირველ ეტაპზე გატანილებიდან უდიდესი პროცენტი რატი ალექსძესა და მიხეილ აშვეთიაზე მოდიოდა. რამდენიმე ფეხბურთელთან ერთად ამ დუეტმაც დატოვა ჩემპიონთა რიგები და ზამთარში „დინამოს“, ვინ დათვლის მერამდენე განახლების პროცესი დაიწყო. ახალი შემადგენლობის შეთამაშება და ჩამოყალიბება ნებისმიერი გუნდისთვის უმტკივნეულოდ არ ხდება და გამონაკლისი არც საქართველოს ჩემპიონი იქნებოდა. ყოველ სეზონში ასე იყო, მაგრამ მაშინ „დინამო“ სხვების დასუსტების ხარჯზე ახდენდა ძალების შევსებას და უპირატესობის ბალანსს ინარჩუნებდა. ახლა, როცა ქუთაისმა, ბათუმმა, „ვიტ ჯორჯიამ“ და სხვებმა ჩემპიონს სატრანსფერო კარი მიუხურეს, დინამოელთა დანაკლისი თვალშისაცემი გახდა.

არ შეიძლება ის ჩათვალო „ტრაგედიად“, თუ მისი შემომქმედი სხვაგვარად ფიქრობს და თვლის, რომ ყოველივე წარმოებული პოლიტიკის შედეგია. „დინამოს“ ახალმა პრეზიდენტმა მერაბ რატიანმა „სარბიელს“ განუცხადა — ჩვენი კლუბის ძირითადი ფინანსური წყარო ტრანსფერებიდან მომდინარეობსო. ასე რომ, არც აშვეთია და ალექსიძე წაუჰ გვრიათ „დინამოსთვის“ დაძალებით, მის მესვეურებს კლუბის უფულოდ დატოვებას მათი გაშვება ერჩივნათ...

ახლა კი მართლა ტრაგედიაზე მოგახსენებთ.

პირველი, უმთავრესი და ჯერარნახული. ეროვნული ჩემპიონატის კალენდარული მატჩი „თბილისსა“ და „ხობს“ შორის დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შედგა. არ იფიქროთ, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო, იმათ გამაოცეს, მე უფრო იმათი გამკვირვებია, უსიტყვოდ რომ დაეთანხმნენ და დიღმში ბურთი აგორეს. სხვა რომ არაფერი, უბრალოდ, თავმოყვარეობის ამბავია. თქვე დალოცვილებო, ქართული ფეხბურთი ლევერკუზენის, ბელგრადისა და ათენის სტადიონებზე გამოიყურებოდა საცოდავად და დიღმის ბაზაზე რა შესახედავი იქნებოდა რომ წარმოვიდგენ, „ატალანტის“ ყველაზე კარგი შემსრულებლის კომპოზიცია მახსენდება. ასეთ ყოფაზე ითქმის ტრაგიკომედიაო.

კომიკურ მხარეს რაც შეეხება. საპრეზიდენტო არჩევნებია ქვეყანაში და ედუარდ შევარდნაძეც გამალებულ კამპანიას ეწევა. მისი მორიგი ვოიაჟი ქართლში შედგა და მესამე ტურის „დილა“ — „ვიტ ჯორჯიას“ შეხვედრაც ჩაშლის პირას დადგა. არა მგონია, თავად პრეზიდენტს ეთქვა — აქაოდა, ჩემი უსაფრთხოების მიზნით ფეხბურთი მცხეთაში გადაიტანეთო. როგორც ჩანს, შევარდნაძის დაცვის სამსახურმა და მისი საარჩევნო კამპანიის მწარმოებელმა კომიტეტმა მიიღო ეს გადაწყვეტილება და ფედერაციას თხოვნით მიმართა, თამაში გადაეტანა. იბადება კითხვა, რა მოხდებოდა მაშინ, თუ, მაგალითად, პრეზიდენტობის სხვა კანდიდატები ბოლნისში, ქუთაისში ან მცხეთაში მოისურვებდნენ განავარდებას? წინასაარჩევნო პერიოდში ხომ ყოველ მათგანს თანაბარი უფლებები აქვს. ყოველ კანდიდატს შეუძლია, მოითხოვოს სახელმწიფოსგან უსაფრთხოების დაცვა და ძალოვანი სტრუქტურებიც ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ მათი სიმშვიდე.

რახან ვიღაცამ სხვაგვარად იფიქრა და საფეხბურთო მატჩი უწესრიგობათა კერასთან გააიგივა, ამ ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატში აღარაფერია გასაკვირი. ამიტომაც არ მიკვირს, თუ რატომ ილანძღებოდა ბოლნისში კოლხი გიორგი დავითნიძე, რატომ დააგდო მაისურა მოედნის ცენტრში, რატომ აერია ერთმანეთში ლოჟა და ფედერაცია... რატომ მოიბოდიშა შეხვედრის შემდეგ.

არც იმას გავუოცებივარ, „ბათუმის“ გულშემატკივარმა „ეროვნულზე“ დასრულებული მატჩის მერე რომ თქვა — ხომ გავხადეთ „ტორპედო“ ჩემპიონიო!

„ლოკომოტივი“ — „სამგურალის“ შეხვედრაში მსაჯს წყალტუბოელის მეორედ გაყვითლება და ავტომატურად გაძევება ორი წუთის დაგვიანებით გაახსენდა. თქვენ იცინით და მე კი არ მიკვირს. კიდევ კარგი, სასტვენი და ბარათები არ რჩებათ შინ.

ასე იყო თუ ისე, ეროვნულის მატიანე კიდევ რვა ოქმით შეივსო. „ა“ ზონის უცენტრალურესი მატჩის უგოლოდ დასრულებაში ალოგიკური არაფერი გახლდათ. ქაოსურად შემტევმა „დინამომ“ და დინჯად მოთამაშე კარნევალეს „ბათუმმა“ იმის საფასური მიიღეს, რაც მთელი 90 წუთის განმავლობაში გააკეთეს.

„ტორპედომ“ ამით ისარგებლა და სუსტ „იბერიაზე“ ძლევის შედეგად ლიდერობა განიმტკიცა. ქუთაისელთა ხუთი გატანილიდან მეორე ერთობ ლამაზი სანახავი ყოფილა. აგრე არ უნდა მაკრატელას შესრულებაო, უფიქრია დავით ჯანაშიას და მეგრელაძის უკუ ვარდნაში დარტყმულზე ეფექტური მაკრატელა მიუყოლებია.

ბოლნისში კაცნაკლულ „კოლხეთს“ ანგარიშის გასათანაბრებლად ძალები არ დაუშურებია, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოსვლია.

მცხეთაში იძულებით ნასტუმრევ „დილას“ საკუთარი გულშემატკივრები, იგივე ჩვეულებრივი ამომრჩევლები ხლებია თან. თუმცა ვერც ქომაგობამ გასჭრა „ვიტ ჯორჯიას“ წინააღმდეგ და გორელები შინ უქულოდ გაბრუნდნენ.

ზედიზედ ორი საგარეო მატჩის მოგებმა „მერანმა“ პირველი შინაური შეხვედრა გამართა, მაგრამ სტუმარ „გორდასთან“ ქულის მეტს ვერას გამორჩა.

„ლოკომოტივმა“ სათასოდ ძალები შემოინახა თუ რა, „შევარდენზე“ ნასტუმრევ წყალტუბოს „სამგურალს“ უგოლოდ დაუზავდა.

თსუ-მ „არსენალს“ „ისანზე“ აჯობა და არმიელთა პირმშოს რეგიონალური ლიგის საგზური სანახევროდ გამოუწერა.

„თბილისმა“ დიღმში (უბანია ასეთი) „ხობი“ დაიბრიყვა და მეორე ეტაპზე პირველი „საბაზო“ გამარჯვება იზეიმა.

რვა თამაშში 14 გოლი გავიდა...

„ა“ ზონაში სტუმრებმა ვერც ამჯერად გატეხეს ნავსი და მასპინძელს ვერ სძლიეს. „ბ“ ზონაში ამ მხრივ სხვა სურათია — საკუთარი კედლების ფაქტორის მნიშვნელობა მინიმუმამდეა დაყვანილი. სამაგიეროდ, ქვედა ეშელონში გულშემატკივართა დასწრება, რბილად რომ ვთქვათ, საგანგაშოა. ქომაგები უფრო ელიტარელთა მატჩების ნახვას ირჩევენ.

ღმერთმა ყველას თავის არჩევანში გაუმარჯოს და გაუმართლოს, მაგრამ უბედურება ისაა, ქართულ ფეხბურთს რომ არ აქვს არჩევანის უფლება. აბა, რა უნდოდა დიღმის ბაზაზე. ან რამ წამოიყვანა გორიდან მცხეთაში?

ხვიჩა სანიკიძე

ბათუმელი ხომერიკი (№9) და დინამოელი ვაშაკიძე საჰაერო ბრძოლისას

ირაკლი ნიკოლაძის ფოტო

ბომბარდირები

16 - იონანიძე	*ტორპედო*
12 - აშვეთია	*დინამო*
ალექსიძე	*დინამო*
9 - ქმბაძე	*ლოკომოტივი*
გ. ქორიძე	*ვიტ ჯორჯია*
7 - მეგრელაძე	*ტორპედო*
ლ. მელქაძე	*ვიტ ჯორჯია*
6 - ვ. კილასონია	*გორდა*
რუსია	*ლოკომოტივი*
ა. მუჯირი	*ბათუმი*
ხორგუაშვილი	*დილა*



ჯანი კარნევალე

ბადრი კეთილაძის ფოტო

პირველი ტურის გამოტოვებული მატჩი

თბილისი. „ისანი“. 22 მარტი. 15 საათი

არსენალი — გორდა

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ე. სილაგავა; ა. კრიჭაშვილი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. თანანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 11 ჩემპიონატი — მეორე ეტაპი — 3 ტური

„ა“ ზონის სტატისტიკა

ტური	3
მატჩი	11
გოლი	28
გოლი საშუალოდ მატჩში	2,54
მასპინძელთა მოგება	8 (72%)
ფრეები	3 (28%)
სტუმართა მოგება	0 (0%)
საერთო დასწრება	29 000
საშუალო დასწრება მატჩზე	2 636
საუკეთესო დასწრება ტურზე	I,III: 5 000
მწირი დასწრება ტურზე	II: 100

დავჯარიმდა		სემ
მასპინძელი	43	10,75
სტუმარი	47	11,75
სულ	90	22,50
კუთხური		**სემ**
მასპინძელი	28	7,00
სტუმარი	10	2,50
სულ	38	9,50
კარისკენ დარტყმა		**სემ**
მასპინძელი	34	8,50
სტუმარი	21	5,25
სულ	55	13,75
კარში დარტყმა		**სემ**
მასპინძელი	26	6,50
სტუმარი	11	2,75
სულ	37	9,25
თამაშგარე		**სემ**
მასპინძელი	17	4,25
სტუმარი	5	1,25
სულ	22	5,50

სემ - *საშუალოდ ერთ მატჩში*

დავჯარიმდა		სემ
მასპინძელი	66	16,50
სტუმარი	64	16,00
სულ	130	32,50
კუთხური		**სემ**
მასპინძელი	15	3,75
სტუმარი	11	2,75
სულ	26	6,50
კარისკენ დარტყმა		**სემ**
მასპინძელი	27	6,75
სტუმარი	26	6,50
სულ	53	13,25
კარში დარტყმა		**სემ**
მასპინძელი	15	3,75
სტუმარი	19	4,75
სულ	34	8,50
თამაშგარე		**სემ**
მასპინძელი	11	2,75
სტუმარი	19	4,75
სულ	30	7,50

სემ - *საშუალოდ ერთ მატჩში*

დინამო 0:0 ბათუმი

14	დავჯარიმდა	13
1	კუთხური	4
3	კარისკენ დარტყმა	3
1	კარში დარტყმა	0
0	თამაშგარე	2

ტორპედო 5:0 იბერია

7	დავჯარიმდა	20
9	კუთხური	0
8	კარისკენ დარტყმა	2
9	კარში დარტყმა	2
5	თამაშგარე	1

ვიტ ჯორჯია 2:1 დილა

7	დავჯარიმდა	10
8	კუთხური	2
16	კარისკენ დარტყმა	3
10	კარში დარტყმა	3
5	თამაშგარე	1

სიონი 1:0 კოლხეთი

15	დავჯარიმდა	14
10	კუთხური	4
7	კარისკენ დარტყმა	13
6	კარში დარტყმა	6
7	თამაშგარე	1

ლოკომოტივი 0:0 სამგურალი

5	დავჯარიმდა	10
5	კუთხური	1
8	კარისკენ დარტყმა	6
3	კარში დარტყმა	1
0	თამაშგარე	4

მერანი 0:0 გორდა

25	დავჯარიმდა	17
3	კუთხური	4
3	კარისკენ დარტყმა	5
3	კარში დარტყმა	6
1	თამაშგარე	2

არსენალი 0:2 თსუ

19	დავჯარიმდა	23
2	კუთხური	4
5	კარისკენ დარტყმა	10
4	კარში დარტყმა	10
5	თამაშგარე	9

თბილისი 3:0 ხობი

17	დავჯარიმდა	14
5	კუთხური	2
11	კარისკენ დარტყმა	5
5	კარში დარტყმა	2
5	თამაშგარე	4

„ბ“ ზონის სტატისტიკა

ტური	3
მატჩი	11
გოლი	19
გოლი საშუალოდ მატჩში	1,72
მასპინძელთა მოგება	5 (45%)
ფრეები	2 (18%)
სტუმართა მოგება	4 (37%)
საერთო დასწრება	8 900
საშუალო დასწრება მატჩზე	809
საუკეთესო დასწრება ტურზე	III: 2 000
მწირი დასწრება ტურზე	I,III: 300

სიმბოლური ნაკრები

- ზურაბ იონანიძე — *ტორპედო*
- ბორის გონჩაროვი — *თბილისი*
- გიორგი სუხიაშვილი — *სამგურალი*
- დავით დილმელაშვილი — *ვიტ ჯორჯია*
- გიორგი დეკანოსიძე — *თსუ*
- დავით ჯანაშია — *ტორპედო*
- ზურაბ არჩვაძე — *ბათუმი*
- მალხაზ მახარაძე — *ბათუმი*
- გიორგი ჩიხრაძე — *ლოკომოტივი*
- ზაზა ცძიფურიშვილი — *მერანი*
- გრიგოლ ბედიაშვილი — *გორდა*

გუნდი: ბათუმი — მწვრთნელი: ჯანი კარნევალე *ბათუმი*

«ა» ზონა

თბილისი
18 მარტი
15 საათი
ეროვნული
5 000 (ტევადობა 75 000)

დინამო 0:0 ბათუმი

დინამო: გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, დიდავა, სიჭინავა, წიტაიშვილი (ხუციშვილი 42), პ. ჯინჭარაძე, ზირაქიშვილი, ო. გველესიანი, გუჩუა, ანჩაბაძე (რუხაძე 78)
სათადარიგონი: ა. ჩიხრაძე; შაშიაშვილი, რ. არველაძე
ბათუმი: ტოგონიძე, ზ. არჩვაძე, მინდაძე, მ. მახარაძე (თარგამაძე 80), ხუჯაძე, სიდამონიძე (ი. მახარაძე 46), ღლონტი, გელა ქორიძე, ხომერიკი, ა. მუჯირი (თ. ტულუში 61), მაჭუტაძე
სათადარიგონი: ჩლაიძე; ქაცარავა, აფხაზავა, რომანაძე
გაფრთხილება: ქემოკლიძე (18), მაჭუტაძე (20), არჩვაძე (44), ანჩაბაძე (53), ტოგონიძე (90)
მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); გ. მაისურაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

ქუთაისი
18 მარტი
15 საათი
ტორპედო
5 000 (ტევადობა 23 800)



ტორპედო 5:0 იბერია

1:0 ახვლედიანი (25), ჯანაშია (71), **3:0** იონანიძე (75), **4:0** ბობოხიძე (85), **5:0** იონანიძე (90)
ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი, თურმანიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, ჩხეტიანი (ასათიანი 80), კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი, დ. ჯანაშია (მ. ბობოხიძე 83), მეგრელაძე (ვაჩიბერაძე 83), იონანიძე
სათადარიგონი: სომხიშვილი; მახვილაძე, თავბერიძე, ამისულაშვილი
იბერია: გ. დოლიძე, გედენიძე, გეგეშიძე, მიქელთაძე, ნ. გიორგაძე, მ. ჯინჭარაძე, ს. გიგიაძე, სანიკიძე, ლ. ხმალაძე (დ. ნოზაძე 86), ივეჩიანი (ზ. მეტრეველი 88), მუმლაძე
სათადარიგონი: ა. ჩომახიძე; კ. ჯანაშია, ფვანია
გაფრთხილება: მუმლაძე (29), ხმალაძე (72)
მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა)
სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

მცხეთა
18 მარტი
15 საათი
არმაზი
200 (ტევადობა 3 000)

ვიტ ჯორჯია 2:1 დილა

1:0 ქორიძე (65), **2:0** მელქაძე (69), **2:1** ლომიძე (75)
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, საჯაია, ჭანკოტაძე, თოდუა, კობიაშვილი, ლ. ნოზაძე, დიღმელაშვილი, ი. ხაჭაპურიძე (ლ. მელქაძე 46), ყიფიანი (კოტორაშვილი (57), გიორგი ქორიძე, რ. გოცირიძე (ზ. გვაზავა 71)
სათადარიგონი: მამარდაშვილი, ჯ. მუჯირი, ვ. გოჩაშვილი, დ. დოლიძე
დილა: მდივანი, აკოფიანი, ვ. სამხარაძე (ოლგესაშვილი 59), გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, მარეხაშვილი, საყვარელიძე (არუთინიანი 64), სულთანიშვილი (ციცქიშვილი 46), ზ. ხორგუაშვილი, ფეზუაშვილი
სათადარიგო: სოღოლაშვილი
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. შილაკაძე (თბილისი); ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); მ. მალაღურაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ბოლნისი
18 მარტი
15 საათი
თემურ სტეფანია
1 500 (ტევადობა 3 000)



სიონი 1:0 კოლხეთი

1:0 ისიანი (25პ)
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, დიმიტრიშვილი, მ. სამხარაძე, ნ. მინდიაშვილი, მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე (სვანაძე 70), მაზანიშვილი, ბ. შენგელია, კ. გოგოლაძე, ისიანი (ა. ბოკერია 65)
სათადარიგონი: დალაქიშვილი; ჩაგელიშვილი, ფ. არჩვაძე, ელბაქიძე
კოლხეთი: ქვაჩახია, ქუნთელია (ხუჭუა 68), ტორჩინავა, დავითნიძე, მ. ქობულაძე, ტრაპაიძე, კიკლიაშვილი, რ. ახალკაცი (ე. გვასალია 46), შალამბერიძე, შავგულიძე, კედელაშვილი
სათადარიგონი: მ. გვასალია; პაპავა, გ. ჩიტაია, ანჯაფარიძე, ღაღანიძე
გაფრთხილება: თ. სამხარაძე (58), კედელაშვილი (69), მ. გოგოლაძე (83)
გაძევება: დავითნიძე (23)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ვ. ჩოჩიშვილი, ზ. ჯვარიძე; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

«ბ» ზონა

თბილისი
19 მარტი
15 საათი
შევარდენი
2 000 (ტევადობა 3 000)

ლოკომოტივი 0:0 სამგურალი

ლოკომოტივი: ლომაია, ლ. მიქაძე, დ. გოდერძიშვილი (კაციაშვილი 41), აბრამიძე (გ. გვაზავა 80), გ. ჩიხრაძე, გ. ჩხაიძე, ჯუღელი, ჭიჭვეიშვილი (ონიანი 46), ძოძუაშვილი, ხუროძე, რუსია
სათადარიგონი: ნიკურაძე; ბაქრაძე, სალუქვაძე, ლ. ჩხაიძე
სამგურალი: სტურუა, ფრანგიშვილი, კვერნაძე (ზ. ქუთათელაძე 41), ხუნდაძე, ჭყონია, ღონღაძე, ჩხაბერიძე, გიორგობიანი, გ. ძაგნიძე (ვადაჭკორია 72), სუხიაშვილი, გ. გოგოლაძე (ჭელიძე 43)
სათადარიგონი: ბოდოკია; ნებიერიძე, ბაბუნაშვილი, დარსაძე
გაფრთხილება: ჩხაბერიძე (4), ვადაჭკორია (72), აბრამიძე (80), ვადაჭკორია (81), ხუროძე (88)
გაძევება: ვადაჭკორია (82)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი; ლ. რაზმაძე (ორივე გორი), გ. მარღიშვილი (ქარელი); მ. მალაღურაძე (თბილისი)
სფფ-ს ინსპექტორი: ა. მილჩენკო

თბილისი
19 მარტი
15 საათი
ისანი
300 (ტევადობა 3 000)



არსენალი 0:2 თსუ

0:1 წუწუნავა (85), **0:2** დეკანოსიძე (90)
არსენალი: კუპატაძე, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, ხარებავა, სულაძე (გ. ტულუში 79), შუკაკიძე, ი. კაპანაძე, კაკაშვილი, ა. ხმალაძე, წიკნიკაძე (ქოიავა 46)
სათადარიგონი: დ. ქაცარავა; ჩალაძე
თსუ: მერლანი, ინწკირველი, ებრალიძე, კვიციანი, სვანაძე, მესხი (ფარქოსაძე 68), ხართიშვილი, დეკანოსიძე, გ. ადამია, მაზიაშვილი (დ. არჩვაძე 79), წუწუნავა
სათადარიგონი: გუგუნავა; ლობჟანიძე, თ. ბოკერია, ქადაგიძე, ბ. ნოზაძე
გაფრთხილება: ადამია (8)
მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), მ. ელიკაშვილი; ა. კრიჭაშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

თბილისი
19 მარტი
15 საათი
სინათლე
1 500 (ტევადობა 2 000)

მერანი 0:0 გორდა

მერანი: ნაჭყეპია, გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, ივანიშვილი, კარიაული, გ. კვეტენაძე, დევიძე, კობესაშვილი, ბოლქვაძე, ჭინჭარაული (თოლორდავა 84), კაკაბაძე
სათადარიგონი: კოროშინაძე; პ. ლურსმანაშვილი, აბულაძე, ჯიშკარიანი, კოშკაძე, როსტრიაშვილი
გორდა: ბედიაშვილი, გაბელაია, ბერიძე, ლ. სილაგაძე, მ. სახვაძე, გ. კილასონია, კ. ალადაშვილი, მელაძე, ზ. ლაბაძე, ვ. კილასონია, მიშველიძე
სათადარიგონი: გონგაძე; მჭედლიძე, ბუკია, კიტეიშვილი, ბაჩილავა, წიკლაური
გაფრთხილება: ბოლქვაძე (44), კარიაული (49)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. ორდონიძე (ონი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

თბილისი
20 მარტი
15 საათი
დიღმის ბაზა
300 მაყურებელი



თბილისი 3:0 ხობი

1:0 გონჩაროვი (63), **2:0** ბურდული (64), **3:0** გადელია (79)
თბილისი: ბათიაშვილი, ზამთარაძე, მაჭავარიანი, პაპიძე, კანდელაკი, კოხრეიძე (დ. ტყებუჩავა 25), გ. ლუდუშაური (ნორაკიძე 70), ბურდული, ბარნოვი, გადელია, გონჩაროვი (ზვ. ლაბაძე 84)
სათადარიგონი: მამალაძე; ამაშუკელი, კ. მელქაძე, ჩივაძე
ხობი: ნიქაბერიძე, ჯამბურია, ოდიშარია, ვ. ალანია, ვ. ჩიტაია, ხურცილავა, გ. გიორგაძე, ქაშიბაძე, ლ. ბუკია, ჭიჭინაძე, ზაზა აიანიდი (დანელია 67)
სათადარიგონი: რ. თოლორდავა; ვართაგავა, ბულუხია, ჯიქია, მ. ტყებუჩავა, აბაკელია
მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); ა. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. მეშკოვი (თბილისი);
სფფ-ს ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

«ა» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ტორპედო	2	2	0	0	8:1	7	24	2	2	0	0	8:1	7	6	0	0	0	0	0:0	0	0
2 დინამო	3	0	3	0	0:0	0	20	2	0	2	0	0:0	0	2	1	0	1	0	0:0	0	1
3 ვიტ ჯორჯია	3	2	1	0	3:1	2	19	2	2	0	0	3:1	2	6	1	0	1	0	0:0	0	1
4 სიონი	3	2	0	1	5:2	3	17	2	2	0	0	5:1	4	6	1	0	0	1	0:1	-1	0
5 ბათუმი	2	1	1	0	6:0	6	17	1	1	0	0	6:0	6	3	1	0	1	0	0:0	0	1
6 კოლხეთი	3	0	1	2	1:4	-3	14	1	0	1	0	0:0	0	1	2	0	0	2	1:4	-3	0
7 იბერია	3	1	0	2	2:12	-10	12	1	1	0	0	2:1	1	3	2	0	0	2	0:11	-11	0
8 დილა	3	0	0	3	3:8	-5	10	0	0	0	0	0:0	0	0	3	0	0	3	3:8	-5	0

«ბ» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
9 ლოკომოტივი	3	2	1	0	5:1	4	16	2	1	1	0	4:1	3	4	1	1	0	0	1:0	1	3
10 მერანი	3	2	1	0	2:0	2	15	1	0	1	0	0:0	0	1	2	2	0	0	2:0	2	6
11 თსუ	3	2	0	1	3:1	2	14	2	1	0	1	1:1	0	3	1	1	0	0	2:0	2	3
12 გორდა	2	1	1	0	2:0	2	12	1	1	0	0	2:0	2	3	1	0	1	0	0:0	0	1
13 თბილისი	3	1	0	2	3:3	0	10	2	1	0	1	3:1	2	3	1	0	0	1	0:2	-2	0
14 ხობი	3	1	0	2	3:8	-5	8	1	1	0	0	2:1	1	3	2	0	0	2	1:7	-6	0
15 სამგურალი	3	0	1	2	0:2	-2	7	1	0	0	1	0:1	-1	0	2	0	1	1	0:1	-1	1
16 არსენალი	2	0	0	2	1:4	-3	5	1	0	0	1	0:2	-2	0	1	0	0	1	1:2	-1	0

ჯაკობია ნაკრებში!

ლაშა ჯაკობია

ფოტო ალექსანდრე ფეფელაშვილის

„ჯაკობიამ ლიდერი ბოლო წუთზე დააჩოქა“ — ასეთი სათაურით გამოვიდა ორშაბათს ერთ-ერთი ბელგიური გაზეთი, თუმცა ქართველის წარმატება სხვებმაც აღნიშნეს. აუტსაიდერმა „ვეზეტმა“ პირველდივიზიონელი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ შესყიდული „ანტვერპენი“ შეაჩერა. „ვეზეტისგან“ სენსაციას არავინ ელოდა, „ანტვერპენი“ კი ერთ დროს ბელგიური საკლუბო ფეხბურთის ელიტას მიეკუთვნებოდა, უახლოეს მეტოქე „დეზელ სპორტს“ მთელი 12 ქულით უსწრებდა და ლიგაში საუკეთესო თავდასხმა ჰყავდა.

ვინც მრისხანე სტუმრებს არ შეუშინდა, ლაშა ჯაკობია იყო. „ვეზეტ“-„ანტვერპენის“ შეხვედრა სეზონში ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო — მატჩზე 4000 ლიეჟელი მივიდა. ლაშამ უკვე მეოთხე წუთზე გააბითურა სტუმართა ორი მცველი და საგოლე პასი მიაწოდა ფასოს — 1:0. მერე ლიდერმა იძალა. ჯერ 35-ე წუთზე გეულტრმა გაქვითა, 54-ზე კი დე როჩიმ წინ გაიყვანა „ანტვერპენი“. თუმცა სტუმრებს გამარჯვება არ ეწერათ. 90-ე წუთზე ჯაკობია ინდივიდუალურად 3 (!) მცველს გაექცა და ლიდერს გამარჯვება არ დაანება — 2:2. ეს ლაშას მე-9 გოლი იყო მე-12 შეხვედრაში, რაც, დაგვთანხმებით, ბელგიის მეორე დივიზიონის კვალობაზეც კი მშვენიერი შედეგია. მით უფრო გასაკვირია, რომ ჯაკობია არც ეროვნულშია გამოძახებული და არც ახალგაზრდულში. ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული თავდამსხმელის ასეთი უგულებელყოფა სრულიად გაუგებარია.

თავისი მე-6 გოლი გაიტანა სეზონში დავით მუჯირმა. „შერიფმა“ სწორედ ქართველის წყალობით სძლია სტუმრად 1:0 „ენერგეტიკს“ და კვლავ 4 ქულით უსწრებს ლევან გვაზავას „ზიმბრუს“, რომელმაც 2:1 აჯობა „ნისტრუს“. მე-8 გოლი შეაგდო აზერბაიჯანში ბადრი კვარაცხელიამ. „შამქირმა“ აუტსაიდერი ოიკ-ი დაამარცხა — 3:0. ბადრი კვლავაც საუკეთესო ბომბარდირია.

სენსაცია მოახდინა ქართველების „ნივამ“. ამ უკრაინულ კლუბში ზუთი ჩვენებური ოფიციალურად ირიცხება, ოთხი კი მას უკონტრაქტოდ მიჰკედლება. „ნივამ“, რომელმაც სეზონის წინ ცუდი მომზადება გაიარა და ფეხბურთელების ორი თვის ვალი მართებს, რის გამოც წამყვანმა მოთამაშეებმა მიატოვეს, ლიდერთა ექვსეულში მყოფი ხარკოვის „მეტალისტი“ დაამარცხა — 2:1. გამარჯვების გოლი ავთანდილ კაპანაძემ გაიტანა.

უკრაინაში კიდევ ორი ქართველის დებიუტი შედგა ალეკო კაიდარაშვილი ოლეგ ტარანმა მაშინ შეუშვა მინდორზე, როცა „კრივბასი“ 1:2-ს აგებდა. მატჩი 2:2 დასრულდა, თუმცა კაიდარაშვილს არ გაუტანია. კვლავ სასწაულებრივი უიღბლობა სდევს გიორგი დემეტრაძეს. კიევურ დერბიში „დინამოს“ 27-ე ნომერს სამჯერ მაინც უნდა გაეტანა. სამაგიეროდ, საუკეთესო იყო კახა კალაძე. მან საგოლე პასიც გაახერხა. პრემიერლიგაში „ლივერპულის“ დაცვამ ჩვეულად არ ათამაშა გიორგი ქინქლაძე. „სანის“ ცნობით, „წითლებმა“ ყველაზე დიდი ძალა ქართველის გაუვნებლებას მიახმარეს და მატჩი აუღელვებლად მოიგეს. გიოს ერთი მომენტი ჰქონდა, თუმცა ბურთი ძელს მოარტყა. „დერბი“ კვლავ გავარდნის კანდიდატია.

ბუნდესლიგაში ქართველებმა ნორმალურად ითამაშეს, თუმცა „კიკერის“ კეთილგანწყობა ვერ დაიბრუნეს. იაშვილმა — 4, კობიაშვილმა — 3,5 მიიღეს „ჰამბურგთან“ 90-წუთიანი ომისთვის. „ფრაიბურგმა“ ზედიზედ მეხუთედ წააგო და გასავარდნებში რომ არ ჩაირიცხა, „აინტრახტს“ უნდა უმადლოდეს. იაშვილს სამი საგოლე შანსი ჰქონდა, კობიაშვილს — ერთი. საბოლოოდ კი 0:2.

შვეიცარიის მთავარ დივიზიონში, როგორც ჩანს ადგილს შეინარჩუნებს „ციურიხი“. დედაქალაქელებმა პროვინციულ „ბელინზონას“ 4 უპასუხო გოლი გაუტანეს. პირველი ტაიმის დასწყისში შასომ და ტრავამ, შემდეგ კი ორჯერ ნდლოვუმ გამოიჩინეს თავი. ჯამარაულმა მთელი მატჩი ითამაშა. ყველაშვილი განაცხადშიც არ იყო.

როგორც იქნა, პოლონეთის ლიგაში გამოჩნდა მამია ჯიქია. მან 2 წუთი ითამაშა „გროცლინთან“. ქართველი მოედანზე მაშინ გამოჩნდა, როცა „რუხი“ 3:0-ს იგებდა. ეს მეოთხე შეხვედრაა სეზონში, როდესაც ჯიქიას თამაში ეღირსა. ექსზუგდიდელმა პირველ სამ ტურში ძირითადში ითამაშა, შემდეგ დაშავდა, ადგილი დაკარგა და მხოლოდ ახლა დაბრუნდა.

100 წლის იუბილე უშოთაოდ გადაიხადა „აიაქსმა“. ჩვენებურს მეტად გაუმართლა, რომ ამ უბედურების მონაწილე არ გახდა. ამსტერდამელებმა 0:1 წააგეს და ფანობის რისხვა დაატყდათ თავს. ისინი მთელი შეხვედრის განმავლობაში უყვიროდნენ ვოუტერსს: „წაეთრიე გუნდიდან!“ (გუშინ იგი სინდისმა შეაწუხა და მართლაც გადადგა). გულშემატკივრები თავიანთ თავდამსხმელებს „კოკა კოლას“ ბოთლებს უშენდნენ, ბოლოს კი ქალაქის მერიის შენობის ასაღებად გაიწიეს და გზად მაღაზიის მინები დალეწეს.

თემურ ქეცბაია კვლავ სათადარიგო სკამიდან უცქერდა, როგორ ამარცხებდნენ „ჯორდები“ „ევერტონს“. გელა შეყილაძის თამაშით თასის ნახევარფინალში ვალტერ მეუესი უკმაყოფილო დარჩა (მაშინ „ლიერსმა“ „მუსკრონთან“ წააგო, შეყილაძე კი 33-ე წუთზე შეცვალეს), ამიტომ ქართველს „შარლერუასთან“ არ უთამაშია. ზედიზედ მეორე ტურია, არ ჩანან არჩილ არველაძე („ბრედაში“) და გოდერძი ნატროშვილი („პანაჰაიკში“). აჩიკოს ბავშვი ჰყავს ავად, ხოლო ნატროშვილს რა დაემართა, არავინ იცის.

ბულგარეთში „ბელასიცამ“, რომელმაც ზაზა ზირაქიშვილი დაითხოვა, უკრაინელი ჩოროპკოს გოლით მოუგო „ჩერნომორეცს“. ნინუას არ უთამაშია, თუმცა მოგებისთვის 300 გერმანული მარკა მაინც მიიღო. ეს თავად „ბელასიცას“ პრეზიდენტმა მოისურვა. სამაგიეროდ, მეტოქე „ჩერნომორეცის“ მწვრთნელმა მატჩს „ამაზრზენი პორნოგრაფია“ უწოდა და მაფიოზური „ბელასიცას“ ჩემპიონატიდან გარიცხვა მოითხოვა. ფედერაცია ამ საკითხს მომავალ კვირას განიხილავს.

სიმონ მენაბდე

სახელი	გვარი	კლუბი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა
ინგლისი						
პრემიერლიგა						
თემურ	ქეცბაია	ნიუკასლი	ს	ევერტონი 2:0	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
გიორგი	ქინქლაძე	დერბი	შ	ლივერპული 0:2	90	
რატი	ალექსიძე	ჩელსი	ს	ვესტ ჰემი 0:0	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
პირველი დივიზიონი						
კახი	ცხადაძე	მანჩესტერ სიტი	შ	ჩარლტონი 1:1	0	ტრავმა
გერმანია						
ბუნდესლიგა						
ალექსანდრე	იაშვილი	ფრაიბურგი	შ	ჰამბურგი 0:2	90	
ლევან	კობიაშვილი	ფრაიბურგი	შ	ჰამბურგი 0:2	90	
ლევან	ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	ჰამბურგი 0:2	0	ტრავმა
ჰოლანდია						
პირველი დივიზიონი						
შოთა	არველაძე	აიაქსი	შ	ტვენტე 0:1	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
მეორე დივიზიონი						
არჩილ	არველაძე	ბრედა	ს	ემენი 2:0	0	
ბელგია						
პირველი დივიზიონი						
გელა	შეყილაძე	ლიერსი	შ	შარლერუა 2:0	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
მეორე დივიზიონი						
ლაშა	ჯაკობია	ვეზეტი	შ	ანტვერპენი 2:2	90	გოლი, საგოლე პასი
შვეიცარია						
პირველი დივიზიონი						
გოჩა	ჯამარაული	ციურიხი	შ	ბელინზონა 4:0	90	გაფრთხილება
მიხეილ	ყაველაშვილი	ციურიხი	შ	ბელინზონა 4:0	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
საბერძნეთი						
პირველი დივიზიონი						
გოდერძი	ნატროშვილი	პანაჰაიკი	შ	პანიონისი 1:0	0	
ლევან	ქებაძე	ირაკლისი	ს	ეთნიკოსი 1:3	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
ავსტრია						
ბუნდესლიგა						
ზაზა	რევიშვილი	ზალცბურგი	ს	რაპიდი 0:5	0	განაცხადში შეყვანას ელოდება
უკრაინა						
უმაღლესი ლიგა						
კახა	კალაძე	დინამო	შ	ცსკა 3:1	90	საგოლე პასი
გიორგი	დემეტრაძე	დინამო	შ	ცსკა 3:1	90	
ალექსანდრე	კაიდარაშვილი	კრივბასი	შ	დნიპრო 2:2	20	შეცვლაზე ითამაშა
ვიტალი	დარასელია	ცსკა	ს	დინამო 1:3	0	შემადგენლობაში ვერ ხვდება
ავთანდილ	კაპანაძე	ნივა	შ	მეტალისტი 2:1	90	გოლი, შეცვალეს
ტარიელ	კაპანაძე	ნივა	შ	მეტალისტი 2:1	75	საგოლე პასი, შეცვალეს
კახა	დგებუაძე	ნივა	შ	მეტალისტი 2:1	15	შეცვლაზე ითამაშა
ავთანდილ	გვიანიძე	ნივა	შ	მეტალისტი 2:1	90	
ავთანდილ	სიხარულიძე	ნივა	შ	მეტალისტი 2:1	33	შეცვლაზე ითამაშა
პოლონეთი						
პირველი ლიგა						
მამია	ჯიქია	რუხი	ს	გროცლინი 3:0	2	შეცვლაზე ითამაშა
ისრაელი						
პრემიერლიგა						
გიორგი	დარასელია	ჰაპოელი (ქფარ სავა)	ს	აშდოდი 1:1	90	
გიორგი	გახოკიძე	მაკაბი (ჰაიფა)	შ	ჰაპოელი (ი) 6:0	0	დისკვალიფიცირებულია
ბულგარეთი						
უმაღლესი დივიზიონი						
კობა	ნინუა	ბელასიცა	შ	ჩერნომორეცი 1:0	0	შემადგენლობაში ვერ ხვდება
მოლდოვა						
პირველი დივიზიონი						
ლევან	გვაზავა	ზიმბრუ	შ	ნისტრუ 2:1	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
დავით	მუჯირი	შერიფი	ს	ენერგეტიკი 1:0	90	გოლი
გიორგი	რევაზიშვილი	შერიფი	ს	ენერგეტიკი 1:0	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
ვაჟა	თარხნიშვილი	შერიფი	ს	ენერგეტიკი 1:0	90	
თამაზ	პერტია	შერიფი	ს	ენერგეტიკი 1:0	61	შეცვალეს
აზერბაიჯანი						
უმაღლესი ლიგა						
ბადრი	კვარაცხელია	შამქირი	ს	ოიკ 3:0	90	გოლი

იუბილეც ასეთი უნდა

აიაქსის თავკაცი იან ვოუტერსი თანამდებობიდან გაათავისუფლეს

1900 წლის 18 მარტს ამსტერდამში დაფუძნდა გუნდი, რომელსაც „აიაქსი“ ეწოდა. გავიდა ხანი, კლუბმა სახელი და დიდება მოიხვეჭა და არამარტო ჰოლანდიის, ევროპის მასშტაბითაც გაიბრწყინა. გუნდმა მსოფლიოს არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი აჩუქა. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მარტო იოჰან კრუიფის სახელი რად ღირს...

მოახლოვდა 90-იანი წლები. კვლავ ტრიუმფი — „აიაქსმა“ მეოთხე ჩემპიონთა თასი მოიგო. შემდეგ კი, თითქოს ეპოქა დასრულდაო, უკუსვლა დაიწყო და ასე მიადგა ათასწლეულების მიჯნას...

რას მოგვაგონებს დღევანდელი „აიაქსი“? ნუთუ იმ სახელოვან გუნდს, რომელიც ერთ დროს საფეხბურთო ევროპას აზანზარებდა და ნებისმიერ ტურნირში უდავო ფავორიტად ითვლებოდა? ალბათ, არა...

15 თვის წინ „აიაქსის“ ხელმძღვანელობამ კრიზისის დაძლევა სცადა, ბევრი იმსჯელა და თითქოს გამოსავალი გამონახა — კლუბის მთავარ მწვრთნელად იან ვოუტერსი დაინიშნა.

იან ვოუტერსი

იან ვოუტერსი

დაიბადა 1960 წელს უტრეხტში.

ფეხბურთის თამაში დაიწყო 1980 წელს იქაურ კლუბ „უტრეხტში“. 1985 წელს გადაბარგდა „აიაქსში“. თამაშობდა ნახევარმცველად. 1991 წელს გადავიდა მიუნხენის „ბაიერნში“, ხოლო იქიდან პსვ-ში. 1996 წელს დაასრულა საფეხბურთო კარიერა. 1997 წელს დაინიშნა „აიაქსის“ სარეზერვო გუნდის მწვრთნელად, 1998 წლის 13 დეკემბერს კი — „აიაქსის“ თავკაცად.

ჰოლანდიის ეროვნულ გუნდში ჩაატარა 70 შეხვედრა, გაიტანა 4 გოლი. ითამაშა მსოფლიოს ორ (1990 და 1994 წელს) და ევროპის ორ (1988 და 1992 წელი) ჩემპიონატზე.

ევროპის ჩემპიონი 1988 წელს.

ვოუტერსის ხელმძღვანელობით

„აიაქსმა“ ვერაფრით გამოიჩინა თავი. უეფას თასის გათამაშებიდან და ჰოლანდიის თასიდან ადრეულ ეტაპზე გამოვარდა. ამსტერდამელები ჩემპიონატშიც ვერაფრით დაიკვეხნიან.

სეზონის დასაწყისში კლუბი თითქოს მოძლიერდა. 35 მილიონი დოლარი დახარჯა, დანიელი ბრაიან ლაუდრუპი და ბერძენი ნიკოს მახლასი შეიმატა, მაგრამ...

„სეზონი დიდი ამბიციით დავიწყეთ, გვწამდა, რომ „აიაქსი“ კარგ შედეგს მიაღწევდა — ამბობს კლუბის დირექტორი ფრანკ კალესი — მაგრამ წლევანდელმა სეზონმა აშკარად გაგვაწბილა, ვოუტერსის გათავისუფლებაც ამიტომ გადავწყვიტეთ.“

შემცვლელის ძებნა

დირექტორატის ცნობით, ვოუტერსის შემცვლელს კლუბი უახლოეს სამ კვირაში დაასახელებს, სეზონის ბოლომდე კი „აიაქსს“ ახალგაზრდული გუნდის თავკაცი ჰანს ვესტერჰოფი უხელმძღვანელებს.

ჰოლანდიურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მომავალი სეზონიდან ამსტერდამულ კლუბს „ტილბურგის“ ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი კო ადრიანსე ჩაიბარებს. (შეგახსენებთ, რომ ადრეანსე თბილისსაც სწვევია, „დინამო“ უეფას თასზე „ტილბურგს“ დაუპირისპირდა, ყოლანდიურ გუნდს იმჟამად სწორედ ადრიანსე ავარჯიშებდა).

„ადრიანსესთან ჯერ არ გვისაუბრია — ამბობს კალესი — ვოუტერსის შემცვლელს ჯერ კიდევ ვეძებთ. ყველა შესაძლო კანდიდატს განვიხილავთ.“

ადრეანსე 1992-დან 1997 წლამდე „აიაქსის“ ახალგაზრდულ გუნდში მუშაობდა, მაშინ კლუბს ლუის ვან გაალი წვრთნიდა, ადრიანსემ ცნობილი ჰოლანდიელი თავკაცისგან საკმაო გამოცდილება შეიძინა. ამჟამად „ტილბურგში“ მოღვაწეობს, თუმცა სეზონის ბოლოს გუნდიდან წასვლას აპირებს. ამიტომ არ არის გამორიცხული, მომავალი წლიდან სწორედ „აიაქსში“ მივიდეს.

კიდევ ერთი კანდიდატი „ალკმაარის“ ყოფილი თავკაცი ვილემ ვან ჰეგემია, ასახელებენ „სელტიკის“ ყოფილ მწვრთნელ ვიმ იანსენსაც, თუმც ყველაზე რეალური ალბათ მაინც ადრიანსეს კანდიდატურაა.

ნიკა ფუბლაძე

ფეხბურთელი კირონ დაიერი

ჩრდილი

დაბადება 1978 წლის 29 დეკემბერს ინგლისში, ქალაქ იფსვიჩში

კლუბები: „იფსვიჩ თაუნი“, „ნიუკასლ იუნაიტედი“

დებიუტი ნაკრებში 4.09.1999 ინგლისი — ბულგარეთი

კაცმა რომ თქვას, გასულ შაბათ-კვირას ჩატარებული ოცდაათზე მეტი თამაშიდან რჩეულად მაინცდამაინც იმ ფეხბურთელის არჩევა, რომელმაც მოედანზე სულ 13 წუთი დაჰყო, ერთობ საკამათოა.

ჰოდა ვიკამათოთ!

ბარემ ისიც აღვნიშნოთ, რომ ამ წერილის ავტორი უფრო საკუთარ თავთან კამათობს, ვიდრე წარმოსახვით თუ კონკრეტულ მოდავესთან. დავის ძირითადი მიმართულება კი, ალბათ, ასეთი უნდა იყოს: ერთი მხარე უნდა ამბობდეს, რომ კირონ დაიერმა, რომელსაც რჩეულობა არგუნა, ულამაზესი გოლი გაიტანა, ხოლო ფეხბურთი ჩვენთვის, მილიონობით მაყურებლისა და შემფასებლისთვის სანახაობაა და მეტი არაფერი. ამაზე მეორე მხარე უნდა პასუხობდეს, რომ საუკეთესო ფეხბურთელი სინამდვილეში სულ სხვა რამ არის, ვიდრე მილიონობით მოსერე დილეტანტს ჰგონია. რჩეულად უნდა ასახელებდნენ იმას, ვინც ყველაზე მეტი ზუსტი პასი გადააწოდა, ყველაზე ნაკლებად დაკარგა ბურთი, წარმატებით ერთვებოდა დაცვაში, არ იგვიანებდა ზონის გადაკეტვას, დროულად იხსნებოდა და თანაგუნდელებს სწორი შეტევის განვითარების საშუალებას აძლევდა, დატვირთვას ბოლომდე გაუძლო და ასე შემდეგ. იმავე დაიერზე იგივე მეორე იტყვის, რომ ეს სულაც არ იყო „ევერტონის“ კარში გატანილი ნიუკასლელთა ორი გოლიდან უფრო მნიშვნელოვანის ავტორი. ის დაასაბუთებს, რომ თამაშის ბედი არონ ჰიუზის პირველმა გოლმა გადაწყვიტა და დაიერს თავისი გოლის გასატანად სწორედ მან შეუქმნა წინაპირობა, რადგან გათანაბრების სურვილმა ლივერპულელებს შეტევისკენ უბიძგა და აკი მოუშიშვლდათ კიდეც ზურგი.

დაიერმა თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ბურთი საკუთარ ნახევარზე მიიღო. შეხვედრა ძალიან სწრაფად მიმდინარეობდა, მოწინააღმდეგის კარამდე სულ მცირე 60 მეტრი იყო. ნახევარმცველი სულ სამჯერ შეეხო ბურთს, პირველად იქვე — მეტოქეს თავზე გადაუგდო, მეორედ შუაგზაზე — მეტოქეს თავზე გადაუგდო, მესამედ საჯარიმოს პირას — მეკარეს თავზე გადაუგდო და ბადეში ჩაუშვა...

პირველი მოკამათე იტყვის, რომ ფეხბურთი ასეთი მომენტებისთვის არსებობს, პასები და კოეფიციენტები კი მწვრთნელებმა უნდა ითვალონ.

...დაიერი „იფსვიჩ თაუნის“ მთავარ გუნდში 1997 წელს რეზერვებიდან აიყვანეს. ჭაბუკი ძირითად შემადგენლობას არ შეუშინდა და მალე გაითქვა სახელი, რისი ლოგიკური შედეგიც ინგლისის 21 წლამდელთა ნაკრებში მოლდოვას წინააღმდეგ თამაში გახლდათ.

ახალგაზრდულში ორი მატჩის შემდეგ ბრწყინვალე კარიერის დასაწყისი ფეხის მოტეხვამ შეაჩერა, თუმცა ძალი შეხორცდა თუ არა, დაიერმა ზღაპარში ამოჰყო თავი — კევინ კიგანმა, არც მეტი არც ნაკლები, ეროვნულ გუნდში გამოიძახა და ევრო 2000-ის შესარჩევში, სოფიაში, ბულგარეთთან ათამაშა.

„იფსვიჩში“ ჩვენმა დღევანდელმა რჩეულმა 100 შეხვედრა ჩაატარა და 9 გოლი შეაგდო. ეს შედეგი ნურავის შეაცბუნებს, დაიერი ხომ თავდამსხმელი არ არის, ის დაცვისკენ მიდრეკილი ნახევარმცველია.

აშკარა იყო, ნიჭიერ ახალგაზრდას ქვედა ლიგაში არავინ გააჩერებდა და მის კარიერაში კიდევ ერთი ლოგიკური საფეხური გამოითალა — ფეხბურთელი 6 მილიონ გირვანქად „ნიუკასლ იუნაიტედმა“ შეიძინა.

„კაჭკაჭების“ შემადგენლობაში დაიერი პირველად „ასტონ ვილასთან“ წაგებულ შეხვედრაში გამოჩნდა — შესვენებაზე მისებრ დებიუტანტი, დაშავებული მარსელინიო ელენა შეცვალა. რაც შეეხება პირველ სტარტს, მან მოგვიანებით, „უაით ჰართ ლეინზე“ „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ წინააღმდეგ მოუწია.

შემდეგ, კირონ დაიერმა მყესის ოპერაცია გაიკეთა და რამდენიმე კვირა გამოსტოვა, მაგრამ დღეს კვლავ ჯანზეა, ელვის სისწრაფით დაქრის და პრემიერლიგის სირთულეებსაც კარგად უღებს ალღოს. ევრო 2000-ზე კი მას შესაძლოა ბელგიისა და ჰოლანდიის სტადიონებზეც მოვკრათ თვალი.

პაპუნა ძედია

კირონ დაიერი

დედა მინდაააა!

მამაც, ძმებიც, დებიც და ბიძაშვილ-მამიდაშვილებიც

მაშინ ნქლაძე მანჩესტერში ახალი ჩასული იყო. თბილისში ლიდი ბრიტანეთის საელჩო არ არსებობდა და დედამისმაც სტამბოლს გასწია. რატომ, ვერავინ გაიგო, მაგრამ ქალბატონ ხათუნას ინგლისში შესვლაზე უარი უთხრეს. მხოლოდ მეორე ცდამ გამოიღო შედეგი.

ლონდონში ახლახან გადაბარგებული რატი ალექსიძის მამას საერთოდ არ შექმნია მსგავსი პრობლემა და ბატონი თემური ყურადღებას არ აკლებს შვილს.

აი, ბატონ იჰემსა და ქალბატონ მგბოკვოს კი არა და არ ეღირსათ გაერთიანებულ სამეფოში ჩასვლის ნებართვა. ამ ჩემს ფეხებსო, გთხოვთ, ნუ იტყვით — მართალია, საფიქრალ-თავშისაცემი მოგვჭარბებია, დიდსულოვნება გამოვიჩინოთ და ერთი საბრალო ბიჭი შევიცოდოთ.

დედა – ერთი, მამა – ორი, ისა, რა ქვია იმას – სამი...

ბიჭს ნვანკვო კანუ ჰქვია, „არსენალში“ თამაშობს და გოლებიც გააქვს. თან მილიონერია. 23 წლის.

ჰოდა, ამ 23 წლის გალონდონელებული ნიგერიელის მშობლებს (სახელები იხილეთ ზემოთ) დებს, ძმებს და ბიძაშვილ-მამიდაშვილებს (სახელები და საერთო რაოდენობა უცნობია) ინგლისში არ უშვებენ — გასულ კვირას ლაგოსში ბრიტანეთის საელჩოში ყოფილან, უამრავ კითხვაზე უპასუხიათ, თუმცა მაინც უარით გაბრუნებულან.

ბიჭი დაღონდა. „არსენალში“ კარგად ესმით, რომ ხალისიანი კანუ სჯობს უხალისოს და თვით ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს აახლეს წერილი — ეგებ თქვენ გვიშველოთ რამეო.

„ვიცი, რომ ბატონი ბლერი ფეხბურთის გულშემატკივარია და გაიგებს ჩემს საწუხარს. „არსენალის“ პრესტიჟის იმედიც მაქვს, თუმცა თუ საჭირო გახდა, თავად ჩავალ ლაგოსში და ბრიტანეთის საელჩოს მივაკითხავ. ვერაფრით გავიგე, რატომ არ უშვებენ ჩემს ახლობელ ხალხს“ — წუხს კანუ და თავისი არგუმენტები მოჰყავს: უკანონოს არაფერს ვითხოვ — ისინი ჩემი სისხლი და ხორცი არიან და ჩემთან უნდა იყვნენ. მე თქვენ გეტყვით და, ქუჩა-ქუჩა წანწალი მოუწევთ: აგერ, ორმილიონიანი სახლი ოხრად მირჩება. დე, ჩამოვიდნენ და გაინავარდონ, ყველას შეხვდება თითო ოთახი. ყველაფერს მე გადავიხდი. ცხადია, ძვირი დამიჯდება, მაგრამ იოლად არც ახლა გამოვდივარ — კვირაში ოთხჯერ ვრეკავ შინ და საათობით ვლაპარაკობ. გარწმუნებთ, ჩემი ოჯახის წევრები პატიოსანი ხალხია და ამ ქვეყანაში ცუდად არ მოიქცევიან.

და მაინც, თუ ვერც ბლერის სიტყვამ გაჭრა და ვერც „არსენალის“ პრესტიჟმა? „არა, „არსენალს“ და ლონდონს არ მივატოვებ. აქაურობა ძალიან მომწონს, თან, კონტრაქტის ყველა პირობას პირნათლად მისრულებენ. ეგაა, ერთობ მოწყენილი ვარ. სხვა ფეხბურთელებს ცოლები და გელფრენდები ჰყავთ, მე კი ამხელა სახლში მარტო ვარ და დამლაპარაკებელიც არ მყავს. ხან წიგნებს ვკითხულობ, კომპიუტერზე ვთამაშობ. ესენი რომ მომბეზრდება, საჭეს მივუჯდები და დასავლეთ ლონდონის ქუჩებში დავსეირნობ. აი, ჩემი გართობა“ — ბოლოს მაინც თავისას ჩივის კანუ.

მოკლედ, შევიცოდოთ თუ დავიკიდოთ, საკითხავი, აი, ეს არის — აქეთ ორმილიონიანი (დოლარებში 3 200 000) სახლი და საერთოდ მილიონები, იქით გულის ოპერაცია და მარტოობა...

გიგა ძოგახიძე

ფეხბურთის რუკასთან

იტალიურმა „სალერნიტანამ“ მთავარი მწვრთნელი ჯიჯი კანი დაითხოვა და მის ნაცვლად ადრიანო კადრეჯარი დანიშნა. სერია A-დან შარშან დაქვეითებული სალერნოელი გუნდი სერია B-ს გათამაშების ცხრილში ამჟამად მეშვიდე ადგილზეა. კანის განცხადებით, მას ჯერაც ვერ გაუგია, რატომ გაათავისუფლეს. „22 შეხვედრაში 35 ქულა მოვიპოვე. არა მგონია, ცუდი შედეგი იყოს. ამ ფაქტს ციფრებით ნამდვილად ვერ ახსნი“ — ამბობს კანი

ინგლისის ნაკრების ყოფილი და „საუთჰემპტონის“ ამჟამინდელი თავკაცის, გლენ ჰოდლის გადაბირებას გლაზგოს „სელტიკი“ ცდილობს. შოტლანდიურ კლუბს ამჟამად კენი დალგლიში წვრთნის, თუმცა, ბრიტანული პრესის ცნობით, სეზონის ბოლოს იგი პოსტს დატოვებს და კვლავ დირექტორის მოვალეობის შესრულებას შეუდგება. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ „სელტიკმა“ მთავარი მწვრთნელობა სწორედ გლენ ჰოდლს შესთავაზოს.

ინგლისის პრემიერლიგელ „შეფილდ უენსდის“ დივიზიონის დატოვების აშკარა საფრთხე ემუქრება. ხელმძღვანელობამ ბევრი იფიქრა და მთავარ მწვრთნელ დენი უილსონის გათავისუფლება გადაწყვიტა. შემცვლელიც უმალ მოძებნა — უოლსონის თანაშემწე პიტერ შრივსი, 1990-ან წლებში „ტოტენჰემის“ თავკაცი, რომელიც „შეფილდს“ მინიმუმ სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს. „პიტერი კარგი სპეციალისტია — ამბობს „უენსდის“ თავმჯდომარე ჰოვარდ კელი — იგი გუნდს დღეიდან უთავკაცებს. დენი უოლსონის მადლიერი ვარ, გუნდიდან წასვლის მიუხედავად, იგი შეფილდში დიდი პატივისცემით სარგებლობს“.

იტალიური რომის „ლაციოს“ კაპიტან ალესანდრო ნესტას სერია A-ს ბოლო ტურში, „ვერონასთან“ მატჩში მყესის დაჭიმა და დაახლოებით ორ კვირას ვერ ითამაშებს. მცველს პრინციპული შეხვედრების გამოტოვება მოუწევს. რომაელები დღეს ლონდონს ესტუმრებიან და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩს „ჩელსისთან“ ჩაატარებენ, სერია A-ს მომავალი ორი ტური კი „ლაციოს“ თანაქალაქელ „რომასთან“ და ლიდერ „იუვენტუსთან“ ელის.

ესპანური მადრიდის „რეალის“ თავნება ფორვარდი ნიკოლა ანელკა, რომელმაც დედექალაქი დაუკითხავად დატოვა, უახლოეს დღეებში ესპანეთში დაბრუნდება. იგი პარიზში გაუჩინარდა მას მერე, რაც სამეფო კლუბმა 45-დღიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. 21 წლის ფრანგმა უნებართვოდ მიატოვა ესპანეთი. ანელკას ჯერჯერობით არ დაუდასტურებია, აპირებს თუ არა ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშის განახლებას.

უელსელ ნახევარმცველ რაიან გიგზს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმება სურს. 26 წლის ფეხბურთელს კლუბთან მიმდინარე შეთანხმება 2002 წელს უსრულდება, თუმცა სეზონის ბოლოს ხელშეკრულების გახანგრძლივებას აპირებს. „ყოველთვის „მანჩესტერს“ ვქომაგობდი, ახლა, როცა აქ ვთამაშობ, არსად წასვლა არ მსურს, თანაც ინგლისშიც და ევროპაშიც ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ვითვლებით“ — ამბობს გიგზი, რომელმაც „მანჩესტერ იუნაიტედში“ სადებიუტო მატჩი 17 წლისამ ჩაატარა — „სხვა კლუბში გადასვლის მიზეზი ნამდვილად არ მაქვს, „მანჩესტერი“ ის გუნდია, სადაც ყველაფრის მიღწევა შეიძლება. აქ ბედნიერი ვარ“. გიგზმა პრემიერლიგის ბოლო ტურში „მანჩესტერის“ მაისურა 347-ჯერ მოირგო. თუმც ჯერჯერობით საკმაოდ ჩამორჩება „იუნაიტედის“ ცოცხალ ლეგენდას, სერ ბობი ჩარლტონს, რომელმაც 1956-დან 1973 წლამდე გუნდის რიგებში 754 მატჩი გამართა.

ესპანეთის ქალაქ ლა მაგნაში წინასასეზონო შეკრებაზე მყოფი შვედური აიკ-ის 10 ფეხბურთელს მუცლის უცნაური დაავადება შეეყარა. გუნდმა ყველა დაგეგმილი ამხანაგური მატჩი გადადო და სასწრაფოდ სტოკჰოლმში დაბრუნდა. კლუბის ფორვარდი ანდრეას ანდერსონი, მცველი ტედი ლუჩიჩი და მეკარე მათიას ასპერი შვედეთის ეროვნულ ნაკრებშიც ირიცხებიან და 29 მარტს გრაცში ავსტრიის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში, ალბათ, ვერ ითამაშებენ.

პორტუგალიური ლისაბონის „სპორტინგის“ დანიელ მეკარე პიტერ შმაიხელს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში თამაში სურს. „ევროპის პირველობის შემდეგ დასვენებას არ ვაპირებ, მსოფლიოს ჩემპიონატზეც სიამოვნებით ვითამაშებდი“ — ამბობს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი კარის დარაჯი. 36 წლის შმაიხელმა ცოტა ხნის წინ დანიური რეკორდი დაამყარა — მან თავისი ქვეყნის ნაკრების მაისურა 118-ჯერ მოირგო. კარიერის დასრულებას იგი ჯერჯერობით არ გეგმავს, ამიტომ ამ მიღწევას, ალბათ, გაიუმჯობესებს. შეგახსენებთ, რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში დანიის მეტოქეები ჩეხეთი, ბულგარეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, ისლანდია და მალტა არიან.

გერმანული მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანმა ამნეზიით დაავადებული ხუთი წლის ბავშვი მოინახულა, ესაუბრა, მის მშობლებს კი ფინანსურ და მორალურ დახმარებას შეპირდა. ხუთი წლის დენი 1998 წელს ავტოკატასტროფაში მოხვდა და კომიდან მხოლოდ რამდენიმე დღის წინ გამოვიდა. „პატარა დენის ამბავმა შემაძრწუნა — ამბობს კანი — დავრწმუნდი, რომ ცხოვრებაში ფეხბურთი ნამდვილად არ არის მთავარი“.

ესპანური „ვალიადოლიდის“ იაპონელი ფორვარდი შიჯი ჯო მძიმედ დაშავდა და დაახლოებით შვიდ თვეს ვერ ითამაშებს. „იოკოჰამა მარინოსიდან“ ესპანურ კლუბში სეზონის ბოლომდე განათხოვრებულმა ფეხბურთელმა ჩინეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართულ მატჩში მყესები დაიზიანა, რაც საკმაოდ ძვირად დაუჯდა. იანვრის დასაწყისში „ვალიადოლიდში“ ჩარიცხვის შემდეგ შოჯიმ მხოლოდ ორი გოლის გატანა მოახერხა. ესპანელებმა იაპონელი თავდამსხმელი სეზონის ბოლომდე (ყიდვის უფლებით) ითხოვეს, მაგრამ არ არის გამორიცხული, მისი ტრავმის გამო აზრი შეიცვალონ.

იტალიური „მილანის“ ხორვატ ნახევარმცველ ზვონიმირ ბობანს მუხლის ოპერაცია სჭირდება. ეს მას, მილანური პრესის ცნობით, საფრანგეთის ქალაქ ლიონის ცნობილი კლინიკის ექიმებმა ურჩიეს. 31 წლის ბობანისთვის, რომელიც ხორვატიის ნაკრებს შარშან ნოემბერში გამოეთხოვა, მიმდინარე სეზონი აშკარად წარუმატებელი გამოდგა. მან სეზონის დასაწყისი ტრავმის გამო გამოტოვა და დარჩენილი დროც გაუცდება.

ესპანურმა „ვალენსიამ“ ტრონჰეიმის „რუსენბორგის“ 21 წლის თავდამსხმელის, იონ კარეუს გადაბირება მოისურვა. ნორვეგიელი საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ვალენსიელები 80 მილიონ კრონას (9,5 მილიონი დოლარი) იხდიან. თუ ტრანსფერი განხორციელდა, კარეუ ყველაზე ძვირადღირებული ნორვეგიელი ფეხბურთელი გახდება. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა ფორვარდის შეძენას რამდენიმე სხვა ევროპული კლუბიც ცდილობს. ყველაზე რეალურ კანდიდატად დორტმუნდის „ბორუსიას“ მიიჩნევდნენ, მაგრამ გერმანული კლუბი „რუსენბორგთან“ ვერ შეთანხმდა. „ვალენსიას“ კი ამ დღეებში ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გაისკა მენდიეტა გამოაკლდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ბორდოს“ წინააღმდეგ მუხლი დაიზიანა და ექიმების თქმით, დაახლოებით ერთ თვეს იძულებით დაისვენებს.

რუმინეთი

23-ე ტური. ონეშტი — სტიაუა 1:3; ნაციონალი — არჯეში 4:1; რეშიცა — ბაკეუ 1:2; რაპიდი — ოცელული 2:1; უნივერსიტატეა — ასტრა 0:0; პეტროლული — დინამო 1:2; ბრაშოვი — გლორია 4:2; როკარი — ეკსტენსივი 3:1; ფარული — ჩეჰლაული 1:0

დინამო	23	20	2	1	66:18	62
რაპიდი	23	15	4	4	40:23	49
არჯეში	23	13	3	7	33:22	42
ჩეჰლაული	23	12	4	7	34:31	40
გლორია	23	12	2	9	34:30	38
ასტრა	23	10	5	8	34:26	35
სტიაუა	22	10	3	9	43:43	33
ბაკეუ	23	9	6	8	24:27	33
ნაციონალი	23	9	4	10	39:30	31
უნივერსიტ.	23	8	6	9	27:24	30
ოცელული	23	8	3	12	35:38	27
ბრაშოვი	23	8	3	12	35:34	27
როკარი	22	9	0	13	31:36	27
ფარული	23	7	6	10	27:36	27
პეტროლული	23	7	5	11	26:35	26
ონეშტი	23	7	3	13	26:53	24
რეშიცა	23	4	6	13	26:49	18
ეკსტენსივი	23	4	3	16	16:41	15

უნგრეთი

21-ე ტური. ვაცი — ჰონვედი 0:1; დუნაფერი — შიოფოკი 3:0; პეჩი — ჰალადაში 1:2; ნიირშეგი — ნადიკანიჟა 2:0; მტკ — ფერენცვაროში 2:3; ვაშაში — დიორ ეტო 1:0; დიოშდიორი — ტატაბანია 1:2; დებრეცენი — უიპეშტი 2:3

დუნაფერი	21	14	6	1	47:17	48
ვაშაში	20	13	2	5	40:20	41
მტკ	21	11	7	3	40:19	40
ფერენცვაროში	21	9	6	6	41:23	33
უიპეშტი	21	9	6	6	40:28	33
დებრეცენი	21	9	6	6	29:25	33
ტატაბანია	21	7	9	5	21:27	30
დიორ ეტო	20	7	6	7	31:21	27
ზალაეგერსეგი	20	6	9	5	22:14	27
ჰონვედი	21	7	6	8	21:27	27
პეჩი	20	6	8	6	23:30	26
ნიირშეგი	21	7	5	9	21:33	26
დიოშდიორი	21	5	5	11	20:37	20
ნადიკანიჟა	21	4	7	10	17:27	19
ჰალადაში	20	5	3	12	20:33	18
შიოფოკი	21	5	4	12	16:34	16
ვაცი	21	2	5	14	17:51	11

„შიოფოკს“ დაკლებული აქვს 3 ქულა

ევროპის ჩემპიონების შესარჩევი ციკლი

კონკაკაფი

კარიბეთის ზონა

I ჯგუფი

პუერტო რიკო 2:2 არუბა (2:4)
გრენადა 2:3 დ.დ. (2:2) ბარბადოსი (2:2)
კაიმანის კუნძულები 0:0 კუბა (0:4)
სურინამი 1:0 (პენ. 3:1) სენტ ლუსია (0:1)

II ჯგუფი

სენტ კიტსი 8:0 კუკის კუნძულები
ბერმუდა 9:0 ბრიტ. ვირჯინიის კუნძულები (5:1)
ამერ. ვირჯინიის კუნძულები 1:5 სენტ ვინსენტი და გრენადა (0:9)

III ჯგუფი

ჰოლანდიის ანტილები 1:1 ტრინიდადი და ტობაგო (0:5)
მონსერატი 1:3 დომინიკელი რესპუბლიკა (0:3)
დომინიკა 1:3 ჰაიტი (0:4)
ბაჰამი 2:1 ანგუილა (3:1)

ცენტრალური ამერიკის ზონა

A ჯგუფი

ბელიზი 1:2 გვატემალა
გვატემალა 0:5 სალვადორი

სალვადორი	1	1	0	0	5:0	3
გვატემალა	1	1	0	0	2:1	3
ბელიზი	2	0	0	2	1:7	0

დარჩენილი მატჩები. 02.04 გვატემალა — სალვადორი; 16.04. ბელიზი — სალვადორი; 07.05 სალვადორი — გვატემალა; 21.05 გვატემალა — ბელიზი

B ჯგუფი

ნიკარაგუა 0:2 პანამა
ჰონდურასი 3:0 ნიკარაგუა

ჰონდურასი	1	1	0	0	3:0	3
პანამა	1	1	0	0	2:0	3
ნიკარაგუა	2	0	0	2	0:5	0

დარჩენილი მატჩები. 02.04 პანამა — ჰონდურასი; 16.04 ნიკარაგუა — ჰონდურასი; 07.05 ჰონდურასი — პანამა; 21.05 პანამა — ნიკარაგუა

ამხანაგური მატჩი

29 მარტი

ნორვეგია — შვეიცარია

ნორვეგიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა

მეკარეები: ტომას მირე (ევერტონი, ინგლისი), ფროდე ოლსენი (სევილია, ესპანეთი);

მცველები: ტრონდ ანდერსენი (უიმბლდონი, ინგლისი), ჰენინგ ბერნი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ვიდარ რისეტი (სელტიკი, შოტლანდია), ანდრე ბერგდოლმო, ბიორნ ოტო ბრაგსტადი, ერიკ ჰოფტუნი (ყველა რუსენბორგი);

ნახევარმცველები: ერიკ ბაკე (ლიდსი, ინგლისი), ოივინდ ლეონარდსენი (ტოტენჰემ ჰოთსპური, ინგლისი), ერიკ მიუკლანდი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), კეტილ რეკდალი (ჰერტა, გერმანია), იონ არნე რიისე (მონაკო, საფრანგეთი), ბენტ სკამელსრუდი (რუსენბორგი), სტალე სოლბაკენი (ოლბორგი, დანია);

თავდამსხმელები: ტორე ანდრე ფლო (ჩელსი, ინგლისი), სტეფენ ივერსენი (ტოტენჰემ ჰოთსპური, ინგლისი), ოლე გუნარ სოლსკიაერი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), იან დერეკ სორენსენი (რუსენბორგი)

შვეიცარიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა

მეკარეები: მარკო პასკოლო (ციურიხი), პასკალ ცუბერბულერი (ბაზელი);

მცველები: სებასტიან ფურნიე, სებასტიან ჟენერე (ორივე სერვეტი), ბერნტ ჰაასი, პატრიკ მიულერი (ორივე გრასჰოპერი), სტეფან ენჩოსი (ლივერპული, ინგლისი), კრისტოფ ჟაკე (ივერდონი);

ნახევარმცველები: პატრიკ ბელმანი, ანდრეას გერბერი (ორივე ლოზანა), მარიო კანტალუპი (ბაზელი), ჩირიაკო სფორცა (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ლეონარ ტურე (სერვეტი), იოჰან ფოგელი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ტომას ვისი (ლუცერნი);

თავდამსხმელები: სტეფან შაპუიზა, ჰაკან იაკინი (ორივე რასჰოპერი), კუბილაი თურქილმაზი (ბელინზონი), ალექსანდრ რეი (სერვეტი), დავიდ სესა (ლეჩე, იტალია)

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

XXIII ტური

კიოლნი 1:1 მიუნხენგლადბახი

0:1 კეტელაერი (81), 1:1 ლოტნერი (88)

იტალია

სერია B

XXVII ტური

სამპდორია 0:1 ჯენოა

0:1 კარპარელი (57)

სერია C1/A

27-ე ტური. მოდენა — ლუკეზე 0:0

ამხანაგური მატჩები

29 მარტი

ჩეხეთი — ავსტრალია

ჩეხეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა

მეკარეები: იარომირ ბლაჟეკი (სპარტა), პაველ სრნიჩეკი (შეფილდ უენსდი, ინგლისი);

მცველები: მილან ფუკალი, პეტრ გაბრიელი (ორივე სპარტა), კარელ რადა, პეტრ ვლჩეკი (ორივე სლავია), ტომაშ რეპკა (ფიორენტინა, იტალია);

ნახევარმცველები: რადეკ ბეიბლი (ატლეტიკო, ესპანეთი), მარტინ ჩიჟეკი (მიუნხენ 1860, გერმანია), პაველ პორვატი, ივო ულიხი (ორივე სლავია), ირჟი ნემეცი (შალკე, გერმანია), პაველ ნედვედი (ლაციო, იტალია), კარელ პობორსკი (ბენფიკა, პორტუგალია);

თავდამსხმელები: ან კოლერი (ანდერლეხტი, ბელგია), ვრატისლავ ლოკვენეი (სპარტა), ვლადიმირ შმიცერი (ლივერპული, ინგლისი), პაველ ვერბირი (ტეპლიცე)

29 მარტი

უელსი — ფინეთი

ფინეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა

მეკარეები: ანტი ნიემი (ჰართსი, შოტლანდია), პეტერ ენკელმანი (ასტონ ვილა, ინგლისი);

მცველები: სემი ჰიიპია (ლივერპული, ინგლისი), იუჰა რეინი (გენკი, ბელგია), იარმო საასტამოინენი (ჰიკ, ჰელსინკი), იანე სალი (ჰაკა, ვალკეაკოსკი), ჰანუტიჰინენი (ვიკინგი, ნორვეგია);

ნახევარმცველები: პეტრი ჰელინი (იოკერიტი), იონას კოლკა (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), მიკა ლეჰკოსუო (ჰიკ, ჰელსინკი), იარი ლიტმანენი (ბარსელონა, ესპანეთი), მიკა ნურმელა (ჰერენვენი, ჰოლანდია), აკი რიიჰილაჰტი (ვალერენგა, ნორვეგია), ტეემუ ტაინიო (ოსერი, საფრანგეთი), სიმო ვალაკარი (მონ ბერუელი, შოტლანდია);

თავდამსხმელები: მიკაელ ფორსელი (კრისტალ პალასი, ინგლისი), მიკა-მატი პაატელაინენი (ჰიბერნიანი, შოტლანდია), იარკო ვისი (მოსი, ნორვეგია)

29 მარტი

უნგრეთი — პოლონეთი

პოლონეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ირჟი ენგელმა დაასახელა ის ფეხბურთელები, რომელნიც დებრეცენში საქართველოს ნაკრების მომავალ მეტოქე უნგრეთს ამხანაგურად გაეჯიბრებიან.

მეკარეები: ირჟი დუდეკი (ფეიენოორდი, ჰოლანდია), რადოსლავ მაიდანი (პოგონი);

მცველები: იაცეკ ბაკი (ლიონი, საფრანგეთი), მიხალ ყულიაკოვი (მუსკრონი, ბელგია), ტომაშ ვალდოხი (შალკე, გერმანია), ტომაშ კლოსი (ოსერი, საფრანგეთი), იაცეკ ზიელინსკი (ლეგია), რადოსლავ კალუჟნი (ვისლა), ტომაშ რზასა (ფეიენოორდი, ჰოლანდია);

ნახევარმცველები: ტომაშ ზდებელი (ლიერსი), იაცეკ კრეინოვეკი (ნიურნბერგი, გერმანია), პიოტრ სვიერჩევსკი (ბასტია, საფრანგეთი), ტომაშ ივანი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), პიოტრ რაისი (დუისბურგი, გერმანია);

თავდამსხმელები: მარჩინ ყულიაკოვი (მუსკრონი, ბელგია), რადოსლავ გილევიჩი (ტიროლი, ავსტრია), ბარტოშ კარვანი (ლეგია), მაციეი ჟურავსკი (ვისლა)

LEVON TRAVEL

ლევონ თრეველი გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის ფინალზე დასწრებას

- გაატარეთ 6 დაუვიწყარი დღე პარიზში, 20-26 მაისს.
- ცხოვრება სამვარსკვლავიან სასტუმროში საუზმით, ეკსკურსია პარიზსა და მის შემოგარენში, ავია და მატჩზე დასასწრები
- ბილეთები, დახვედრა-გაცილება.
- საგზურის ღირებულება 1190 აშშ. დოლარის ექვივალენტი ლარებში. საბუთების შემოტანის ბოლო ვადაა 29 მარტი.

ადგილები შეზღუდულია

მის: ჭავჭავაძის გამ. 20, ტელ. 25 00 10/25 00 60, მობ. 8 99 53 78 45

სამხრეთ ამერიკა

ედმუნდო: რომარიო ყველაფერს მართმევს

ვინ დაარტყამს პენალტს

სანამ რომარიო და ედმუნდო თანაგუნდელები არიან, სასეირო ამბები არ მოგვაკლდება

ზოგი ჭირი მარგებელიაო, უთქვამთ. ამ მოსაზრების სისწორეს რომარიოს „ფლამენგოდან“ სკანდალურად წასვლაც აღასტურებს. მიუხედავად იმისა, რომ „ფლამენგომ“ ვარსკვლავი დაკარგა და ალბათ გვარიან თანხასაც შეელევა (ამის შესახებ წაიკითხეთ „ოჰ, ეს რომარიო“ ამავე გვერდზე), ერთი სარგებელი მაინც ნახა — ჭირვეული ფეხბურთელი მოიშორა. „ვასკუ და გამა“ კი გაბრიყვდა — ყოფილი ფლამენგოელი კიდევ უფრო ჭირვეულ ედმუნდოს შეუწყვილა და სასეირო ამბებიც დაიწყო.

ამ ორი ფეხბურთელის ამბავი ხომ კარგად არის ცნობილი. რბილად ვთქვათ, დღედაღამ იმაზე ფიქრობენ, ერთმანეთი მოთმინებიდან როგორ გამოიყვანონ. რამდენიმე თვის წინ რომარიომ რიოში საკუთარი ბარის კარზე ედმუნდოს უზარმაზარი კარიკატურა გააკრა და ფრიად კმაყოფილი დარჩა — კლიენტურაც მოუმრავლდა, თან თანაგუნდელის წყრომაც დაიმსახურა, მიხვდებით, ეს რასაც ნიშნავს...

უამრავ პატარ-პატარა უთანხმოებას თუ არ ჩავთვლით, მათ შორის შავმა კატამ მეორედ „პალმეირასთან“ მატჩის წინ გაირბინა. ყოფილმა მწვრთნელმა, ანტონიო ლოპესმა გასახდელიდან გამავალ ედმუნდოს უთხრა, კაპიტანის სამკლავური რომარიოს გადაეციო. ედმუნდოს ამაზე როგორი რეაქციაც ექნებოდა, ამჯერადაც მიხვდებით...

ეხლა კი ცინცხალი ამბავიც. რიო დე ჟანეიროს შტატის პირველობაზე, კარიოკას რომ უწოდებენ, „ვასკუ“ „ბარგუს“ ხვდებოდა და 3:0 მოიგო. თუმცა საინტერესო სხვა რამ გახლავთ. ერთ მომენტში ბანგუელებმა საკუთარ საჯარიმოში თამაშის წესი დაარღვიეს და პენალტით დაისაჯნენ. აქ კი დაიწყო... ბურთთან ედმუნდო მივიდა, ის ხომ „ვასკუს“ მთავარი მეპენალტეა, მაგრამ რომარიომ, აქაოდა, კაპიტანი ვარ და თავად გადავწყვეტ ვინ დაარტყამსო, პარტნიორს ბურთი ხელიდან გამოსტაცა. ამირიდან პენალტების ოსტატი მე ვიქნებიო, თქვა რომარიომ და... კარს ააცილა. კვლავ ადვილად წარმოიდგენთ, როგორ გაიხარა ედმუნდომ.

მთელ ამ ისტორიაში ყველაზე სასაცილო ის გახლავთ, რომ „ვასკუ და გამას“ ქომაგებიც ორ ბანაკად არიან გაყოფილნი. რომარიომ პენალტი რომ გააფუჭა, ნახევარი სტადიონი ყურებჩამოყრილი იჯდა, მეორე ნახევარი კი სკანდირებდა: „ედმუნდო, ედმუნდო“.

აი, ასეთი საჩუქარი უძღვნა „ფლამენგომ“ „ვასკუს“. ამ უკანასკნელის ახალი მწვრთნელი აბელ ბრაგა თავის უსუსურობას ხვდება და განზე გადგომას ამჯობინებს: „რა ვქნა, მე რომ მოვედი, რომარიოს და ედმუნდოს შორის უკვე იყო ასეთი ურთიერთობა. ჩემი წინამორბედის ბრალია, რომ ისინი ვერ დაზავა“. ბრაგა ცდება — ლოპესი ჭირვეულ ვარსკვლავებს ვერ შეარიგებდა, უბრალოდ, ეს წარმოუდგენელია...

გიორგი დარჯანია

სარგებელის

საერთაშორისო სატელეფონო კავშირს

უზრუნველყოფს კომპანია

საქტელეკომ პლუსი

☎ 99 67 67, 98 30 20

რეკლამა სარგებელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

არგენტინა

მე-6 ტური. უნიონი — ესტუდიანტესი 2:1; რივერ პლეიტი — ინდიპენდიენტე 2:0; ფერო კარილი — ბოკა ხუნიორსი 0:4; ჩაკარიტა — სან ლორენსო 0:0; ტალერესი — როსარიო სენტრალი 3:1; ხიმნასია ლა პლატა — კოლონი 6:6; ხიმნასია ხუხუი — ლანუსი 1:1; ნიუელს ოლდ ბოიზი — ბელგრანო 0:1; რასინგი — ინსტიტუტო 1:2; ველეს სარსფილდი — არგენტინოს ხუნიორსი 3:3

ლა პლატაში საინტერესო ამბავი მოხდა. იქაური „ხიმნასია“ „კოლონს“ მასპინძლობდა. ლაპლატელმა ფაკუნდო სავამ პოკერი გაახერხა — მეტოქეს ოთხი გოლი გაუტანა. მას არც კოლონელი ესტებან ფუერტესი ჩამორჩა და მასპინძელთა კარი სამჯერ დალაშქრა. ყოფილ დერბიქაუნთელ ფუერტესს და ფაკუნდოს სხვებმაც მიბაძეს და საბოლოოდ შეხვედრა ფრედ 6:6 დასრულდა. თორმეტი გოლი ერთ თამაშში, მოგეხსენებათ, იშვიათად გადის. არგენტინელებმა ქვეყნის პირველობების სტატისტიკურ მონაცემებს გადახედეს და აღმოჩნდა, რომ ეს ანგარიში აქამდე მხოლოდ ერთხელ [illegible]აფიქსირებულა. ერთ თამაშში უ[illegible] [illegible]ეტი გოლი კი არგენტინაში სულ [illegible]ითხჯერ გასულა. აღსანიშნავია, რომ უხვგოლიანობით იქ სწორედ ლაპლატელები გამოირჩევიან. გასულ წელს მათ ჩილავერტის „ველეს სარსფილდს“ 7:5 მოუგეს.

ახლა „ლა პლატა“ და „კოლონი“ მეოთხე-მეთუხე ადგილებს იყოფენ. „სან ლორენსომ“ კი ლიდერობა დაკარგა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც სანლორენსოელებმა სტუმრად ერთ-ერთი აუტსაიდერის „ჩაკარიტა ხუნიორსის“ დამარცხება ვერ შეძლეს. „ბოკამ“ და „რივერმა“ კი თავიანთი შეხვედრები მოიგეს. მათ შესაბამისად „ფერო კარილი“ და „ინდიპენდიენტე“ დაამარცხეს. თუმცა „სან ლორენსოს“ მესამე ადგილზე დაქვეითება ბურთების უარესი ბალანსით არის გამოწვეული. სამივე ლიდერს ერთნაირი ქულების მარაგი აქვს.

შეგახსენებთ, ჩემპიონატის პირველი ეტაპი — აპერტურა „რივერ პლეიტმა“ მოიგო. თუ დედაქალაქელებმა კლაუსურაშიც იმარჯვეს, საჩემპიონო ბრძოლა არ შედგება — უბრალოდ, მათ მეტოქე არ ეყოლებათ.

ბოკა	6	4	2	0	14:3	14
რივერ პლეიტი	6	4	2	0	12:5	14
სან ლორენსო	6	4	2	0	6:2	14
კოლონი	6	3	2	1	17:13	11
ლა პლატა	6	3	2	1	14:12	11
ინდიპენდ.	6	3	1	2	15:9	10
როსარიო	6	2	3	1	9:7	9
ტალერესი	6	3	0	3	9:8	9
ოლდ ბოიზი	6	2	2	2	11:7	8
ველესი	5	2	2	1	9:6	8
ლანუსი	5	2	2	1	8:6	8
უნიონი	6	2	2	2	6:9	8
ბელგრანო	6	2	1	3	8:9	7
ინსტიტუტო	6	2	1	3	6:9	7
ფერო კარილი	6	2	0	4	5:12	6
ესტუდიანტ.	6	1	2	3	11:11	5
რასინგი	6	1	2	3	6:8	5
ჩაკარიტა	6	0	2	4	2:9	2
ხუხუი	6	0	2	4	5:15	2
არგ. ხუნიორსი	6	0	2	4	5:16	2

ლიბერტადორესის თასი

II ჯგუფი

პენიაროლი (ურუგვაი) 0:0 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)

IV ჯგუფი

ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია) 4:1 უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე)

V ჯგუფი

უნივერსიტარიო (პერუ) 1:1 სან ლორენსო (არგენტინა)

VII ჯგუფი

ელ ნასიონალი (ეკვადორი) 3:1 პალმეირასი (ბრაზილია)

ამ უქმეებზე გამართულ მატჩებს შორის მთავარ მოულოდნელობად „პალმეირასის“ დამარცხება იქცა. ბრაზილიელები ეკვადორს სტუმრობდნენ და იქაურ არმიელთა კლუბ „ელ ნასიონალს“ გაეჯიბრნენ. უკვე მესამე წუთზე მასპინძელთაგან ხუან კარლოს ბერბანომ პირველი გოლი გაიტანა, რამაც პალმეირასელები გატეხა. შემდეგ კლეკერ ჩალამ კიდევ ორი გოლი დაუმატა „ელ ნასიონალის“ მარაგს. მატჩის მიწურულს ალექსმა საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა, თუმცა ეს ბრაზილიელთათვის ვერაფერი ნუგეში გახლდათ.

მონტევიდეოში კი სტადიონზე შეკრებილმა 50 ათასმა გულშემატკივარმა გოლი ვერა და ვერ იხილა. „პენიაროლი“ „ბოკა ხუნიორსს“ მასპინძლობდა. უცნაური შეხვედრა გამოდგა. მთელი პირველი ტაიმი „ბოკა“ უტევდა და პენიაროლელები თავს იცავდნენ. შესვენების შემდეგაც იგივე განმეორდა, ოღონდ როლები შეიცვალა. ისე, ფრე ყველაზე უფრო სამართლიანი და ლოგიკური შედეგი გახლდათ.

დეტექტიური ამბავი ბედნიერი დასასრულით

ეს ამბავი ჰაერში, ბრაზილიის თავზე მოხდა. „ფლამენგო“ ქალაქ რივერში მიფრინავდა, სადაც იქაურ გუნდს ბრაზილიის თასზე უნდა გაჯიბრებოდა. რიო და რივერი ერთმანეთისგან მოშორებით მდებარეობენ, ამიტომ მოგზაურობა ხანგრძლივი და მომქანცველი გახლდათ. ფეხბურთელებმა ჩათვლიმეს. არ ეძინა მხოლოდ ედუარდო ჩიმელოს, კლუბის ერთ-ერთ ოფიციალურ პირს.

სტიუარდესამ საუზმე ჩამოატარა და მგზავრებს, ანუ ფეხბურთელებს ჩამოურიგა, გაიღვიძებენ და დანაყრდებიანო. ფეხზლად მყოფმა ედუარდო ჩიმელომ მენიუს თვალი გადაავლო და ადგილიდან წამოხტა, სალონს გადახედა, დამშვიდდა — ფეხბურთელებს ეძინათ და შესაბამისად, საუზმე ხელუხლებელი იყო.

ალბათ მიხვდით, სტიუარდესას ისეთი რამ ჩამოერიგებინა, რისი ჭამაც არ შეიძლებოდა. დეტექტიური რომანების მოყვარულები ეგებ დაეჭვდნენ, „ფლამენგოს“ კალიუმის ციანიდით მოწამვლა დაუპირესო. არა, მიზეზი უფრო ბანალურია — ხაშხაშმოყრილი ფუნთუშები („მაკს“ რომ ეძახიან და „მაკდონალდსში“ მოგართმევენ). ხაშხაშმოყრილი ფუნთუშები თავისთავად ცუდი არ არის — გემრიელია და ცოტათი ტონუსის ამწევი. მაგრამ როდესაც საქმე ფეხბურთს ეხება...

მოგეხსენებათ, ასეთი წესი არსებობს, მატჩის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელს არჩევენ და ანალიზებს უღებენ, ემანდ რაიმე ხომ არ იცულლუტეს, დოპინგის გემო გასინჯესო. როგორც ამბობენ, ხაშხაში ორგანიზმში მცირეოდენ კვალს ტოვებს და არკვეა, რა არის და როგორ.

ჩიმელოს ატეხილ ხმაურზე „ფლამენგოს“ მწვრთნელ პაულო სესარ კარპეჯანისაც გამოეღვიძა და უმალ ერთი შემთხვევა გაახსენდა. „სან პაულუში“ მუშაობისას მოხდა. ერთ-ერთი მატჩის წინ კარპეჯანის შეუნიშნავს, რომ სამი ფეხბურთელი ხაშხაშიან ფუნთუშას მიირთმევდა და მათი სხვა მოთამაშეებით შეცვლა მოუხდა.

როგორც შემდგომ გაირკვა, ავიაკომპანიის თანამშრომლები „ფლამენგოს“ წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილენი სულაც არ ყოფილან, პირიქით — ერთგული ქომაგები აღმოჩნდნენ და ფეხბურთელები უხაშხაშო ფუნთუშებით დააუურეს.

ხანგრძლივი და მომქანცველი მოგზაურობა მშვიდობიანად დასრულდა.

ოჰ, ეს რომარიო

არ ისვენებს რომარიო. თუმცა რა გასაკვირია, საქმე ხომ დიდ ფულს ეხება. გეხსომებათ, ყოფილი ვარსკვლავის „ფლამენგოდან“ „ვასკუ და გამაში“ გადასვლას რაც უძღოდა. ეს რამდენიმე თვის წინ იყო. „ფლამენგო“ ბრაზილიის სამხრეთში მდებარე ქალაქ კაშიას დო სულს ესტუმრა და იქაურ კლუბთან დამარცხდა. ჩემპიონატის მატჩი გახლდათ და იმ წაგებამ „ფლამენგო“ პირველი ადგილისთვის ბრძოლას ჩამოაშორა. ამბობენ, იმ ღამეს ნახევარი რიო დე ჟანეირო ტიროდაო (მეორე ნახევარს „ვასკუს“ გულშემატკივრები შეადგენენ). ამ დროს კი რომარიო ერთ-ერთ ღამის კლუბში იჯდა და ჩინებულად ატარებდა დროს. დალევის მოყვარულ კაცს არც გაემტყუნება, კაშიასი ბრაზილიაში მეღვინეობით არის განთქმული. თანაც რომარიოს არაერთხელ უთქვამს, ნაბახუსევზე უკეთ ვთამაშობო.

თუმცა, რაკიღა ეს ამბავი მატჩის წინ კი არა, წაგებული თამაშის შემდეგ მოხდა, კლუბმა ჭირვეულ ვარსკვლავს არ შეუნდო და დაითხოვა. ისიც გეხსომებათ, რომარიომ შური იძია და „ფლამენგოს“ მოსისხლე მტერ „ვასკუს“ შეუერთდა. რამდენიმე თვეში მან ახალ გუნდშიც თავისი გაიტანა და არანაკლებ თავქარიან ედმუნდოს კაპიტნობაც ჩამოართვა. ახლა კი შეიძლებოდა „ფლამენგოსთან“ დარჩენილი პატარ-პატარა ანგარიშების გასწორება. ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, ორი მილიონი დოლარია.

რომარიომ ედმუნდო სანტოს სილვას („ფლამენგოს“ პრეზიდენტია) შეუთვალა, ჩემი შვებულების ფული და პრემია — ეგრეთ წოდებული მეცამეტე ხელფასი გმართებსო. ეს კი ჯამში ზემოთ ნახსენები ორი მილიონია. სილვა გაცოფდა, მაგან კლუბს უღალატა და პრემიას რა სინდისით მთხოვსო. მოკლედ, უარი შეუთვალა. რომარიოს კი სინდისის ქენჯნა სულაც არ აწუხებს. ის ამბობს: „სამუშაოს შემდეგ ყველას აქვს დასვენების უფლება. ვისი რა საქმეა, თავისუფალ დროს როგორ და სად გავატარებ, ამიტომ სინდისზე ლაპარაკს თავი დაანებონ და კუთვნილი მომცენ“.

რომარიოს და „ფლამენგოს“ საქმეს ბრაზილიის შრომის ტრიბუნალი გაარჩევს.

გიორგი დარჯანია

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ჩემპიონთა თასი

22 მარტი

505	დინამო-ბაიერნი	1,8	3,2	3,6
506	რუსენბორგი-რეალი	4,4	3,1	1,7
507	ჩელსი-ლაციო	2,6	2,9	2,4
508	მარსელი-ფეიენოორდი	2,6	3,1	2,3

უეფას თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები

23 მარტი

509	სლავია-ლიდსი	2,5	2,8	2,6
510	გალათასარაი-მალიორკა	1,9	2,9	3,6
511	ვერდერი-არსენალი	2,2	2,8	3,1
512	ლანსი-სელტა	2,3	2,8	2,9

ინგლისი. I დივიზიონი.38-ე ტური

22 მარტი

008	ბლექბერნი-ბირმინგემი	2,4	2,9	2,6
009	ნორვიჩი-სუინდონი	1,4	4,0	6,5
010	ქუინზ პარკი-კრ.პალასი	1,5	3,5	5,3
011	ტრანმერი-იფსვიჩი	3,0	2,9	2,2
012	ჩარლტონი-გრიმსბი	1,3	4,0	7,5
013	ჩარლტონი-გრიმსბი 0:1	1,9	3,2	2,6

ინგლისი. II დივიზიონი. 38-ე ტური

22 მარტი

024	რედინგი-როვერსი	2,8	2,9	2,3

გერმანია. II ბუნდესლიგა

22 მარტი

037	ნიურნბრგი-ჰანოვერი	1,6	3,2	5,0

შოტლანდია

22 მარტი

039	ჰართსი-აბერდინი	1,7	3,2	4,2

კალათბურთი. NBA

21 მარტი

801	ატლანტა-მაიამი	2,3	12,0	1,4
802	ტორონტო-ნიუ ჯერსი	1,15	12,0	4,0
803	ინდიანა-ნიუ იორკი	1,35	12,0	2,5
804	მინესოტა-კლივლენდი	1,1	12,0	5,0
805	დალასი-სან ანტონიო	2,3	12,0	1,4
806	იუტა-დენვერი	1,1	12,0	5,0
807	საკრამენტო-ვაშინგტონი	1,1	12,0	5,0
808	სიეტლი-დეტროიტი	1,25	12,0	3,1
809	ვანკუვერი-გოლდენ სტეიტი	1,35	12,0	2,5

22 მარტი

810	ბოსტონი-მინესოტა
811	ნიუ იორკი-ჩიკაგო
812	ფილადელფია-ტორონტო
813	ორლანდო-ატლანტა
814	შარლოტი-ნიუ ჯერსი
815	სან ანტონიო-კლიპერსი
816	ფინიქსი-საკრამენტო
817	ლეიკერსი-გოლდენ სტეიტი
818	პორტლენდი-დეტროიტი

23 მარტი

819	ინდიანა-მილუოკი
820	დალასი-კლივლენდი
821	ჰიუსტონი-კლიპერსი
822	დენვერი-ვაშინგტონი

ჰოკეი. NHL

22 მარტი

835	კაროლინა-სენტ ლუისი
836	ტორონტო-აილენდერსი
837	ატლანტა-მონრეალი
838	დეტროიტი-კალგარი
839	ედმონტონი-ანაჰაიმი
840	სან ხოსე-ვანკუვერი

23 მარტი

841	ბოსტონი-ფლორიდა
842	ბუფალო-კალგარი
843	ოტავა-ტორონტო
844	ფილადელფია-ლ.ანჯელესი
845	რეინჯერსი-ვაშინგტონი
846	ნეშვილი-დეტროიტი
847	ფინიქსი-კოლორადო

უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა

701	ვერდერი (4,0)-არსენალი (1,15)
702	სლავია (25,0)-ლიდსი (-)
703	ლანსი (1,45)-სელტა (2,1)
704	გალათასარაი (-)-მალიორკა (25,0)

გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლისას
მიუთითეთ მხოლოდ ის გუნდი,
რომელიც გავა შემდეგ ეტაპზე
(წყვილის სრულად დაწერა საჭირო არ არის)

კალათბურთის და ჰოკეის მომდევნო დღეების კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილეობის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან ნითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, ანერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ერიკ ზაბელი: ყველაფერი კარგად დაიწყო

ზაბელიდან მერქსამდე ოთხი გაზაფხულია

ᲔᲠᲘᲙ ᲖᲐᲑᲔᲚᲘ მილან — სან რემო სულ სხვაგვარად დაუგემოვნებია, ნოემბრის მეორე ნახევარში, როგორც კი პელოტონის ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერი სეზონისთვის მზადებას იწყებს, უკვე „პრიმავერაზე“ (გაზაფხული) ფიქრობს ხოლმე. რა მსხვერპლს არ გაიღებს ბერლინელი მრბოლი ამ კლასიკური რბოლის მოსაგებად.

„ ამ შეჯიბრის საიდუმლო უკვე ამოვხსენი. პირველად მასში 1994 წელს ვიასპარეზე. მაშინ ჯორჯო ფურლანმა გაიმარჯვა. მე კი მეორე ადგილისთვის გამართულ სპრინტში ვმონაწილეობდი. საბოლოოდ მეთექვსმეტე ადგილი დავიკავე. ამ რბოლის მოსაგებად დიდი გამოცდილებაა საჭირო. 1997 და 1998 წლებში რომ გავიმარჯვე, დაწინაურებულთა ჯგუფში თანაგუნდელებიდან არავინ მყავდა. საბედნიეროდ, არავის მოსდომებია საბოლოოდ სპრინტამდე შეტევის წამოწყება. შარშან კი ფინიშამდე 700 მეტრით ადრე ანდრეი ჩმილმა განახორციელა იერიში და მას ველარავინ დაეწია. ამჯერად მთელი ჩემი გუნდი ფანტასტიკურად გაისარჯა. დიდი მადლობა მინდა გუთხრა ალბერტო ელისა და ჯან-მატეო ფანინის, რომლებიც წარმატების მიღწევაში ძლიერ დამეხმარნენ“ — თქვა მსოფლიოს თასის პირველი ეტაპის გამარჯვებულმა.

ამ კლასიკის მოგება ძალიან სურდა იტალიურ „მაპეის“. ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის კლასიფიკაციით მსოფლიოს საუკეთესო გუნდმა ჯერ მიკელე ბარტოლის შეტევა მოამზადა, მერე კი პაოლო ბეტინისა, მაგრამ ორივე ცდა ფუჭი აღმოჩნდა. რბოლა საკმაოდ მშვიდად დაიწყო და, ალბათ, ასეც გაგრძელდებოდა, რომ არა 1999 წლის ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში მიკელე გობი. მან 50-ე კილომეტრზე შეუტია და მთელი 135 კილომეტრი პელოტონს მოწყვეტილი ატრიალებდა პედლებს. 118-ე კილომეტრზე გობისა და დანარჩენებს შორის სხვაობამ ნახევარ საათსაც მიაღწია, მაგრამ მან ბოლომდე ვეღარ გაუძლო.

მუხლშეხვეულმა ბარტოლიმ, რომელსაც შარშან „გერმანიის ტურში“ მიღებული ტრავმა კიდევ აწუხებს, იერიში გზის ბოლოსწინა აღმართ ჩიპრესას დასაწყისში წამოიწყო. მას ესპანელი ხუან კარლოს დომინგესი მიჰყვა. აღმართის ბოლოს, ამ დუეტმა დაახლოებით თხუთმეტწამიანი უპირატესობით უწია და პოჯიოს მთამდე ვერც ვერავინ წამოეწია.

პოჯიოს მწვერვალამდე (162 მ) მრბოლებს 3700 მეტრი და 30-ზე მეტი მოსახვევი უნდა გაევლოთ. დაღმართიც საკმაოდ ძნელი დასაძლევი იყო. ამიტომაც მოსალოდნელი იყო, რომ ვინმე ინიციატივას გამოიჩენდა და... ერთადერთი იტალიელმა დავიდე რებელინმ გამოიდო თავი, მაგრამ მისი მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა, რადგან ანდრეი ჩმილისა და პეტერ ვან პეტეგემის ძალისხმევით, პელოტონი უმალ წამოეწია ლტოლვილს.

დაღმართს დაახლოებით ორმოცი მრბოლი ერთდროულად მიადგა. სწორედ აქ შეუტია ბეტინიმ, მაგრამ ხუთ წამზე მეტი უპირატესობის მოპოვება ვერ შეძლო და მალევე დანებდა. ფინიშამდე 1200 მეტრით ადრე საბოლოო სპრინტი გარდუვალი ჩანდა. გერმანიის თავდაცვის მინისტრის, რუდოლფ შარპინგის თვალწინ კი პეპელათა ომი გერმანელმა ერიკ ზაბელმა მოიგო. ახლა ზაბელის აქტივში ლეგენდარული იტალიელის, ფაუსტო კოპისა და ბელგიელი როჯერ დე ფლაემინკის მსგავსად სამი მილანი — სან რემოა. მის წინ კი ბელგიელი ედი მერქსი (7) და იტალიელები — კოსტანტე ჯირარდენგო (6) და ჯინო ბარტალიჲა არიან.

„მაპეის“ ბოლო იმედი კი ესპანელი მსოფლიოს ჩემპიონი ოსკარ ფრეირე იყო, რომელმაც წლეულს უკვე რამდენჯერმე აჯობა ზაბელს. თუმცა ამჯერად იგი მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

„ფრეირე ძალიან კარგი მრბოლია. წლეულს ორჯერ მომიგო, თუმცა ორჯერვე იმიტომ, რომ ნაადრევად წამოვიწყე სპრინტი. ამჯერად გადავწყვიტე მომეცადა. უკანასკნელი მოსახვევის მერე ფანინის ვანიშნე, რომ დრო იყო. მანაც მშვენივრად გამომაქანა. მსოფლიოს თასის მოგებაზე ჯერ არ ვფიქრობ. ჩემთვის სეზონის მთავარი მიზანი „ტურ დე ფრანსია“, სადაც ერთი ეტაპის მოგება მაინც მსურს, რაც 1997 წლის მერე აღარ გამიკეთებია. შემდეგ კი ოლიმპიადაა...“ — თქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაში დაბადებულმა და გაზრდილმა ზაბელმა. გდრ-ს წარმომადგენლებისთვის კი ოლიმპიადას ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და, ალბათ, ზაბელიც არ შეირცხვენს თავს სიდნეიში.

ᲒᲐᲒᲘ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲗᲐᲡᲘ

პირველი ეტაპი

მილანი — სან რემო, 294 კმ

1. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) — 7 სთ 11 წთ 29 წმ
2. ფაბიო ბალდატო (იტალია, ფასა ბორტოლო)
3. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, მაპეი)
4. ზბიგნევ სპრუხი (პოლონეთი, ლამპრე)
5. სერგეი ივანოვი (რუსეთი, ფარმ ფრაიტსი) — ყველას იგივე დრო

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1. ერიკ ზაბელი — 100 ქულა
2. ფაბიო ბალდატო — 70
3. ოსკარ ფრეირე — 50
4. ზბიგნევ სპრუხი — 40
5. სერგეი ივანოვი — 36

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ოროთახიანი ბინა დიღმის მასივში, გაზით, ტელეფონით, 30 კვ. მეტრი მიშენებით. 1 სართული, საგარაჟე ადგილით. სარდაფით. მისამართი: დიღმის მასივი, მე-4 კვარტალი მე-19 კორპუსი.

დაგვიკავშირდით: 8 99 51-15-19; 95-88-61; 52-68-90

ᲪᲔᲛᲐ ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲬᲠᲓᲔᲚᲘᲗᲐ

ᲖᲔ 12-ᲘᲡ მესამედი გაილია, ახალზელანდიელთა ბატონობის დამხობა კი არა და არ იქნა. კუნძულელთა კლუბებს სხვა ქვეყნის წარმომადგენელთან ჯერ კიდევ არ წაუგიათ. ალბათ, ბოლოს და ბოლოს დაირღვევა ტრადიცია, მაგრამ ოთხი ნახევარფინალისტიდან სამი მაინც რომ ახალზელანდიური გუნდი იყოს, ნამდვილად არ იქნება მოულოდნელი.

აფრიკელთაგან საუკეთესო იოჰანესბურგი ტურნირის ფავორიტს — დანიდინს ესტუმრა. პირველი ტაიმი მასპინძელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა. კელეჰერმა ორი ლელო გაუტანა მოწინააღმდეგეს, ბრაუნმა ერთ გარდასახვას ერთი საჯარიმოც წაუმატა და დანიდინი 12 ქულით დაწინაურდა — ერთი საჯარიმო კოენმაც გაიტანა. თითქოს იოჰანესბურგს განადგურება ელოდა, მაგრამ მან შესვენების შემდეგ შეძლო ძალების მოკრება და ლამის სენსაციაც (ვამოაცხო.

ანდრე ვანტერმა (ინუს დელპორტმა ორი ლელო (ტანეს, ლუის კოენმაც კარგად ურტყა და შეხვედრის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე წინ სტუმრები გავიდნენ — 24:21. თუმცა ახალზელანდიური გუნდი არ გატყდა და თამაშში გარდატეხის შეტანა მაინც მოახერხა. ჯეფ უილსონმა და პიტა ალატინმ ზედიზედ უწიეს სამხრეთაფრიკელთა სალელოე მოედანს, ბრაუნმაც ერთი ლელო გარდასახა და წინ ისევ მასპინძლები გავიდნენ — 33:24. ზედ თამაშის მიწურულს კი ვეტერანმა ჩესტერ უილიამსმა შეძლო მასპინძელთა დაცვის გარღვევა, კოენმაც ზუსტად შეასრულა გარდასახვა და ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა. ბოლო წუთებმა იოჰანესბურგელთა გააფთრებულ იერიშებში ჩაიარა, მაგრამ ამაოდ, დანიდინმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა.

სიდნეის მწვრთნელი იან კენედი დურბანთან შეხვედრის წინ იმუქრებოდა, კანბერამ რომ მოუგო (51:10), იმაზე შავ დღეს ვაყრით მეტოქესო. კენედი ბჭობდა, დურბანი იცინოდაო. ტურნირის დაწყებიდან მოყოლებული დურბანს მოგზაურობა არ შეუწყვეტია. მან ყველა მატჩი სტუმრად გამართა და ყველა წაგო. შაბათს კი ნავსი და სიდნეი ერთად გატეხა. შეხვედრა საზიზღარ კლიმატურ პირობებში ჩატარდა, რომელსაც პირველებმა ალღო სტუმრებმა აუღეს, მე-13 წუთზე სტივენ ტერბლანშმა ანგარიში გახსნა. მალე მეტ ბარკმა საჯარიმოთი სხვაობა შეამცირა. მანვე 25-ე და 39-ე წუთებზე კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა და თავისიანები 9:5 დაწინაურა. შესვენებამდე ფან რენსბურგმაც მოახერხა სამი ქულის მოხვეჭა.

მეორე ტაიმი სტუმართა უპირატესობით დაიწყო. ოლი ლე რუს ლელოს ფან რენსბურგმა გარდასახვა და საჯარიმო დაურთო და დურბანი 18:9 დაწინაურდა. მასპინძლებმა ერთი კი გაიბრძოლეს და სხვაობა ორ ქულამდე შეამცირეს, მაგრამ იმ დღეს გამარჯვება არ ეწერათ.

ტურის ცენტრალური თამაში ახალზელანდიური დაპირისპირება იყო. ჰამილტონმა ველინგტონს უმასპინძლა. სტუმრებს ჯონა ლომუ და ტანა უმაგა აკლდათ. პირველს თითი აქვს მოტეხილი და, ალბათ, კიდევ ერთ კვირას გაატარებს, მეორემ კი წინა ტურში წითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიკაციერებული იყო. მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა, როცა სამი ლელო გავიდა. აღსანიშნავია ჰამილტონის მწვრთნელის ტაქტიკური შეცდომაც რამაც დიდი გავლენა მოახდინა მთლიანად მატჩზე. პირველ ტაიმში მსაჯმა ათი წუთით მასპინძლებს დაგანი გაუძევა. შერკინებას დენი ლი მიახმარეს, რომელმაც მანამდე მშვენივრად მოთამაშე და ლელოს გამტანი ისიტოლაო მაკა შეცვალა. თუმცა, ეტყობა, ჰამილტონის თავკაცს რაგბის წესები არ გახსენებია. თუ მოთამაშე დამტვრეული არაა და გამოცვლი, მას მინდორზე ველარ დაბრუნებ. მაკას მაგივრადაც ლიმ ითამაშა დარჩენილ დროში, რითაც მასპინძელთა შეტევებს სიმწვავე მოაკლდა. მეორე ტაიმში გუნდებმა მხოლოდ თითო საჯარიმო გაცვალეს, ჰამილტონელთა ბოლო შტურმმა კი გამარჯვებული ველარ შეცვალა.

ყველა წაგებით და ნული ქულით გათამაშების ცხრილის ფსკერზე ბრისბენი დაილექა. ავსტრალიელებმა ამჯერად კრაისტჩერჩთან წააგეს. არადა, პირველი ტაიმის შემდეგ 16:3 იგებდნენ.

ავსტრალიელთაგან ერთადერთმა კანბერამ მოიგო, რომელმაც სტუმრად კეიპტაუნს აჯობა, ოთხი ლელოც გაიტანა და მეოთხე ადგილამდეც აღზევდა. მსოფლიოს ჩემპიონების ქვეყნიდან მხოლოდ იგი თუ შეძლებს ნახევარფინალში გაღწევას, თუმცა იქამდე ჯერ კიდევ შორია...

ᲒᲐᲘᲝᲖ ᲗᲐᲚᲐᲫᲒᲐᲫᲔ

RUGBY SUPER 12 — ᲖᲔ-12 ᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲪᲮᲠᲘ

17 მარტი

ᲓᲐᲜᲘᲓᲘᲜᲘ (ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ) 33:31 ᲘᲝᲰᲐᲜᲔᲡᲑᲣᲠᲒᲘ (ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ)

დანიდინი: 4ლ — კელეჰერი (2), უილსონი, ალატინი; 2გ. და 3ს — ბრაუნი
იოჰანესბურგი: 3ლ — ვანტერი, დელპორტი, უილიამსი; 2გ. და 4ს — კოენი

ᲡᲘᲓᲜᲔᲘ (ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ) 19:26 ᲓᲣᲠᲑᲐᲜᲘ (ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ)

სიდნეი: 1ლ — სტრაუსი; 1გ — ედმონდსი; 4ს — ედმონდსი, ბარკი (3)
დურბანი: 3ლ — ტერბლანში, ლე რუ, სმიტი; 1გ. და 3ს — ფან რენსბურგი

18 მარტი

ᲰᲐᲛᲘᲚᲢᲝᲜᲘ (ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ) 19:24 ᲕᲔᲚᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ (ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ)

ჰამილტონი: 1ლ — მაკა; 1გ. და 4ს — ჯეკსონი
ველინგტონი: 2ლ — იერემია, კალენი. 1გ. და 4ს — ლილი

ᲑᲠᲘᲡᲑᲔᲜᲘ (ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ) 19:27 ᲙᲠᲐᲘᲡᲢᲩᲔᲠᲩᲘ (ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ)

ბრისბენი: 1ლ — ლეთემი; 1გ. და 4ს — დრამი
კრაისტჩერჩი: 3ლ — მარშალი, კრიბი, მაკდონალდი; 3გ. და 2ს — მერთენსი

ᲙᲔᲘᲞᲢᲐᲣᲜᲘ (ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ) 15:29 ᲙᲐᲜᲑᲔᲠᲐ (ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ)

კეიპტაუნი: 5ს — მონტგომერი
კანბერა: 4ლ — ფინიგანი (2), მორტლოკი, ფენიკიტაუ; 3გ. და 1ს — მორტლოკი

ბრისბენი — კრაისტჩერჩი. სტუმართა ეს შეტევა რონ კრიბის (ბურთით) ლელოთი დამთავრდა

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

დანიდინი	4	4	0	0	3	0	145:87	19
ველინგტონი	4	3	0	1	2	0	126:102	14
კრაისტჩერჩი	3	3	0	0	0	0	86:63	12
კანბერა	3	2	0	1	2	1	95:43	11
სიდნეი	4	2	0	2	1	2	118:77	11
იოჰანესბურგი	4	2	0	2	0	1	92:121	9
ჰამილტონი	3	1	0	2	1	2	75:76	7
კეიპტაუნი	4	1	1	2	0	1	74:85	7
ოკლენდი	3	1	0	2	1	1	63:79	6
დურბანი	4	1	0	3	0	1	79:137	5
პრეტორია	3	[illegible]	1	2	0	1	51:75	3
ბრისბენი	3	0	0	3	0	0	47:120	0

მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისათვის, მეექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მიკუთვნებული პრემიალური ქულებია

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲐᲜᲔᲑᲘ

მეტიუ ბარკი (სიდნეი) — 65 ქულა
ტონი ბრაუნი (დანიდინი) — 61
ენდრიუ მერთენსი (კრაისტჩერჩი)— 43
ბრაამ ფან სტრაატენი (კეიპტაუნი) — 37
გლენ ჯეკსონი (ჰამილტონი) — 37

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲔᲚᲔᲚᲝᲛᲔᲑᲘ

ენდრიუ უოლკერი (კანბერა) — 5 ლელო
კრისტიან კალენი (ველინგტონი) — 4
ჯეფ უილსონი (დანიდინი) — 3
ჯონა ლომუ (ველინგტონი) — 3
ტანა უმაგა (ველინგტონი) — 3
სკოტ სტენიფორტი (სიდნეი) — 3
პიტა ალატინი (დანიდინი) — 3
ბაირონ კელეჰერი (დანიდინი) — 3

ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲢᲣᲠᲘ

24 მარტი

ᲝᲙᲚᲔᲜᲓᲘ — ᲡᲘᲓᲜᲔᲘ

25 მარტი

ᲑᲠᲘᲡᲑᲔᲜᲘ — ᲰᲐᲛᲘᲚᲢᲝᲜᲘ

ᲞᲠᲔᲢᲝᲠᲘᲐ — ᲙᲐᲜᲑᲔᲠᲐ

ᲕᲔᲚᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ — ᲘᲝᲰᲐᲜᲔᲡᲑᲣᲠᲒᲘ

26 მარტი

ᲙᲠᲐᲘᲡᲢᲩᲔᲠᲩᲘ — ᲙᲔᲘᲞᲢᲐᲣᲜᲘ

დანიდინი და დურბანი ისვენებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო ფულია, ოქროც და საათიც

მოცურავეთა ათენის მეხუთე მსოფლიოს ჩემპიონატი თხუთმეტი მსოფლიოს რეკორდით დასრულდა. ეს „პატარა წყლებში“ ამგვარ ასპარეზობათა რეკორდული შედეგია

ლარს ფროლანდერი

ისტორია გვიჩვენებს, რომ გამოჩენილ ვარსკვლავთა უმრავლესობა სწორედ „მცირე წყლის“ მსოფლიოს ჩემპიონატებზე იყრის თავს. ამჯერადაც ასე იყო. თუმცა იყო გამონაკლისიც. პირველობაზე არ მონაწილეობდა ავსტრალიელთა თანავარსკვლავედი — იან ტორპი, მაიკლ კლიმი, გრანტ ჰაკეტი, მეტიუ დანი და სუზან ონილი. ავსტრალიელებმა მხოლოდ მეორე შემადგენლობით იასპარეზეს ათენში, რადგან ისინი გამალებით ემზადებიან მაისში წინასაოლიმპიადო გამოცდისთვის.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ავსტრალიელმა ვაჟებმა შარშან ჰონკონგის მსოფლიოს ჩემპიონატზე 20-დან 9 მედალი დაისაკუთრეს.

ქალებიდან ასპარეზობაში არ გამოსულა სამხრეთაფრიკელი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი და თერთმეტგზის მსოფლიოს რეკორდსმენი პენი ჰეინსი. იგი ახლახანს ავტოავარიაში დაღუპულ მეგობარსა და თანაკლუბელ, კალგარელ ტარა სლოუნს გლოვობდა.

შეჯიბრების მონაწილეთა ასეთი დანაკლისის მიუხედავად, ათენში მაინც მრავალი სახელგანთქმული მოცურავე გამოდიოდა და მერე როგორ. ჯერ იყო და შეჯიბრების პირველ დღეს ერთბაშად ხუთი მსოფლიოს რეკორდი დამყარდა, მეორე დღეს ოთხი, მესამე და მეოთხე დღე კი სამ-სამი რეკორდით აღინიშნა. აქედან ყველაზე მეტად თავი გამოიჩინა ამერიკელმა ნეილ უოლკერმა, რომელმაც ასპარეზობის პირველ დღეს 50 მეტრზე გულაღმა წინასწარ და ნახევარფინალურ გაცურვებში მსოფლიოს რეკორდები დაამყარა, მეორე დღეს კი ასეთივე წარმატებას 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მიაღწია, რასაც ვიუწყებოდით კიდეც. მაგრამ იგი ამით არ დაკმაყოფილებულა და მესამე და მეოთხე დღეც მსოფლიოს რეკორდებით აღნიშნა. თუმცა 100 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ასეთი შედეგის (52,79) მიღწევამდე უოლკერმა განაცხადა, თავს ცოტა დაღლილად ვგრძნობო. 23 წლის მოცურავის სიტყვები უცნაურდა გვეჩვენა, რადგან მან ფინელი იანი სიევინენის ოთხი წლის წინანდელი მსოფლიოს რეკორდიც (53,10) გაუმჯობესა და ასპარეზობის მეოთხე დღეს 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში თანამემამულე ლენი კრეიზელბერგის შარშანდელი მსოფლიოს რეკორდიც (51,28) დაამხო — 50,75.

— ახლა მწამს, რომ სიდნეიშიც შეძლებ მსოფლიოს რეკორდის დამყარებას — განაცხადა უოლკერმა, რომელმაც ხუთი მსოფლიოს რეკორდისთვის ბლომად საპრიზო თანხა ჩაიჯიბა და 63,750 დოლარით შეამცირა ფინა-ს ჯიბე.

— რაც შეეხება ფულს, რომელიც ათენში მოვიპოვე, გეტყვით, რომ ახლო მომავალში მის დახარჯვას არ ვაპირებ. შეგახსენებთ, რომ ფინა-მ ყოველი მსოფლიოს რეკორდისთვის 15-15 ათასი დოლარი, ხოლო შეჯიბრების ერთ-ერთმა სპონსორმა, შვეიცარიული საათების მწარმოებელმა ფირმა „ომეგამ“, ასევე ყოველი რეკორდისთვის 2000-დოლარიანი საათები დააწესა.

ასე რომ, უოლკერი შინ ხუთი უძვირფასესი საათით ხელდამშვენებულიც გაემგზავრა. ალალიცაა — მან ხომ ყველაზე უკეთ უწყის დროის ფასი.

სხვათა შორის, 100 მეტრზე კომპლექსურ და გულაღმა ცურვაში მსოფლიოს რეკორდების დამყარებამდე მან იმავე დისტანციაზე თავისუფალი სტილით წინასწარი გაცურვისას, ექვსი წლის წინათ გელზერკირხენში (გერმანია) რუსი ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრ პოპოვის მიერ დამყარებულ მსოფლიოს რეკორდს (46,74) შეუტია, მაგრამ ხელი მოეცარა. ამიტომ ნახევარფინალურ გაცურვაზე უარი თქვა, რათა ზემოთ ჩამოთვლილი რეკორდები დაემყარებინა.

ათენის მსოფლიოს ჩემპიონატი იღბლიანი გამოდგა შვედი ლარს ფროლანდერისთვისაც. როგორც იცით, მან 100 მეტრზე ბატერფლაით ნახევარფინალურ, ფინალურ და 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით გაცურვებში მსოფლიოს რეკორდები დაამყარა. ასპარეზობის ბოლო დღეს კი 50 მეტრზე ბატერფლაით წინასწარი გაცურვისას, ავსტრალიელი მაიკლ კლიმის შარშანდელი მსოფლიოს რეკორდის (23,21) დამხობით (23,19) მათი რაოდენობა ოთხამდე გაზარდა.

— რა თქმა უნდა, საუკეთესო მოგონებებით ვტოვებ ათენს. ბოლო გაცურვაშიც მსოფლიოს რეკორდს ვეღლოდი და გამიმართლა კიდეც — განაცხადა შვედმა მოცურავემ, რომელსაც ასეთივე წარმატების გამეორება სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზეც სურს.

საინტერესოა, რომ ფროლანდერსაც, ისევე როგორც უოლკერს, პოპოვის მსოფლიოს რეკორდის დამხობა სურდა. ამიტომ მან 50 მეტრზე ბატერფლაით წინასწარი გაცურვის შემდეგ ასპარეზობის გაგრძელება აღარ ისურვა, რათა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში პოპოვის რეკორდის (46,74) დასამხობად ენერგია შემოენახა.

მართლაც, ნახევარფინალში ფროლანდერმა სტარტი კარგად აიღო, მაგრამ, მისდასამწუხაროდ სულ რაღაც ერთი მეასედით ჩამორჩა პოპოვის შედეგს, ფინალში კი ამაზე უარესი მაჩვენებლით 0,04-ით ასცდა სანატრელ რეკორდს.

თავისი ოსტატობის დემონსტრირება განაგრძო ფროლანდერის თანამემამულე ტერეზა ალსამარმაც. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჯენი ტომპსონისთვის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის ართმევისა და მსოფლიოს რეკორდის დამყარების შემდეგ, მან ასეთივე წარმატებას მიაღწია 50 მეტრზე იმავე დისციპლინაშიც. ამ სახეობაში ალსამარმა, რომელიც ჰამბურგში გერმანელი მწვრთნელის დირკ ლანგის მეთვალყურეობით ვარჯიშობს, შარშან 11 დეკემბერს ლისაბონში, „მცირე წყლის“ ევროპის ჩემპიონატზე დამყარებული თავისივე მსოფლიოს რეკორდი (24,09) გაუმჯობესა — 23,59.

— პირველ რიგში დგას ტერეზა ალსამარი, მერე არაფერია, არაფრის იქითაც არაფერია. მერე ტომპსონი ჩანს, ბოლოს სხვა დანარჩენიც — თქვა შვედეთის ნაკრების მწვრთნელმა ჰანს კრუნაკმა, რომელიც მხნევდება, როდესაც ალსამარისა და ფროლანდერის წარმატებები ახსენდება.

— ოლიმპიურ თამაშებისთვის ჩვენი მიზანი იგივეა, რაც ათენამდე დავისახეთ — თითო ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო. უარს არ ვიტყვი, თუ მეტიც გვექნება. ოქროსთვის ჩვენი შანსი ალსამარი, ფროლანდერი და შესაძლოა ესტაფეტის რომელიმე გუნდი იყოს. — თქვა გამხნევებულმა კრუნაკმა.

მიუხედავად ჰანს კრუნაკის მიერ ჯენი ტომპსონის სახელის დაკნინებისა, ამ ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა საკუთარი მსოფლიოს რეკორდის გაუმჯობესებით გამოიჩინა თავი. იგი 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ალსამართან დამარცხების შემდეგ იმავე მანძილზე ბატერფლაით ნახევარფინალურ გაცურვაში, 12 თებერვალს პარიზში მსოფლიოს თასზე დამყარებულ საკუთარ რეკორდს (56,80) დაუპირისპირდა და გაუმჯობესა კიდეც — 56,56.

ათენის „მცირე წყალი“ წარმატებული გამოდგა რუსი რომან სლუდნოვისთვისაც.

როგორც ვიუწყებოდით, მან შეჯიბრების მეორე დღეს 100 მეტრზე ბრასით ნახევარფინალურ გაცურვაში დაამყარა მსოფლიოს რეკორდი. მან ასეთივე წარმატებას მიაღწია 200 მეტრზე იმავე დისციპლინაში, როდესაც ძლიერ მეტოქესთან, სამხრეთაფრიკელ ყრუ მოცურავესთან ტერენს პარკინთან პაექრობაში, თავისივე თანამემამულის ანდრეი კორნეევის მიერ 1998 წლის მარტში პარიზში დამყარებული რეკორდი (2.07,79) გაუმჯობესა — 2.07,59.

სლუდნოვი, რომელიც რუსეთში ალექსანდრ პოპოვის მემკვიდრედ მიაჩნიათ, იმედოვნებს, რომ სიდნეიშიც შეძლებს მედლის მოპოვებას, ჯერჯერობით კი 20 წლის ომსკელი მოცურავე გაოგნებულია 30 ათასი დოლარის მოპოვებით და არ იცის რა უყოს მას.

— ნამდვილად არ ვიცი, რა ვუყო იმ ფულს, რომელიც რეკორდებისთვის მომცეს. ასეთ შედეგებს არ ველოდი და ცხადია, არც ამდენი ფული დამესიზმრებოდა — თქვა დაბნეულმა.

ერთი სიტყვით, ათენის მსოფლიოს ჩემპიონატი მსოფლიოს რეკორდების სიმრავლით რეკორდული გამოდგა. 15 ასეთი შედეგიდან 11-ჯერ ვაჟებმა გამოიჩინეს თავი.

გიგა გურასაშვილი

აშშ	9	7	9	25
შვედეთი	7	3	1	11
გერმანია	5	6	2	13
ბრიტანეთი	4	4	5	13
სამხრეთ აფრიკა	2	4	—	6
უკრაინა	2	2	3	7
ჩინეთი	2	2	2	6
ფინეთი	2	1	—	3
რუსეთი	2	—	5	7
სლოვაკეთი	1	2	1	4
ავსტრალია	1	1	2	4
ხორვატია	1	—	—	1
დანია	1	—	—	1
უნგრეთი	1	—	—	1
კანადა	—	4	1	5
პოლონეთი	—	2	1	3
იტალია	—	1	2	3
კუბა	—	1	1	2
ისრაელი	—	—	1	1
შვეიცარია	—	—	1	1
სლოვენია	—	—	1	1
თურქეთი	—	—	1	1
ბელარუსი	—	—	1	1

ნეილ უოლკერი

მოჰამედ მურიტი

მოკლე ფეხი

მოკლე ფეხი მარტო ტყუილს კი არა, ბელგიელ მოჰამედ მურიტსაც აქვს, რომელმაც პორტუგალიურ ვილამურაში დასრულებულ კროსმენთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, 12-კილომეტრიან დისტანციაზე ოქროს მედალი მოიპოვა.

გარბენის აშკარა ფავორიტად მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი პოლ ტერგატი ითვლებოდა, რომელსაც ზედიზედ მეექვსე ტიტულის მოპოვებით რეკორდის დამყარება შეეძლო, მაგრამ კენიელის ამბიციებს წყალი მისივე თანამემამულეებმა შეუყენეს.

ამაოდ ჩათვალეს კენიის ნაკრების თავკაცებმა, რომ ექვსი მძლეოსნის გარდა წლევანდელი კლასიფიკაციის ლიდერის, ჩარლზ კამატის გამოყვანის უფლებაც ჰქონდათ. მაგრამ ეს წესი IAAF-ს თურმე 3 წლის წინ გაუუქმებია და უწიგნური აფრიკელებიც პროტესტის არანაკლებ შავბნელი ფორმით, ბოიკოტითლა დაიმუქრნენ.

მოქმედი წესების შეცვლა კენიელთა გამო არავის მოუსურვებია და მათაც, ცოტათი რომ იბაქიბუქეს, მორჩილად გააგრძელეს ასპარეზობა, თუმცა ნაკრების წევრები გვარიანად აზარალეს. „დილის 10 საათამდე არც კი ვიცოდით, ვირბენდით თუ არა, მზად ვიყავით, სულაც შინ გავბრუნებულიყავით“ — აღნიშნა ტერგატმა — „ბოლო ორი დღეა, საერთოდ არ მიძინია, გუნდიდან ერთი მონაწილე უნდა ამოეგდოთ.“

უძილო ღამეების მიუხედავად, თავიდან კენიელები დაწინაურდნენ, რომლებმაც ორი კონკურენტის — ზემოხსენებული მურიტისა და ეთიოპიელი ასეფა მაზგებუს გარდა ყველა კარგა მანძილით ჩამოიტოვეს. ბოლო კილომეტრზე იერიში პირველმა ტერგატმა მიიტანა, მაგრამ ფინიშის ხაზამდე ძალა არ ეყო. კენიელის სისუსტე ესეც მურიტმა გამოიყენა, მოულოდნელი სპრინტით წინ გაიჭრა და ფინიშთან ბედნიერებისგან სახეგაბრწყინებულმა მიირბინა.

„სულაც არ მიკვირს, რომ ჩემპიონი გავხდი. ჯერ კიდევ 1991-ში ლეგენდარულმა საიდ აუიტამ მითხრა, რომ 800-დან 10000 მეტრამდე დისტანციებზე მსოფლიოს რეკორდების გაუმჯობესება შემეძლო. მაგრამ მე პატარა ფეხები მაქვს, თანაც ერთი მეორეზე დიდია, ამიტომ ბევრჯერ დავშავებულვარ“ — განაცხადა მურიტმა, რომლის ერთი ფეხის სიგრძე მეორისას 17 მილიმეტრით აღემატება.

როგორც მურიტის გვარ-სახელისგან მიხვდებოდით, ის წარმოშობით ბელგიელი ნამდვილად არ არის. მაროკოში დაბადებულმა სპორტსმენმა ევრომოქალაქეობა თავისი ბელგიელი მეუღლის, ბეატრისის ხათრითა და ადგილობრივი ფედერაციის დახმარებით მიიღო.

„არაერთხელ მითქვამს, რომ საუკეთესოთა ათეულის ნებისმიერ მორბენალს შეეძლო ჩემპიონობა. ჩემთვის დიდი პატივია, ასეთი მნიშვნელოვანი როლა რომ მოვიგე, თანაც ტერგატისთანა ჩემპიონი დავამარცხე“ — დაუმატა მურიტმა.

ქალების 8-კილომეტრიან დისტანციაზე გამარჯვების პრეტენდენტებად აფრიკელთა გარდა ბრიტანელები — 1998 წლის ირლანდიელი მსოფლიოს ჩემპიონი სონია ოსალივანი და ინგლისელი პოლა რედკლიფი ითვლებოდნენ.

სალივანი პირველად ასპარეზობდა შარშანდელი ზაფხულის მერე, როცა ქალიშვილი კაირია შეეძინა. მაგრამ ხანგრძლივი შესვენების მიუხედავად მას მაინც გამარჯვების უწინასწარმეტყველებდნენ, რადგან მავანთა მტკიცებით, მორბენალ ქალებს მოლოგინება, თურმე ძალ-ღონეს მატებს.

ეს ვარაუდი არ გამართლდა. სალივანმა თავი ვერაფრით გამოიჩინა და მხოლოდ მეშვიდე ადგილს დასჯერდა. უმეტლოდ დარჩა რედკლიფიც, რომელიც მეოთხე ადგილზე გავიდა.

გამარჯვება კი ეთიოპიელ დერარტუ ტულუს, კიდევ ერთ გმირ დედას ხვდა წილად, რომელმაც საკუთარი პესიმისტური პროგნოზის მიუხედავად, გარბენის მაღალ ტემპს გაუძლო და ბოლო მეტრებზე გამოსტაცა ოქრო თანამემამულესა და მეგობარ გეტე ვამის.

ძახა არჯევანიძე

ქალები

8 კმ

1 დერარტუ ტულუ (ეთიოპია) — 25,42 წთ
2 გეტე ვამი (ეთიოპია) — 25, 48
3 სიუზენ ჩეპკემეი (კენია) — 13,00

4 კმ

1 კუტრე დულეჩა (ეთიოპია) — 13,00
2 ზარა უაზიზი (მაროკო)
3 მარგარეტ ნგოტო (კენია) — იგივე დრო

კაცები

12 კმ

1 მოჰამედ მურიტი (ბელგია) — 35,00
2 ასეფა მეზგებუ (ეთიოპია) — 35,01
3 პოლ ტერგატი (კენია) — 35,02

4 კმ

1 ჯონ კიბოვენი (კენია) — 11,11
2 სემი კიპკეტერი (კენია) — 11,12
3 პოლ კოსგეი (კენია) — 11,15

ჰერმინატორიც ადამიანია!

ჰერმან მაიერი თვრება, იგინება, ტანსაცმელს იხევს, ტელეფონის ჯიხურებსა და ნაგვის ურნებს აყირავებს

REUTERS ბორმიოდან

ავსტრიელთა სამთო დიქტატი. თოვლის მეფე-დედოფალი: ჰერმან მაიერი და რენატე გოეტჩლი

გასულ კვირას ისტორიას ჩაბარდა სამთომოთხილამურეთა მსოფლიოს თასის მომდინარე სეზონი და მისი ეპილოგი ორი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა: პირველი, ავსტრია ბროლის გლობუსებით გაივსო და მეორე, წლის უპირველესი ტრიუმფატორი, ავსტრიელივე ჰერმან მაიერი, „ჰერმინატორად" წოდებული, ერთმა საინფორმაციო სააგენტომ ტელეფონის ჯიხურის დაზიანებაში ამხილა. ამ და სხვა საინტერესო ამბებზე ქვემოთ შეიტყობთ.

იტალიურ ბორმიოში მიმდინარე მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპებზე სუპერგიგანტისა და სწრაფდაშვების შემდეგ გიგანტური სლალომის საბოლოო ცხრილი შეივსო. მამაკაცებში აქაც მაიერი ლიდერობდა და ბოლო ეტაპმა ვერაფერი შეცვალა. თუ „ჰერმინატორს" უახლოესი მდევრისგან მხოლოდ სამი ქულა აშორებს, ეს არ გვაძლევს საბაბს, ვიფიქროთ, რომ ბორმიოს გიგანტური სლალომის ეტაპს თუნდაც ნამცეცა დრამატიზმი ახლდა თან. მაიერი 83 ქულას უგებდა მაიერს, სახელად კრისტიანს და როცა სტარტზე შედგა, უკვე იცოდა, რომ მოგვარემ ტრასაზე პირველობა კიდევ ერთ ავსტრიელს, ბენიამინ რაიხს დაუთმო და 80 ქულაზე მეტი ვერ ერგო. ამის შემდეგ „ჰერმინატორს" რა ენაღვლებოდა, არხეინად ჩასრიალდა დაბლა, ერთხელ მსუბუქადაც დაეცა და ფინიში წყნარი ნაბიჯებით გადაკვეთა. მომდევნო დღის სლალომი, მოგეხსენებათ, მაიერს არ აინტერესებდა და მსოფლიოს თასზე მისგან ნაჩვენები შედეგი ისეთივე მრგვალი და სიმბოლური დარჩა, როგორც გიგანტური სლალომის შემდეგ — 2000 ქულა. „დიდებული რამ არის, როცა ათასწლეულის მიჯნაზე ასეთი შედეგი გაქვს" — თქვა მაიერმა, რომელიც ბოლო დღეებში ჟურნალისტებს ვერ იშორებს — „მაგრამ ჩაფიქრებული მაქვს, მომავალ სეზონში უფრო მეტი ქულა დავაგროვო."

მასმედიის ზედმეტი ყურადღება რომ შემაწუხებელია, რა ახსნა უნდა და გუშინ დილით, ბორმიოდანაც იმგავარი ცნობები მოვიდა, ჩვენი საფუძვლიანი დასკვნით, „ჰერმინატორი" იტალიური საინფორმაციო სააგენტოს, „ანსა ნიუს აგენსის" თანამშრომლებს გულში მაინც უნდა აგინებდეს. მათგან გავრცელებული ცნობებით, მთვრალ „ჰერმინატორს" ბორმიოს ერთი ქუჩა დაუწიოკებია, სიცივეში სანახევროდ შემოუძარცვავს სამოსი, ჩაუშსხვრევია სატელეფონო ჯიხური და წიხლები გამოუყენებია რამდენიმე ნაგვის ბუნკერის წინააღმდეგ. ყოველივე ამას, გატიტვლების გამოკლებით, ვანდალიზმი ეწოდება და სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის, ჟან ფრანკო კასპერის ოფიციალურ განცხადებაშიც ეწერა, მაიერის საქმეზე ვანდალიზმის მუხლით გამოძიება ჩატარდებაო. კვლევა ხანგრძლივი არ ყოფილა: „ჰერმინატორი" გაამართლეს. გაამართლეს მიუხედავად იმისა, რომ რაღაც ანალოგიურ ქმედებებში ადრეც შეუნიშნავთ. ორი წლის წინ, მაიერი და მისი მეგობარი ანდრეას შიფერერი იყვნენ სწორედ, ომახიანი ყვირილით რომ სერავდნენ ამერიკული ასპენის ქუჩებს, ცხადია, არცთუ ფხიზელ მდგომარეობაში. ავსტრიელს მაშინდელივით ახლაც თვისტომნი შეეშველნენ, რომელთაც თავიანთი კერპის ტრიუმფის ამგვარად ჩაშხამება არ ეპატნავათ. ავსტრიული თხილამურობის შეფმა, ჰანს პუმმა ორმხრივ იმოქმედა: ცალკე ის გამოიძია, რომ სატელეფონო ჯიხურის ამბავში მაიერი უბრალო ყოფილა და ცალკე კიდევ, ორგანიზატორებს ბოდიში აახლა მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან ერთად. ამას დაემატა ბორმიოს „მეფეთა კლუბის" პატრონის, ვინმე სტეფანი გრასსოს ნათქვამი, მაიერი ჩემს დაწესებულებაში ქეიფობდა და დილის ხუთის ნახევრამდე ისე წესიერად იქცეოდა, მეტი არ შეიძლებაო. „ჰერმინატორსაც" კვლავ სრული უფლება მიეცა, ბოლომდე დატკბეს თავისი გამარჯვებით, რომელიც დიახაც შთამბეჭდავია. მაიერმა ერთი დიდი და სამი პატარა ბროლის გლობუსი მოიხვეჭა, საერთო ჩათვლის, სუპერგიგანტის, გიგანტური სლალომისა და სწრაფდაშვების მსოფლიოს თასთა მოგებისთვის. ამგვარი უნიკალური მოვლენა ბოლოს 13 წლის წინ იყო, როცა შვეიცარიელმა პირმინ ცურბრიგენმა ოთხი სხვადასხვა მსოფლიოს თასი მოიგო.

ერთი სიტყვით, მაიერი გადარჩა, ამიტომ მისი საკითხი აღარც გაიჭაჭანებს მოთხილამურეთა საერთაშორისო ფედერაციის მორიგ თავყრილობაზე, რომელიც ამ კვირას ბორმიოშივე უნდა გაიმართოს. ღღის წესრიგის მოწინავე თემა სხვა იქნება: ბოლო სეზონში მომრავლებული ტრავმები, მრავალი უძლიერესი სამთომოთხილამურე რომ მოსწყვიტა საყვარელ საქმეს. უკვე ნახსენებ ჟან-ფრანკო კასპერს მოვუსმინოთ: „წლევანდელი სეზონი ურიგო არ ყოფილა, მაგრამ ქალთა ეტაპებზე ტრავმების სიმრავლემ შეგვაღონა. ამაზე ბევრს ვფიქრობთ და ვასკვნით, რომ თხილამურები უნდა დავამკლოთ და ფორმა ვუცვალოთ. ფეხსაცმელების პარამეტრებიც გადახედვას მოითხოვს." სხდომის მეორე მწვავე საკითხი სამთოსათხილამურო სპორტის ავსტრიელთაგან მონოპოლიზება იქნება. მათი საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს, მაგრამ ასეთი სიტუაცია შემაშფოთებელია და იქნებ დანარჩენ მსოფლიოში სპორტის ამ სახეობისადმი დამოკიდებულება განელდეს. წლეულს, მინც, ავსტრიელებმა სხვებს არაფერი დაუტოვეს. კაცებში „ჰერმინატორის" ამბავი მოგახსენეთ და კიდევ კარგი, სლალომში მაინც ერგო გამარჯვება არაავსტრიელს. ნორვეგიელი კეტილ ანდრე ამოდტი კვირას სტარტზე დაზიანებული ხერხემლით გავიდა, ტკივილები სტანჯავდა, მაგრამ მაინც ისრიალა, მე-6 ადგილზე გავიდა და საერთო გამარჯვებას ეს შედეგიც ამყოფინა.

ქალებში ავსტრიელთა უპირატესობა თითქოს ისე არ გამოკვეთილა, მაგრამ მაინც შესამჩნევია. რენატე გოეტჩლმა საერთო ჩათვლა მოიგო და სუპერგიგანტიც, ამას კი მიქაელა დორფმაისტერისგან გიგანტური სლალომის თასის დასაკუთრებაც დაემატა და დარჩა მხოლოდ ორი სახეობა, რომელშიც სხვებმა იხეირეს. გერმანელი რეგინა ჰოისლისგან სწრაფდაშვებაში გამარჯვება და ფეხის მოტეხვა უკვე მოძველებული თემაა, ხოლო კვირას, სლალომში დიდი და პატარა სლოვენელ სპელა პრეტნარის საბოლოო პირველობას მოელოდა და ასეც მოხდა. წლევანდელ სამთოსათხილამურო ამბებს აქვე დაესმება წერტილი და სანამ მომავალ ზამთრამდე დაგემშვიდობებოდეთ, საბოლოო ვითარებასაც გაგაცნობთ.

დავით გულუა

ქალები. სლალომი. საერთო ჩათვლა
1. სპელა პრეტნარი (სლოვენია) — 645; 2. კრისტელ საიონი (საფრანგეთი) — 626; 3. ანია პერსონი (შვეიცია) — 499.
გიგანტური სლალომი. საერთო ჩათვლა
1. მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 684; 2. სონია ნეფი (შვეიცარია) — 602; 3. ანიტა ვახტერი (ავსტრია) — 470.
მსოფლიოს თასი. საერთო ჩათვლა
1. რენატე გოეტჩლი (ავსტრია) — 1631; 2. დორფმაისტერი — 1306; 3. რეგინა კავანიუ (საფრანგეთი) — 1036; 4. იზოლდე კოსტნერი (იტალია) — 878; 5. ბრიგიტე ობერმოზერი (ავსტრია) — 806; 6. სონია ნეფი (შვეიცარია) — 789; 7. პრეტნარი — 714; 8. პერსონი — 704; 9. მარტინა ერტლი (გერმანია) — 701; 10. ტანია შნაიდერი (ავსტრია) — 695
კაცები. სლალომი. საერთო ჩათვლა
1. კეტილ ანდრე ამოდტი (ნორვეგია) — 598; 2. ოლე კრისტიან ფურუსეტი (ნორვეგია) — 544; 3. მათიას ვროვნიკი (სლოვენია) — 538.
გიგანტური სლალომი. საერთო ჩათვლა
1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) — 520; 2. კრისტიან მაიერი (ავსტრია) — 517; 3. მიქაელ ფონ გრუნინგენი (შვეიცარია) — 466.
მსოფლიოს თასი. საერთო ჩათვლა
1. ჰერმან მაიერი — 2000; 2. ამოდტი — 1440; 3. იოზეფ შტრობლი (ავსტრია) — 994; 4. კრისტიან გედინა (იტალია) — 958; 5. ანდრეას შიფერერი (ავსტრია) — 905; 6. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) — 904; 7. ფრიც შტრობლი (ავსტრია) — 889; 8. კრისტიან მაიერი — 802; 9. ვერნერ ფრანცი (ავსტრია) — 762; 10 ფრედრიკ ნიბერგი (შვედეთი) — 761.

სლოვაკის ენა სლოვაკმა იცის

NHL

20 მარტი

ბუფალო — მონრეალი 4:1

0:0 3:0 1:1

1:0 მაკი 21'44 (3); 2:0 აფინოგენოვი 30'13 (16); 3:0 უორდი 34'57 (10); 3:1 რუჩინსკი 47'49 (23); 4:1 ვარადა 59'54 (7)

კოლორადო — ვანკუვერი 2:3

1:1 1:0 0:2

1:0 საკიკი 5'21 (23); 1:1 ბერტუცი 9'39 (20); 2:1 ჰეიდუკი 21'00 (31); 2:2 დრაკენი 40'21 (5); 2:3 სოპელი 47'10 (1)

სენტ ლუისი — ვაშინგტონი 2:1

2:0 0:1 0:0

1:0 ისტვუდი 0'16 (19); 2:0 ჰანდზუსი 9'56 (25); 2:1 კლი 34'04 (7)

სენტ ლუისმა ვაშინგტონთან მოგების შემდეგ პირველმა გადალახა 100-ქულიანი ზღვარი, რაც კლუბის ისტორიაში მესამედ მოხდა.

მასპინძლებმა პირველივე პერიოდში გაინაღდეს გამარჯვება. როგორც კი ხელთ იგდეს შაიბა, თამაში მეტოქეთა ზონაში გადაიტანეს. იქ სენტლუისელთა ფორვარდმა პასკალ რომმა მცველებს გაუსწრო, მაიკ ისტვუდი მოძებნა და მანაც თავისიანები მე-16 წამზე დაწინაურა. შემდეგ „ბლუზმენთა" სლოვაკური ხაზი გამოირჩა. როგორც ჩანს, ერთად მოთამაშე სამ თანამემამულეს რაღაც პირობითი, მხოლოდ მათთვის გასაგები ენა აქვთ. წარმატების საიდუმლოც სწორედ ესაა. ბორტთან ბრძოლისას ლუბოშ ბარტეჩკო ვერც კი ხედავდა მიხალ ჰანდზუსს, მაგრამ როგორც კი ამ უკანასკნელმა შეჰ ყვირა, უშალ მიიღო შაიბა და ელვისებური დარტყმით მეკარე გააოგნა.

„მე ბარტს (ბარტეჩკოს) შევძახე, მან გაიგო და უმალვე ყველაფერი აეწყო" — აღიარა ჰანდზუსმა მატჩის შემდეგ. ბოლო 23 თამაშში სლოვაკთა სამეულის (მესამე პავოლ დემიტრა) ანგარიშზე 27 გოლი და 43 პასია.

ამის შემდეგ მასპინძლები 2:0 დაწინაურდნენ. უპირატესობის შენარჩუნება კი „ბლუზმენთა" მეკარე რომან ტურეკს ერთობ ეხერხება. ჩეხმა გოლკიპერმა თორმეტი დარტყმა მოიგერია მესამე პერიოდში, მანამდე კი მეტოქეს მხოლოდ ერთი გოლის გატანის საშუალება მისცა.

„ვფიქრობ, ბოლო ორ მატჩში ჩვენ ნამდვილად ჩვენებური ჰოკეი ვითამაშეთ და საუკეთესო თვისებები გამოვავლინეთ. თუ ასე გავაგრძელებთ, მოგებებიც მოვა" — ბუფალოს მეკარე დომინიკ ჰაშეკი იმედიანადაა. კალგარისთან დამარჯერებელი გამარჯვების შემდეგ „ხმლებმა" მართლაც რომ თავიანთი საფირმო, აგრესიული, საიმედო თამაში აჩვენეს და მონრეალს შანსი არ დაუტოვეს. მეტად მოუხდა ბუფალოს დუგ გილმორისა (8 ქულა 5 თამაშში) და კრის გრეტონის შეძენა. მართალია, გუნდში მათი მისვლის შემდეგ „ხმლებმა" ექვსი თამაშიდან სამი მოიგეს და სამი წააგეს, მაგრამ მთავარ მიზანს მიაღწიეს — შეტევა ნამდვილად გააძლიერეს. ამაზე ბოლო 5 მატჩში შეგდებული 21 შაიბაც მეტყველებს. მონრეალმა, რომელიც სასწაულებრივ ინარჩუნებს პლეი ოფში გასვლის შანსებს, თამაშის შემდეგ სასიხარულო ამბავი შეიტყო — მეინ კორსონი და ბენუა ბრიუნე ბრუნდებიან და ალბათ, მომდევნო მატჩში ითამაშებენ.

ახალშეძენილების — დენის პედერსონის (1 პასი) და ბრუნდან მორისონის (1 პასი) დახმარებით გამოგლიჯა კოლორადოს ორი ქულა ვანკუვერმა. მასპინძლებს ვერც ჯო საკიმს (H-1) უშველა, რომელიც ზედიზედ მეათე მატჩში გამოირჩა (12 გოლი და 7 პასი). ერთმანეთის მიყოლებით სამი მოგების შემდეგ ვანკუვერმა კვლავ დაძაბა ვითარება დასავლეთში, ხოლო კოლორადო შთამბეჭდავი სერიის (+6=1-0) შემდეგ მეორედ მარცხდება. საინტერესოა, რომ იმ წარმატების მთავარმა სულისჩამდგმელმა, გუნდის სახელიანმა ახალბედამ, რეი ბურკმა შაბათს, დეტროიტთან მატჩში პირველმა მცველთა შორის, მე-400 გოლი გაიტანა ლიგაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს უნიკალური მოვლენა თავისივე შეცდომით გააუფერულა, რასაც მეტოქის გადაწყვეტი შაიბა მოჰყვა.

სამველ ღარიბიანი

REUTERS ბუფალოდან

დომინიკ ჰაშეკი შაიბას ყველანაირად იგერიებს

სატურნირო ვითარება

აღმოსავლეთ კონფერენცია

ნიუ ჯერსი	73	41	8	5	24	224:176	95
ტორონტო	72	46	7	3	25	220:192	90
ვაშინგტონი	73	39	11	1	23	199:172	90
ფილადელფია	72	38	12	2	22	210:162	90
ფლორიდა	72	37	5	5	30	212:185	89
ოტავა	71	35	11	2	25	208:183	83
პიტსბურგი	72	30	8	6	34	208:212	74
მონრეალი	73	31	8	3	34	172:173	73
ბუფალო	74	30	10	3	34	191:193	73
კაროლინა	72	30	10	0	32	191:199	72
რეინჯერსი	74	29	11	3	34	208:211	72
ბოსტონი	72	22	17	6	33	184:217	67
აილენდერსი	72	21	8	1	43	170:238	51
ტამპა	71	17	8	7	46	180:266	49
ატლანტა	70	13	6	4	51	147:264	36

დასავლეთ კონფერენცია

სენტ ლუისი	72	46	9	0	17	221:144	101
დალასი	73	40	8	4	25	187:163	92
კოლორადო	74	34	11	1	29	209:188	80
დეტროიტი	73	43	8	2	22	240:188	96
ლოს ანჯელესი	72	34	9	4	29	220:206	81
ფინიქსი	71	35	7	2	29	209:197	79
ედმონტონი	73	27	16	8	30	201:190	78
სან ხოსე	73	30	9	7	34	203:196	76
ანაჰაიმი	73	30	12	2	31	192:199	74
ვანკუვერი	73	26	14	8	33	196:212	74
კალგარი	73	29	8	5	36	190:229	71
ჩიკაგო	72	28	8	2	36	216:225	66
ნეშვილი	73	26	7	7	40	185:213	66

შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.

დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამიკონ სარქისიანი: იყო დრო, დინამოს ვჰოლაგოზდი

მამიკონ სარქისიანი

ბურთს დელენჯაშვილის ფოტო

კაპუსტინი, ტიუბინი, ოპოშნიანი... ამათგან ქართველი არც ერთი ყოფილა, მაგრამ ჩვენი ხალხისთვის უამრავი დაუვიწყარი წუთი უჩუქებიათ. მაშინ სხვა დრო იყო, საბჭოთის პერიოდი, საქართველო კი — იმ უზარმაზარი ქვეყნის ერთი პატარა ნაწილი.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ცნება „ლეგიონერი“ უცხო ხილი გახლდათ ჩვენთვის. „დინამოში“ მოსკოველის ან ლენინგრადელის ყოფნა დაახლოებით ისე აღიქმებოდა, როგორც დღეს თბილისელის ბათუმში, ანაც გორში თამაში.

ახლა სულ სხვაა, ქართული კალათბურთი (და არა მარტო კალათბურთი) დამოუკიდებლობის გზას ადგას და იგივე მოსკოველი უკვე ლეგიონერად იწოდება ჩვენში.

თვითმყოფადობის ცხრანლიან ისტორიაში მამიკონ სარქისიანი მესამე ლეგიონერია ქართულ კალათბურთში. პირველი დესპანი ამერიკელი კლაიტონი იყო, რომელსაც მაშინდელ „თორსში“ უთამაშია, ამავე გუნდის ღირსებას იცავდა მოგვიანებით ლიტველი ია ზერსკისი. ეს ბიჭები დიდხანს ვერ შერჩნენ ჩვენს კალათბურთს. რა ბედი ეწევა ახლახან თბილისის „მაკაბიში“ ჩარიცხულ მამიკონ სარქისიანს, ჯერაც უცნობია, თუმც თავად ფაქტი, რომ იგი ლეგიონერია და თანაც სომხეთიდან, ვფიქრობთ, საკმარისი მიზეზია მასთან სასაუბროდ...

— სომხეთში, ქალაქ მეწამორში დავიბადე და გავიზარდე. ახლახან 25 წელი შემისრულდა. ჩემი სიმაღლე კი 197 სანტიმეტრია.

— კალათბურთს ბავშვობიდან თამაშობთ?

— რა თქმა უნდა, პატარაობიდანვე გამიტაცა ამ თამაშმა და მას შემდეგ სულ კალათბურთში ვარ. ჩემი პირველი სერიოზული კლუბი „ურარტუ“ იყო, შემდეგ ცსკა, ბოლოს „ატომ AC“-ში ვიყავი. ახლა კი თბილისის „მაკაბიში“ ჩავირიცხე.

— რაც ჩამოთვალეთ, ყველა გუნდი სომხურია?

— ასეა. სომხეთის გარდა არსად მითამაშია. „მაკაბი“ ჩემი პირველი საზღვარგარეთული კლუბია.

— როგორ მოხვდით საქართველოში?

— როგორც მითხრეს, „მაკაბის“ ხელმძღვანელობას სომხეთის კალათბურთის ფედერაციაში დაურეკავს და უთხოვია, ასეთი და ასეთი მოთამაშე გვჭირდება, იქნებ თქვენ გეგულებოდეთო. ფედერაციელებმა მე შემომთავაზეს ეს ვარიანტი და ბევრიც აღარ მიჭოჭმანია.

— თქვენი კლუბის ხელმძღვანელები წინააღმდეგნი არ ყოფილან?

— ჩვენთან ჩემპიონატი ნოემბერში დამთავრდა, მომდევნო კი მაისში დაიწყება. ასე რომ, ჩემი საქართველოში ყოფნით არავის არაფერი უშავდება.

— გამოდის, რომ მალე ისევ „ატომ AC“-ში დაბრუნებას აპირებთ...

— საქმე ისაა, რომ ამ კლუბიდან უკვე წამოვედი. მე და ჩემი ორი თანაგუნდელი ერევნის „ტოტუსმა“ მიგვიწვია, ბოლო დრომდე ამ გუნდთან ვვარჯიშობდი, მოსამზადებელ პერიოდსაც „ტოტუსთან“ ერთად გავდიოდი.

— მათ უპრობლემოდ გამოგიშვეს?

— „ტოტუსთან“ კონტრაქტი ოფიციალურად არ გამიფორმებია. აქედან გამომდინარე, არჩევანი მხოლოდ მე უნდა გამეკეთებინა.

— მაშ, საქართველოში დარჩენასაც არ გამორიცხავთ...

— ამაზე დანამდვილებით ჯერ ვერ გიპასუხებთ, არ მიფიქრია. სომხეთში ოჯახი მყავს, მეუღლე, ორი შვილი, ყველაფერი კარგად უნდა მოვიფიქრო და ავწონ-დავწონო. ესეც რომ არა, არ ვიცი, მომავალშიც დავჭირდები თუ არა „მაკაბის“.

— სადღეისოდ რაზე შეთანხმდით?

— თქვენებურებთან კონტრაქტი არ გამიფორმებია. უბრალოდ, მოლაპარაკება ვაწარმოეთ და ვფიქრობ, სეზონის ბოლომდე აუცილებლად აქ დავრჩები, უფრო სწორედ „მაკაბის“ უკანასკნელ ოფიციალურ შეხვედრამდე.

— სად დაბინავდით?

— სპორტის სასახლის კომპლექსში ჩინებული ოთახი გამომიყვეს. ამ მხრივ ძალიან კმაყოფილი ვარ, ყველანაირად ხელს მიწყობენ. თქვენი ხალხიც ძალიან თბილად მეპყრობა.

— ადრე თუ ყოფილხართ თბილისში?

— 1992 წელს ვიყავი პირველად. მაშინ „ურარტუში“ ვთამაშობდი და სპორტის სასახლეში სამი ამხანაგური შეხვედრა გავმართეთ ქართულ კლუბებთან. მახსოვს, ერთი თბილისის „დინამო“ იყო, ის კი არასდროს დამავიწყდება, რომ სამივე მატჩი მოვიგეთ. მეორედ 1995-ში ჩამოვედი, „ვითასთან“ ასევე საწვრთნელი შეხვედრა ჩავატარეთ და დავმარცხდით, მაშინ ცსკა-ში ვიცხებოდი.

— იქამდე თუ გსმენიათ რაიმე ქართულ კალათბურთზე?

— მსმენია რომელია, ერთ დროს „დინამოს“ დიდი გულშემატკივარიც ვიყავი. რა დამავიწყებს დერიუგინს და დარსაძეს. მახსოვს ის დროც, როცა შენგელია, ფერიაშვილი და ტალაბაძე თამაშობდნენ „დინამოში“. ბედნიერი ვარ, რომ ახლა სამივე ჩემი თანაგუნდელია „მაკაბიში“. სხვებიც მახსოვს, უბრალოდ, გვარებს ვეღარ ვიხსენებ.

— „მაკაბის“ შემადგენლობაში უკვე თამაშით მოასწარითო. მართალია, სულ რამდენიმე წამს დაჰყავით მოედანზე, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ დებიუტი შედგა...

— ასეა, თუმც, სიმართლე გითხრათ, გაოცებული დავრჩი, როცა მწვრთნელებმა სულ რაღაც 30 წამში გამომცვალეს. მერე მიზეზიც გამიმხილეს.

— მაინც რაო, რა გითხრეს?

— სომხეთის კალათბურთის ფედერაციისგან განთავისუფლების ფურცელი რომ ჩამოვიტანე, იქ რაღაც უზუსტობები გაიპარა, შემდეგ ვთხოვეთ, რომ ფაქსით გამოგზავნათ განახლებული ვარიანტი, რადგან ჩასვლას და უკან დაბრუნებას ვეღარ ვასწრებდი. ფაქსი კი ჩამოვიდა, მაგრამ ბეჭედი არ ერტყა და მწვრთნელმაც მითხრა, შენი მიზეზით თსუ-ს სადაო რომ არ მიეცეს, ჯობია, საერთოდ არ ითამაშოო. მეც რაღა მეთქმოდა. ისე, ახლა უკვე უკლებლივ ყველა საბუთი მოვაწესრიგე.

— ერთი შეხვედვით რა შთაბეჭდილება დაგრჩათ დღევანდელ ქართულ კალათბურთზე?

— შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ მომეჩვენა, რომ აქ გაცილებით მაღალი დონეა, ვიდრე ჩვენთან. საქართველოში უფრო სანახაობრივ კალათბურთს თამაშობენ. ჩემთვის, როგორც კალათბურთელისთვის, ურიგო სულაც არ იქნებოდა, აქვე რომ გავაგრძელო კარიერა, მაგრამ ვნახოთ, ყოველივეს მომავალი გვიჩვენებს.

გიორგი ბიძაშვილი

ფაჩულია ძირითადს გაუშინაურდა

ორი ზაზას დუელი არ შედგა

XXV ტური

გალათასარაი — ეფესი 83:77, ქარშიაქა — ოიაქი 94:69, ქომბასანი — დარუშაფაკა 82:58, თოფაში — ტელეკომი 65:58, ითუ — ბეშიქთაში 68:82, მიდონოსე — ტროი 66:74

ულქერი 71:70 ფენერბაჰჩე

ულქერი: ფაჩულია, გონლუმი (2), ზიდეკი (22), ალენი (10), თოფსაკალი, პოუპი (17), ოზთურქი, ილდირიმი (6), სარიჯა (14)

ფენერბაჰჩე: კუჩე, აბი, თუნჩერი (7), თექინალფი (4), ჯენინგსი (9), ჩურჩიჩი (22), სანდერსი (28), ჯაგლანი

სიტყვის კაცი ყოფილა სტამბოლის „ულქერის“ მთავარი მწვრთნელი მურათ დიდინი. ერთი კვირის წინ მან თქვა: ზაზა ფაჩულიას საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების შეკრებაზე ვადამდე ვერ გამოვუშვებ, მოთამაშეები დამიშავდნენ და ქართველი ფორვარდი ძირითადში უნდა ვათამაშოო. რა დაგიმალოთ და, მაშინ დიდინის სიტყვები ნაკლებადსაჯერებლად მოგვეჩვენა. მართალია, ფაჩულია ერთხელ უკვე გამოჩნდა „ულქერის“ ძირითადში, მაგრამ ეს რამდენიმე ტურით ადრე მოხდა, სტამბოლელთათვის შედარებით იოლ მატჩში. ახლა კი „ულქერი“ თანაქალაქელ „ფენერბაჰჩეს“ უნდა დასჭიდებოდა, რომელსაც პლეი ოფში გასვლა სათუო გახდომია და გამწარებით იბრძვის ამ უფლების მოსაპოვებლად. „ულქერი“, თავის მხრივ, პლეი ოფში კარგა ხნის გასულია, მაგრამ რეგულარული ჩემპიონატის რაც შეიძლება მაღალ ადგილზე დამთავრებას ესწრაფვის, რათა პლეი ოფის პირველ წრეში რაც შეიძლება სუსტ მეტოქეს შეხვდეს.

აი, ამგვარ დაძაბულ მატჩში ანდო დიდინმა ფაჩულიას „ულქერის“ ღირსების დაცვა. ზაზამ ორი წუთი ითამაშა, ერთხელ ისროლა და ააცილა, მაგრამ...

გადავხედოთ „ულქერის“ შემადგენლობას. საკმაოდ ბევრი ნაცნობი გვარი შეგვხვდება, თუნდაც ევროლიგის „სარბიელისეული“ მიმოხილვებიდან. ჩეხი ცენტრი ირჟი ზიდეკი „ულქერში“ ახლახან გადავიდა კაუნასის „ჟალგირისიდან“, სადაც შარშან ევროლიგა მოიგო. უფუჯ სარიჯა, ჰალუკ ილდირიმი და ვოლქან აიდინი თურქეთის ნაკრების უცვლელი წევრები არიან. ამერიკელებს, მარკ პოუპს და ჯერომ ალენს საუკეთესო წლები ევროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გაუტარებიათ... ამგვარ ხალხთან ვარჯიშიც კი ძალიან კარგია, ფაჩულია კი მათთან ერთად თამაშობს, მათი თანაგუნდელია. თანაც სად — ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ეროვნულ ჩემპიონატში.

რაც მთავარია: ზაზა ფაჩულია მხოლოდ 16 წლისაა...

„ფენერბაჰჩეშიც“ თამაშობს ქართველი კაცი, ოღონდ ამჟამად თურქეთის მოქალაქე და იქაური ნაკრების წევრი ზაზა ენდენი (ენდელაძე). „ულქერის“ წინააღმდეგ მას არ უთამაშია, ამდენად, ორი ზაზას დუელი არ შედგა. „ულქერმა“ ერთი ქულით მოიგო და პრაქტიკულად გაინადდა მესამე ადგილი რეგულარულ ჩემპიონატში.

თუმცა, ყველაფერ ზემოთქმულს ჩვენთვის, ქართველებისთვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენთვის ისაა მთავარი, რომ 16 წლის ქართველი ბიჭის ნიჭს, შრომას და საკალათბურთო ოსტატობას იმდენად აფასებენ, რომ ევროპის ერთ-ერთი მოწინავე გუნდის („ულქერი“ ორი სეზონია ევროლიგაშია და წლეულს მერვედფინალშიც გავიდა) ძირითადში ანდობენ ადგილს. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ფაჩულია საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ლიდერია და, როგორც ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე აცხადებს, არც ქვეყნის უმთავრეს გუნდში იქნება ფაჩულია ბოლო პლანზე. „ულქერში“ მიღებული გამოცდილებით კი ზაზამ საქართველოს სხვადასხვა ნაკრებებს უნდა მოუტანოს ხეირი.

ახლა თურქეთის ჩემპიონატის სხვა ამბებზეც ვოქვათ. საეჭვოა, სტამბოლის „ეფესმა“ დაანებოს ბურსას „თოფაშს“ რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულის ტიტული. მართალია, ამ ტურში ეფესელები „გალათასარაისთან“ დამატებით დროში დამარცხდნენ, მაგრამ სეზონის ბოლო მატჩში აუტსაიდერს, ბურსას „ოიაქს“ მასპინძლობენ.

„ოიაქი“ პირველ ლიგას კარგა ხნის გამოთხოვებულია, ბოლოსწინა ტურის შემდეგ კი მას სტამბოლის ითუ შეუამხანაგდა.

ეფესი	25	20	5	1952	1774	45
თოფაში	25	19	6	1856	1686	44
ულქერი	25	17	8	1882	1762	42
ქარშიაქა	25	16	9	1884	1813	41
ბეშიქთაში	25	16	9	1867	1794	41
გალათასარაი	25	14	11	1908	1843	39
დარუშაფაკა	25	14	11	1829	1857	39
ტელეკომი	25	13	12	1889	1850	38
ფენერბაჰჩე	25	12	13	1949	1897	37
ტროი	25	11	14	1955	1986	36
ქომბასანი	25	8	17	1763	1801	33
მიდონოსე	25	7	18	1904	2042	32
ითუ	25	6	19	1728	1947	31
ოიაქი	25	2	23	1654	1968	27

ბოისამ პეტრანოვიჩს ფურთხება დააწყებინა

ექვსეულის IV ტური

ოლიმპია — სავინსკი 100:61, კრკა — პივოვარნა 73:74

ტრიგლავი 74:77 სლოვანი

ტრიგლავი: იანკოვიჩი (15), სტავროვი (6), ერჟენი (13), კრეიჩი (12), პრიმეი (4), შვარცი (5), პეტრანოვიჩი (8), რუჩიგაი (7), ტროპანი (4)

სლოვანი: ნოვაკი (13), ლაკოვიჩი (5), ჟაკელი (7), უგრიხელიძე (2), ჯურკოვიჩი (16), კოვაჩი (5), პავიჩი (9), ბოისა (2), მარავიჩი (12), შუშტარშიჩი (6)

ლიუბლიანის „სლოვანმა“ ამ სეზონში მესამედ დაამარცხა კრანის „ტრიგლავი“ და მეოთხე ადგილზე ერთპიროვნულად დაფუძნდა. ეს ნიშნავს: თუკი „სლოვანი“ და „ტრიგლავი“ სეზონს თანაბარი ქულებით დაასრულებენ, ლიუბლიანელები უფრო მაღალ ადგილს დაიკავებენ, რადგან ურთიერთშეხვედრებში მეტი მოგება აქვთ (ამ გუნდების მეოთხე მატჩის შედეგს მნიშვნელობა აღარ ექნება). არადა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მეოთხე ადგილისთვის სწორედ „სლოვანი“ და „ტრიგლავი“ იბრძოლებენ. მეოთხე ადგილზე გასული გუნდი კი, შეგახსენებთ, პლეი ოფში ხვდება და მედლებისთვის განაგრძობს ბრძოლას.

მატჩის წინ „სლოვანის“ მწვრთნელს ტომო მაჰორიჩს შეგირდებისთვის უთქვამს, დაცვაში ისე აწყვეთ საქმე, „ტრიგლავმა“ სამქულიანები რომ არ ესროლოსო. მატჩის საწყის წუთებში სლოვანელებმა მწვრთნელის მითითება უკუღმა შეასრულეს: კრანელებს თავისუფლად ასროლინეს ექვსი სამქულიანი, რომელთაგან ოთხმა მიზანს უწია.

გაბრაზებულმა მაჰორიჩმა წუთშესვენებაზე კარგად გამოლანძღა შეგირდები და, რაც მთავარია, სხვა დაცვითი ტაქტიკა შესთავაზა მეტოქეს. ვლადიმერ ბოისა „ტრიგლავის“ ლიდერს და ბომბარდირს ველკო პეტრანოვიჩს აედევნა, რომელსაც მანამდე ორი სამქულიანი უკვე ჩაგდებული ჰქონდა. ბოისამ კარგად ამოკიტა პეტრანოვიჩი, თამაშიდან ბურთი არ ჩაგდებინა, მაგრამ... თავად ვლადიმერი საზარლად ესროდა: პირველ ტაიმში შვიდივე ნასროლი ააცილა, მეორე ტაიმში კი ორი ნასროლიდან მხოლოდ ერთი ჩაგდო.

დაცვის გაძლიერების წყალობით „სლოვანმა“ ანგარიში კი შეამცირა, მაგრამ ტაიმი მაინც რვა ქულით წააგო — 30:38. მეორე ტაიმში ბოისამ უფრო მაგრად მოუჭირა მარწუხები პეტრანოვიჩს, რომელმაც ქართველის ბოლმა „სლოვანის“ ცენტრ პაველ ჯურკოვიჩზე იყარა — შეაფურთხა, რისთვისაც თამაშიდან გააგდეს.

მსაჯებმა ორივე გუნდის საზიანოდ დაუშვეს შეცდომები, მაგრამ პეტრანოვიჩის გაძევების შემდეგ აშკარად „ტრიგლავს“ მიემხრნენ. ამის მიზეზი კრანელი მაყურებელი იყო, რომელიც ისე აღაშფოთა თავიანთი ლიდერის გაძევებამ, რომ მსაჯებს სხვადასხვა ნივთები დაუშინეს.

ამის მიუხედავად „სლოვანმა“ მაინც იმარჯვა. მატჩის ბეჯი ლიუბლიანელთა მიერ ფარის დაპყრობამ გადაწყვიტა. სლოვანელებმა 34:24 ავჯობეს მეტოქეს მოხსნებში და რამდენიმე გადამწყვეტი ბურთი სწორედ ფარქვეშიდან ჩაგდეს.

ვლადიმერ ბოისამ ორ ქულას ოთხი მოხსნა და სამი პასი დაუმატა. სულ მან ოცდასამი წუთი ითამაშა. შვიდი წუთი დაჰყო მოედანზე დავით უგრეხელიძემ, რომელმაც ერთხელ ისროლა და ჩააგდო და სამი მოხსნა გააკეთა. ნიკა ცქიტიშვილი განაცხადში იყო, მაგრამ არ უთამაშია.

ექვსეულის მეხუთე ტურის მატჩში „სლოვანი“ ნოვო მესტოს „კრკას“ უმასპინძლებს. „კრკა“ მესამე ადგილზეა, ხოლო ვლადიმერ ბოისას ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფრთის მატიაჟ სმოდიშის წინააღმდეგ მოუწევს თამაში.

ოლიმპია	26	24	2	2299	1628	50
პივოვარნა	26	24	2	2327	1912	50
კრკა	26	18	8	2045	1846	44
სლოვანი	26	14	12	1913	1889	40
ტრიგლავი	26	13	13	1912	2021	39
სავინსკი	26	11	15	2062	2091	37

7-12 ადგილები. IV ტური

ზაგორიე — კრაშკი ზიდარი 78:66, როგლა ატრასი — მარიბორი 94:76, ჰელიოსი — ლოკა კავა 100:95

ზაგორიე	26	15	11	1919	2010	41
როგლა ატრასი	26	8	18	1908	2076	34
ლოკა კავა	26	8	18	1849	2032	34
ჰელიოსი	26	8	18	1993	2211	34
მარიბორი	26	7	19	1853	2198	33
კრაშკი ზიდარი	26	6	20	1870	2036	32

საბერძნეთი

XXV ტური

ირაკლიონი — პანათინაიკოსი 76:79, ოლიმპიაკოსი — ირაკლისი 83:71, აეკ — მარუსი 75:76, პანიონიოსი — დაფნი 76:63, ნიარ ისტი — სპორტინგი 101:65, არისი — ესპეროსი 70:53, პერისტერი — პაოკ 90:79

ოლიმპიაკოსი	25	20	5	1800:1582	45
პანათინაიკოსი	25	20	5	1897:1596	45
აეკ	25	19	6	1873:1669	44
პაოკ	25	15	10	1845:1748	40
პერისტერი	25	14	11	1853:1819	39
პანიონიოსი	25	14	11	1854:1819	39
ირაკლისი	25	13	12	1789:1719	38
არისი	25	13	12	1762:1757	38
ნიარ ისტი	25	11	14	1901:2001	36
ირაკლიონი	25	11	14	1938:1893	36
მარუსი	25	10	15	1751:1807	35
დაფნი	25	8	17	1769:1945	33
ესპეროსი	25	4	21	1685:2019	29
სპორტინგი	25	3	22	1658:2001	28

იტალია

XXVI ტური

ძუკეტი — ვიოლა 90:88, ტრიესტი — ვარეზე 88:79, კანტუ — ბენეტონი 70:97, იმოლა — ფორტიტუდო 77:86, კინდერი — პეპსი 70:66, აეროპორტი — რეჯანა 67:73, სკავოლინი — სიენა 78:80, ადეკო — მიულერი 102:95

ფორტიტუდო	26	24	2	2053:1775	50
კინდერი	26	19	7	1988:1757	45
ბენეტონი	26	19	7	2007:1849	45
სკავოლინი	26	16	10	2017:1928	42
ძუკეტი	26	15	11	1975:1944	41
აეროპორტი	26	15	11	1877:1913	41
სიენა	26	13	13	1802:1793	39
იმოლა	26	13	13	2141:2138	39
ვიოლა	26	13	13	1950:1995	39
ტრიესტი	26	11	15	1933:1906	37
ვარეზე	26	10	16	1951:1973	36
მიულერი	26	9	17	1884:1995	35
ადეკო	26	9	17	1868:2009	35
პეპსი	26	8	18	1819:1954	34
კანტუ	26	8	18	1825:2031	34
რეჯანა	26	6	20	1921:2051	32

ესპანეთი

XXVIII ტური

ლეონი — კასერესი 71:86, უნიკახა — ხიხონი 84:63, პამესა — კანტაბრია 82:83, ხირონა — ბრეოგანი 83:72, რეალი — ესტუდიანტესი 88:76, ფუენლაბრადა — ტდკ 77:73, ბადალონა — ფორუმი 74:80, კახა სან ფერნანდო — კანარიასი 78:63, ტაუ — ბარსელონა 78:85

სან ფერნანდო	28	21	7	2044:1886	49
ბარსელონა	28	20	8	2079:1866	48
პამესა	28	19	9	2267:2061	47
ტაუ	28	18	10	2200:2042	46
რეალი	28	18	10	2130:1972	46
ესტუდიანტესი	28	18	10	2032:1952	46
უნიკახა	28	16	12	1974:1936	44
კანარიასი	28	15	13	2013:2060	43
ხირონა	28	13	15	2066:2024	41
ბადალონა	28	13	15	2193:2188	41
კასერესი	28	13	15	2018:2052	41
ბრეოგანი	28	12	16	2041:2114	40
ფორუმი	28	11	17	1905:2009	39
კანტაბრია	28	10	18	1935:2169	38
ფუენლაბრადა	28	10	18	2049:2078	38
ტდკ	28	9	19	1875:1984	37
ხიხონი	28	9	19	1888:2107	37
ლეონი	28	7	21	1868:2077	35

ბათუმის საკალათბურთო დარბაზი ექვსეულის მეორე წრეს უმასპინძლებს

ექვსეული მეორედ ბათუმში შეიკრიბება

საჭართველოს ჩემპიონატი

ამას წინათ გაცნობეთ, ექვსეულის თამაშები 26 მარტის ნაცვლად 25-ში დაიწყებაო. ვითარება კვლავ შეიცვალა, კალათბურთის ფედერაციამ პირვანდელი თარიღი არ გააუქმა და საბოლოოდ დაკანონა, რომ ექვსეულის პირველი წრე 26-დან 31 მარტამდე გასტანს. სხვა ყველაფერი ძველებურად დარჩა — სამი სათამაშო დღის შემდეგ გუნდები ერთ დღეს დაისვენებენ და ასპარეზობასაც მერე განაახლებენ.

გუშინ კალათბურთის ფედერაციამ ჩემპიონატში მონაწილე კლუბთა მწვრთნელები შეკრიბა და ეთათბირა. საუბარი მეცხრე საკალათბურთო ჩემპიონატსა და მის შემდგომ მიმდინარეობას შეეხებოდა. შეხვედრაზე განიხილეს სხვადასხვა საკითხები, რომელთაგანაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ. გამოითქვა მოსაზრება, რომ გათამაშების ექვსმა საუკეთესო გუნდმა მეორე წრის შეხვედრები ბათუმში გამართოს. ამ წინადადების ინიციატორი კი, ცხადია, აჭარა და ჩემპიონატში ამ მხარის წარმომადგენელი, ბათუმის „ბასკო“ იყო.

როგორც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა დუდუ დადიანმა გვამცნო, ყველაფერი ბათუმელთათვის დადებითად გადაწყდა. დადიანის თქმით, მწვრთნელები თანახმანი არიან ექვსეულის მეორე წრე აჭარაში ჩატარდეს. რაკი საქმეს ასე მოვევლო, ფედერაციამ კონკრეტული ვადებიც დათქვა. თამაშები ბათუმში 22-27 აპრილს გაიმართება.

აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ უკლებლივ ყველა კლუბის აჭარაში დაბინავებისა და კვების ხარჯები ბათუმელებმა იკისრეს. როგორც „ბასკოს“ ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ ემირიძემ განაცხადა, გუნდებს საგანგებო ავტობუსებსაც გამოუყოფენ, რაც მათ გადადგილების პრობლემას მოუგვარებს. ერთადერთი, მგზავრობის ხარჯები უნდა გაიღონო, ასე თქვეს დადიანმაც და ემირიძემაც.

გიორგი ბიკაშვილი

EURO LEAGUE — ევროლიგა

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. 21 მარტი

ბარსელონა	1	პანათინაიკოსი	1
ოლიმპია	0	ციბონა	0
ბარსელონა 70:67 ოლიმპია		პანათინაიკოსი 73:62 ციბონა	
ეფესი	1	მაკაბი	0
ვილერბანი	0	ფორტიტუდო	1
ეფესი 93:85 ვილერბანი		მაკაბი 62:65 ფორტიტუდო	

საპასუხო მატჩები გაიმართება 23 მარტს

NBA — რეგულარული ჩემპიონატი

რაილის ამაგი არ დაუფასეს

20 მარტი

შარლოტი 96:102 ფილადელფია

შარლოტი: ჯონსი (28), ვესლი (17 ქულა, 10 მოხსნა)

ფილადელფია: აივერსონი (25), ჰილი (16 ქულა, 14 მოხსნა)

მაიამი 89:100 ლეიკერსი

მაიმი: მურნინგი (33 ქულა, 13 მოხსნა)

ლეიკერსი: ონილი (28 ქულა, 12 მოხსნა), რაისი (28), ბრაიანტი (23)

კლივლენდი 98:85 ჰიუსტონი

კლივლენდი: კემპი (17), მიურეი (17)

ჰიუსტონი: ვილიამსი (17), ფრენსისი (17)

ჩიკაგო 86:88 ორლანდო

(ძირითადი დრო 81:81)

ჩიკაგო: ბრენდი (18 ქულა, 17 მოხსნა, 5 დაფარება)

ორლანდო: არმსტრონგი (20 ქულა, 7 ჩაჭრა), მერსერი (19)

კლიპერსი 93:105 ვაშინგტონი

კლიპერსი: ნესბი (20), ანდერსონი (18)

ვაშინგტონი: რიჩმონდი (21), ჰოვარდი (20)

ფინიქსი 110:106 ბოსტონი

ფინიქსი: რობინსონი (22), კიდი (16 ქულა, 11 პასი, 9 მოხსნა)

ბოსტონი: პერსი (27), უოლკერი (22 ქულა, 14 მოხსნა)

„ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ ახლა ალბათ მწარედ ნანობს, „ვაშინგტონს“ ზემოდან რომ დახედა და არასერიოზულად მოეკიდა მასთან თამაშს, რისთვისაც კიდეც დაისაჯა. „ლეიკერსს“ ის თამაში რომ არ წაეგო, ახლა ზედიზედ 23 გამარჯვება ექნებოდა და ასოციაციის ისტორიაში მოგებათა მეორე უგრძესი სერიის ავტორი შეიქნებოდა. კალიფორნიელები ახლა კი იტყამენ თავში ხელებს და ალბათ „ვაშინგტონსაც“ აგინებენ გულში, მაგრამ რაღა დროსია. ფილ ჯეკსონის ბიჭები მაინც ლამობენ, დაამტკიცონ თავიანთი პირველობა (ყოველ შემთხვევაში, რეგულარულ ჩემპიონატში მაინც) და ეს არცთუ ურიგოდ გამოსდით. „ლეიკერსმა“ იმ საბედისწერო ვაშინგტონური საღამოს შემდეგ სამი საკმაოდ ძლიერი ალმოსავლელი შეიწირა. ამათგან მესამე თვით პატ რაილის „მაიამი“, სწორედ იმ პატ რაილის, რომელმაც 80-იან წლებში ოთხჯერ გააჩემპიონა „ლეიკერსი“. ახლა „ლეიკერსმა“ სტუმრად აჯობა ყოფილი თავკაცის შეგირდებს.

მზიურ ქალაქ მაიამიში ბევრი აღმოჩნდა ამ თამაშის ნახვის მსურველი. „ჰითის“ დარბაზში ოცი ათასმა კაცმა მოიყარა თავი, ხუთი ათასით მეტმა, ვიდრე „მაიამის“ შინაური სარბიელი იტევს, კიდევ რამდენიმე ათასმა ვერ მოახერხა თამაშის ცოცხლად ნახვა. ეს აჟიტაჟი ტყუილად როდი ატყდა, ფლორიდელებს სურდათ, ენახათ ორი მძლავრი გუნდის, ორი ღვაწლმოსილი მწვრთნელის და, ბოლო ბოლო, ლიგის ორი უძლიერესი ცენტრის დაპირისპირება. ბრძოლა შედგა და კარგი თვალსაზიროც გამოდგა, მხოლოდ დამარცხებული მასპინძელი გამოვიდა.

ამ თამაშში ბევრი რამ უნდა გადაეწყვიტა გუნდების ლიდერთა — მაიამელი ალონზო მურნინგისა და ლეიკერსელი შაკილ ონილის შერკინებას. ეს ორი გიგანტი ლიგის პირველ ცენტრობას ეცილება ერთმანეთს. წინა სეზონში მაიამელმა იმაჯვა, წლეულს უპირატესობა ლეიკერსელის მხარესაა. დაიწყო თუ არა მატჩი, მაშინვე ეკვეთა „მაიამი“ მეტოქეს. „ლეიკერსი“ თავდაპირველად მედგრად იდგა, მაგრამ მეორე მეოთხედში მურნინგის მოძალებას ვერაფერი დააკლო და მეტოქეს ერთბაშად 13 ქულის სხვაობით ჩამორჩა. პირველი ტაიმის 55:42 მოგების შემდეგ მასპინძლებმა თავი ქუდში დაიგულეს და თავს ოდნავ მოდუნების უფლება მისცეს, რითაც წამსვე ისარგებლეს სტუმრებმა. მესამე მეოთხედის დასაწყისში ონილმა მოგუგუნე დარბაზს ხმა ჩააწყვეტინა, როცა ზედიზედ სამჯერ (!) დაუფარა მასზე რვა სანტიმეტრით დაბალ მურნინგს, რითაც თავისი გუნდის 22:2 გაქცევას ჩაუყარა საფუძველი. ონილმა იმითაც გამოიჩინა თავი, რომ მესამე პერიოდის მიწურულს მეურვეს მეხუთე პერსონალური აჰკიდა და მურნინგი დაცვაში შეუშჩნეველი გახადა. არადა, სწორედ დაცვითი თამაშითაა „მაიამი“ ძლიერი და მის გაუვალ კედელში მთავარი „გური“ მურნინგია. წინა სეზონის საუკეთესო დამცველადაც ხომ ის დაასახელეს. „კალათბურთი კრივი ან ჩოგბურთი არაა, სადაც მარტო შენს თავზე ხარ დამოკიდებული. ეს არაა ბრძოლა ერთი ერთზე. ერთი კაცის მხრებზე ბევრი გადადის, მაგრამ არა ყველაფერი ვფიქრობ, მე ყველაფერი გავაკეთე“ — თქვა მურნინგმა მატჩის შემდეგ. მის ნათქვამში ოდნავი წყენა გამოსჭვიოდა თანაგუნდელების მიმართ, რომელთაც კრიტიკულ სიტუაციაში მხარი ვერ აუბეს თავიანთ ლიდერს და „ლეიკერსს“ მარტო შეატოვეს. მართლაც, მესამე მეოთხედში მურნინგის ამარად დარჩენილ მასპინძლებს ონილთან ერთად რაისიც და ბრაიანტიც არბევდნენ. ამათგან პირველმა ამ თორმეტწუთიანში 12 ქულა გააკეთა, მეორემ — რვა და „ლეიკერსმა“ მესამე მეოთხედი კატასტროფული ანგარიშით 33:14 მოიგო. ამან ყველაფერი გადაწყვიტა და ბოლო თორმეტწუთიანი ფორმალობად აქცია.

„ლეიკერსმა“ ღირსეულად მოიგო, მისმა მწვრთნელმა ფილ ჯეკსონმა პატივისცემათ მოიხსენია ძლეული მეტოქე და იგი ასე დაახასიათა: „მაიამი“ ისეთი გუნდია, რომელთანაც კარგად ჩანს შენი შესაძლებლობები. ასეთები გაიძულებენ, თუ გამარჯვება გინდა, მთელი შენი ცოდნა და ენერგია ჩააქსოვო თამაშს. ასეთ მეტოქეებთან ბრძოლა განსაკუთრებით პლეი ოფში ჭირს, როცა ერთი შეხვედრა ყველაფერს წყვეტს. დღეს ჩვენ გავიმარჯვეთ, მაგრამ შეიძლება ყველაფერი პირიქით ყოფილიყო“.

ამ დროს, როცა „ლეიკერსი“ ქვეყანას აზანზარებს, მისი თანაქალაქელი „კლიპერსი“ უიმედო აუტსაიდერად ქცეულა. მან ზედიზედ მეოთხედ წააგო და სწორედ „ლეიკერსის“ გამამწარებელი „ვაშინგტონთან“. მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონი“ მშვენიერ ფორმაშია და სეზონში პირველად მოიგო ზედიზედ მესამედ, ბოლო ათ შეხვედრაში კი მეექვსედ იმარჯვა, რაც უკვე შეიძლება გუნდის გამოცოცხლებად ჩაითვალოს. დედაქალაქელებს დარჩენილ სეზონში ალაბათ გაუჭირდებათ თავიანთი დივიზიონის ცხრილის ფსკერს თავი დაადწიონ, მაგრამ მათ ეს ახლა უკვე დიდად არ აღელვებთ. კლუბის თანამფლობელ და პრეზიდენტ მაიკლ ჯორდანს და მის მიერ გუნდში მწვრთნელად მიწვეულ დარელ უოლკერს სურთ, გუნდი ისე მოამზადონ, რომ მომავალ სეზონს ღირსეულად შეხვდნენ.

ირაკლი ფირაშვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

	მ	წ	%
მაიამი	42	24	63,6
ნიუ იორკი	40	25	61,5
ფილადელფია	38	28	57,76
ორლანდო	32	36	47,1
ბოსტონი	30	37	44,8
ნიუ ჯერსი	28	37	43,1
ვაშინგტონი	23	45	33,8

ცენტრალური დივიზიონი

ინდიანა	46	21	68,7
ტორონტო	39	26	60,0
შარლოტი	35	31	53,0
დეტროიტი	33	32	50,8
მილუოკი	31	36	46,3
კლივლენდი	26	40	39,4
ატლანტა	24	41	36,9
ჩიკაგო	13	53	19,7

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

იუტა	44	21	67,7
სან ანტონიო	42	24	63,6
მინესოტა	39	26	60,0
დალასი	28	38	42,4
დენვერი	27	39	40,9
ჰიუსტონი	24	43	35,8
ვანკუვერი	18	49	26,9

წყნარი ოკეანის დივიზიონი

ლეიკერსი	56	12	82,4
პორტლენდი	50	16	75,8
ფინიქსი	43	23	65,2
სიეტლი	40	27	59,7
საკრამენტო	38	27	58,5
გოლდენ სტეიტი	17	49	25,8
კლიპერსი	14	54	20,6

NBA — კვირის მოთამაშე

ჯალენ როუზი • ინდიანა •

შაკილ ონილმა გასულ კვირას თავისი გუნდის ოთხ თამაშში საშუალოდ 39,5 ქულა მოაგროვა. ეს ოდნავ ნაკლებია ონილის წინა კვირის შედეგიანობაზე, მაგრამ სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ „ლეიკერსის“ ცენტრი ზედიზედ მეორედ, სეზონში კი მეოთხედ გამხდარიყო კვირის საუკეთესო მოთამაშე. მიუხედავად ამისა, ეს ტიტული „ინდიანას“ ფრთას, ჯალენ როუზს ერგო, რომლის შედეგიანობაც გასული კვირის მანძილზე „მხოლოდ“ 26,8 ქულა იყო.

ჯალენ როუზმა და მისმა „ინდიანამ“ კვირა არცთუ ხეირიანად დაიწყეს, დალასში 90:111 შერცხვნენ იქაურ „მავერიქსთან“. აქ როუზმა 18 ქულა და კარიერაში ყველაზე მეტი, 13 მოხსნა მოაგროვა. ამის შემდეგ „ინდიანამ“ მიყოლებით სამი მეტოქე — „ატლანტა“, „ჰიუსტონი“ და „შარლოტი“ მოინელა. როუზმა განსაკუთრებით კარგად ამ სამიდან პირველ ორთან ითამაშა — „ატლანტასთან“ 32 ქულა, „ჰიუსტონთან“ კი კარიერაში სარეკორდო, 35 ქულა მიითვალა. საბოლოოდ ამ ოთხ მატჩში როუზმა საშუალოდ 26,8 ქულასთან ერთად 7,5 მოხსნა და 4,5 პასი გააკეთა.

ონილის გარდა კვირის მოთამაშის ტიტულის სხვა მაძიებლები იყვნენ: ანტუან უოლკერი (ბოსტონი), კეიტ ვან ჰორნი (ნიუ ჯერსი), ტრეისი მაკგრეიდი (ტორონტო), კლიფ რობინსონი, როდნი როჯერსი (ორივე ფინიქსი) და გერი პეიტონი (სიეტლი).

ვალფგრამი კლიჩკოსთან გრამია





დიდი არაფერი ჯაფა დასდგომია უკრაინელ ვიტალი კლიჩკოს ჰამბურგის რინგზე. ერთი-ორი მოსდო და წუთნახევარში წამოაქცია ლამის ორმეტრიანი ტონგელი პაეა ვოლფგრამი. კლიჩკოს მარად გვერდით ჰყავს ძმა ვლადიმერი, მწვრთნელი და ერთგული მრჩეველი. ორგანიზაციის (ვბო) ჩემპიონი ახლა საბჭოს (ვბუ) ვერსიით კრიკობს და სანუკვარ მიზნად ლენოქს ლუისთან შერკინება აქვს.



დედოფალი ავსტრალიაში

თავის ხელდებულ ავსტრალიას სტუმრობს ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე. ხალხი ორგვარი მიდგომით ხვდება მონარქს. ერთნი საგალობლებს უმღერიან, მეორენი კი მოუწოდებენ, ავსტრალია რესპუბლიკად გამოაცხადოს. დედოფლის ჩამოსვლამდე ორიოდ წუთით ადრე სიდნეის აეროპორტში ვიღაც დანიანი კაციც კი დაუტყვევებიათ. სტადიონის ტრიბუნაზე კი სიმშვიდეა, ოლიმპიური კომიტეტის სამსახურის დირექტორი ბობ ლისი მონარქს მთავარ არენას ათვალიერებინებს.

გრეცკისთან ვიყიდოთ

ორმოცი წლისა და უკვე ვალმოხდილი, განთქმული და მოსვენებული. დიად ვინმეს, უეინ გრეცკის დიახაც გართობად უჩანს ავტოგრაფების ჩამორიგება, მით უმეტეს, თუ ამას ერთი დიდი მაღაზიის გახსნისას აკეთებს. მაღაზიისთვის კი, რა თქმა უნდა, მისი სახელი მიუკუთვნებიათ.

ან ჩვენ, ან ისინი

ჩვენი გაქანების რაგბი: სანამ ბორჯღალოსნები ეროვნულ სტადიონზე, დარიან და ქარიან დღეს ჰოლანდიელებს ამარცხებდნენ, ბუქარესტში ქართველთა მთავარი მოცილე რუმინეთის გუნდი ესპანელებს ებრძოდა. საქართველო — რუმინეთის შეხვედრა ევროპის თასის მისამართს გაარკვევს. ბუქარესტის ტალახში ხომ მასპინძლებმა (ღია სამოსში) სტუმრები გახრეს.





აბა, მოუსვით ოქსბრიჯულად

მოახლოვდა ასორმოცდამეექვსე შაბათი დიდი ჭიდილისა. ამ დღეს მთელი ლონდონი წყლისპირსა და ხიდებზე გამოეფინება და რადიოებმომარჯვებული დაელოდება დიდ შერკინებას, ოქსფორდის და კემბრიჯის უნივერსიტეტების ნიჩბოსნები რომ გამართავენ ტემზაზე. გზა პატნიდან მორტლეიკამდე და ორი ეკიპაჟი. კემბრიჯის გუნდი აწონვისთვის ემზადება და თან მის ხელში მყოფ თასს დაჰკანკალებს.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო პოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ბურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli